ანნა ბაკაურიშვილი

მე ვარსკვლავთა ქალი ვარ

სპონსორს

მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო ქ-ნ მაია წოწორიას, რომელმაც გამიწია სპნსორობა, მისი თანადგომით ამიხდა ოცნება და გამოვეცი ჩემი ლექსების კრებული.

უფალმა უფრო მეტი სასიკეთო საქმის კეთების უნარი გიბოძოთ ქ-ნო მაია.

მაია წოწორიას!

მ - ინდა გულში ჩაგიხუტო, ჩაგიკრა,
ა - ლბათ მოვა, ეს დროც მალე დადგება,
ი - ს ნატვრა რომ გამომეცა კრებული,
ა - მისრულე, რეალობა გახდება.

წ - უთებს ვლოცავ, როცა შენ დაიბადე,
ო - ქროს გული დაგყოლია ფერია,
წ - ესიერად ხომ არც ვიცნობთ ერთმანეთს,
ო - დნოს", „ფეისს", მოპყვა ყველაფერია...
რ - ა მახარებს იცით მეტად ჩემებო?
ი - ს რომ ჩვენში კვლავ ქართული გენია,
ა - ი! ამას ვერ წაგვართმევს ვერავინ,
ასეთი რამ ქართულ გულსა სჩვევია.

„ბუზღუნას!"

ბ - ავშვივით ვხარობდი გზავნილს რომ ვიღებდი,
უ - თუოდ ერთვოდა სინდისის ქეჯნა მას,
ზ - ღაპარი მეგონა... კეთილი ფერია,
ღ - მერთო! დაუბრუნე მშვიდობით ქვეყანას.
უ - ფლის და მისი გულის წყალობით,
ნ - ატვრა ამისრულდა, კრებული გამოდის,
ა - მ დიდი გულის, პოვნა რომ შეეძელი,
ავტირდი, ცრემლები თავისით ჩამომდის.
დიდი სიყვარულით ანნა ზაკალაშვილი

ანნა ზაკალაშვილი

მე ზაზაფხულის ქალი ვარ

2016 წელი

UDC[უაკ] 821.353.1-1
ზ-181

ყველაზე მეტად ის გამახარებს
მკითხველმა ჩემი ლექსებით მიცნოს

მიზნად არა მაქვს მერქვას პოეტი,
მგოსანი ანდა მსგავსი სახელი,
მხოლოდ ის მინდა გული გავხნა და
ალალად გითხრათ ჩემი სათქმელი.
მინდა დავლაშქრო მუზების ციხე,
და პოეზიის ვპოვო სარკმელი,
თუ ოდნავ მაინც შევხსენი იგი,
გზას არ დაკარგავს სანთელ-საკმელი.
რომ წაიკითხავთ თუ გული გათბა,
ლექსმა თუ გითხრათ თავის სათქმელი,
მაშინ რაც გინდათ ის დამიძახეთ,
მე ხომ ისედაც მქვია სახელი /ანა/
მივესალმები ყოველთვის იმას,
ვის თვალშიც ვინ ვარ, ისე რომ მიხმოს,
ყველაზე მეტად ის გამახარებს,
მკითხველმა ჩემი ლექსებით მიცნოს.

წიგნი დაიბეჭდა ქბ. მაია წოწორიას სპონსორობით
შპს. „ვექტორი 2009“-ის სტამბაში

ტექ. რედაქტორი და გამომცემელი: დავით ზაკალაშვილი
დაკაბადონება: ელზა აფაქიძე

ISBN 978-9941-0-8457-7
© ანნა ზაკალაშვილი

მე გაზაფხულის ქალი ვარ!

მე გაზაფხულის ქალი ვარ,
სიყვარულის და მზის,
რა ვქნა, არ მიყვარს ზამთარი
მადუნებს თითქოს მღლის.
აყვავებული გარემო,
მიყვარს, სიმწვანე ტყის,
თოვლის ქათქათა საბურველს,
მიჯობს სხივები მზის.
ძლიერ მკაცრია ზამთარი,
წვიმაც პირქუშად სცრის,
ჟუჟუნა წვიმა მიყვარს მე,
ცა რომ მირონად ღვრის.
ვერა, ვერ ვუცქერ სიამით,
გათოშილ ხეებს ტყის,
ხის გაშიშვლებულ ტოტებზე,
მხოლოდ ბეღურა ზის.
ბაღში ვარდი თუ არ ჰყვავის,
სიტურფე თვალს არ გჭრის,
ფოთლები თუ არ შრიალებს,
სიო ნაზად არ ჰქრის,
მაშინ რა არის სიამე,
თუ არა ძალა მზის,
მზის სხივის ნაზი ამბორი,
კოკორს ვარდადა შლის.
რა ვქნა, არ მიყვარს ზამთარი,
მადუნებს, თითქოს მღლის,
ღიმილით ვხვდები გაზაფხულს,
გული სიამით თრთის.

ყველა სულდგმული ზეიმობს,
ხმელეთისა თუ ცის,
ჩიტების ტკბილი გალობა,
გულიდან დარდსა ჰყრის.
ვისთვისაც მღერი, ვინც გიყვარს,
ტანში ჟრუანტელს გგვრის,
მე გაზაფხულის ქალი ვარ,
სიყვარულის და მზის.

08.12.2014.წ.

მე ხომ სიცოცხლის აშუღი მქვია!

მე გაზაფხულის პირმშო ვარ რადგან,
სახედ ვარდი მაქვს თვალებად ია,
გულად მზე მიდევს ძალიან ცხელი,
ამიტომა მაქვს მუდმივად ღია.
ანდა რად მინდა გულის ჩარაზვა,
ასეთ გულს ბოღმის გამოჰხრავს ჭია,
ჩემი გულო კი ყვირის მიყვარხართ,
მე ხომ სიცოცხლის აშუღი მქვია.
ჯერ დაღმართისკენ არ გავიხედავ,
სანამ აღმართის მხიბლავს სავალი,
ვიდრე აპრილი ვენებს მიტოკებს,
ვიდრე მაბრუებს იასამანი.
მიწავ! შენს გულში არ ჩავიხედავ,
ჩემი თვალები ხედავენ ზეცას,
სიცოცხლის აშუღს შენთან რა მინდა,
წავალ სიყვარულს შევფიცებ მზესაც.

29.12.2015.წ.

მე სიყვარულით ვირჩენ იარებს!

მე ხომ ღიმილი ვისწავლე როცა,
გული დარდისგან შფოთავს, წრიალებს
დარდსა და ბოღმას არა ვნებდები,
მე სიყვარულით ვირჩენ იარებს.
ცხოვრება ხშირად განსაცდელს გვიწყობს,
იღბალიც ზოგჯერ წაღმა ტრიალებს,
როგორც მოკვდავთა დიდმა ნაწილმა,
მეც ბევრჯერ რთული გზებით ვიარე.
უსამართლობას როდესაც ვხვდები,
გული კვნესის და სული წრიალებს,
სახრჩობელაც რომ მელოდებოდეს,
შავზე ვერ ვიტყვი – თეთრად ბრდღვიალებს.
ამ ქვეყნად ყველას თავის ფასი აქვს,
ოქრო ოქროა, ჯართი ჯართია,
მაშ, როგორა ვთქვა, ან დამიჯერებთ?
ოქრო ცუდია, ჯართი კარგია.
ცხოვრებაში ხომ ასედაც ხდება,
ვარდი ხანდახან უწყლოდა რჩება,
მაგრამ ამაზე არა ღირს დარდი,
რადგან, დამჭკნარიც ის არის ვარდი.
ყველა რაც არის, ისვე დარჩება,
ყვავი არწივი ვერასდროს გახდება,
ჩვენს გულში ღიმილი, სითბო თუ გაჩნდება,
დარდი და ბოღმა, უკვალოდ გაქრება.

მე სულ პირველად დედა ვიცანი

მთლად თოთომ გულით ის შევიყვარე,
მე სულ პირველად დედა ვიცანი,
უკვე ვაჟკაცის გულითაც ისევ,
დედა მყავს წმინდად დასაფიცარი.
და წლებთან ერთად, რომ ვიზრდებოდი,
თან მეზრდებოდა დედის ხატებაც,
სულ თვალწინ მიდგას ის, რომ მლოცავდა,
ანთებულ სანთლით მდგომი ხატებთან...
მისით შევიგრძენ პირველად ქალის,
სინაზე, ხიბლი, მშვენიერება,
მან გამიყვანა ცხოვრების გზაზე
და დამანახვა ქვეყნიერება...
ჩემო სამშობლოვ! შენად გამზარდა,
გთხოვ! შენი ფესვის ფუნჯი მიცანი,
დედამ მაჩვენა ფესვების სიღრმე,
მასწავლა ჩემი მიწის მისხალი.
არ დავივიწყებ ჩემო დედიკო,
რაც ბავშვობაში გრძნობით მითხარი...
ორი დედა მყავს: შენ და სამშობლო,
ორივე გულით დასაფიცარი.

25.03.2015.წ.

ჩემო სამშობლო!

ფრთები რომ მქონდეს ლაღად გავშლიდი
დაუყოვნებლივ გავფრინდებოდი,
შემოვუფრენდი მთელ დედამიწას,
ბოლოს აქ, შენთან დავფრინდებოდი.
გემი რომ მქონდეს ოკეაანეებს,
გადაუცურავს არ გავუშვებდი,
სულ ყველა ზღვაზე ვილივლივებდი
და ბოლოს ღუზას აქ ჩავუშვებდი.
ფუნჯი რომ მქონდეს, ხატვა შემეძლოს,
სამყაროს ყველა ხედს დავხატავდი,
მაგრამ ყველაზე ლამაზ ფერებში,
ჩემო სამშობლოვ! შენ დაგხატავდი.
სმენა რომ მქონდეს, მღერა შემეძლოს,
მსოფლიოს სცენებს ყელს ვიღერებდი,
ბოლოს კი მაინც იავნანას და
გედის სიმღერას აქ ვიმღერებდი.
სამართალი რომ ჩემ ხელში იყოს,
სასჯელს არავის გავუდიდებდი,
სულის გასაღებს მოვუძებნიდი,
იქ, ადამიანს გავუღვიძებდი...
ნეტავი მქონდეს იმის შეძლება,
ცხოვრებას არვის გავუჭირვებდი,
ვისაც პატარა, ცივი გული აქვს,
გავუთბობდი და გავუდიდებდი.
და სააკაძის პაატასავით,
ჩემო ქვეყანავ! თავს გავწირავდი,
თუკი შენ, საზღვრებს ნიკოფსიიდან,
დარუბანდამდე კვლავ გასჭიმავდი.

დედა!

შვილებზე ფიქრით დაღლილო ქალო,
რა მახლობელი ხარ ძვირფასო დედა,
როცა გიცქერი მაგ შენს თვალებში,
ო,!.. რამოდენა სიყვარულს ვხედავ,
სხვაგან ვცხოვრობდე, რა მოხდა მერე,
მე საუკუნოდ შენი ვარ დედა,
შენი სისხლის და გენების ნაწილს
ვიცი რომ მიხმობ როცა ვერ მხედავ
ეს გული როცა შენსკენ მოიწევს,
შენს გულშიც ვიცი უკვე რაც ხდება.
კარს შემოვხსნი და თბილად ნათქვამი,
„დედა გენაცვალოს“ ჭიშკარში მხვდება,
მაგ შენს ჭაღარას როცა ვუცქერი,
იმ ღამეების ნაკვალევს ვხედავ,
ბევრჯერ რომ თეთრად დაგთენებია
და იმ ტანჯვისთვის მე ახლა ვღელავ,
ახლა, რადგანაც მე უკვე ვიცი,
შვილებისათვის ვინ არის დედა,
ღმერთო! ამას გთხოვ, დიდხანს მიცოცხლე,
ძალიან დიდხანს მაჩუქე დედა!!!



მე საქართველოს ხიბლი მიყვარს, ყველა კუთხისა!

მე საქართველოს ხიბლი მიყვარს ყველა კუთხისა,
ბაღ-ვენახები, ზღვა, ტყეები, მთები ამაყი
და ამ მშვენების საიდუმლო იცით რაშია?
რომ საქართველო, ქართველებით არის ლამაზი.
თბილისის ცაზე აფრენილი ხოხობი მიყვარს,
მთების წვეროზე გაჩეკილი არწივის მართვე,
თქვენ ამ სამოთხეს ვერ იგუებთ, უცხოა თქვენთვის,
ბარბაროსებო! გაგვეცალეთ, თქვენი რა გვამრთებს.
ხომ არ გგონიათ საქართველოც ტრამალებია,
ის ათჯერ მეტი, მთებია და იალაღები,
ის სამოთხეა, ერთდროულად მთაში რომ მოთოვს,
იმავ დროს ბარში გაშლილია ია-ვარდები.
ის ედემია, ამ ედემში ჩექმას რა უნდა,
აქ სიყვარული, ოჯახური სიწმინდე სუფევს,
მთაში ადით და დაინახავთ ბიჭი გოგონას,
როგორი სუფთა, ვაჟკაცური თვალებით უცქერს...
იალაღებზე მოჯირითე ვაჟკაცი მიყვარს,
ყველა ასული, ვისაც გული სიამით უძგერს,
წმინდაო მარიამ! მოგვაცილე ყველა სატანა,
ჩვენსკენ სავალი გზა ჩაუკეტე სისხლიმსმელ უძღებს.

29.10.2015.წ.

მე ქართველი ვარ!

მე ქართველი ვარ, რაც იმას ნიშნავს,
ფესვებს მიმაგრებს ჩვენი წარსული,
მეამაყება იქ გავიზარდე,
სად ღირსეული ძე და ასულნი...
ის ინგილო ვარ, რომლის ნათქვამზე,
სპარსული ქუდის ერეკლეს შერცხვა,
ის მაია ვარ წყნეთელი ქალი,
როგორც მეომარს მათე რომ ერქვა.
მე თამარი ვარ, ქეთევანი ვარ,
ნინო, რუსუდან, თინათინ, ნატო,
მათი გენების ერთი ღერი ვარ,
არ გადავშენდეთ დღემუდამ ვნატრობ.
ჩემი სამშობლო თეთრი რაშია,
ძალით ნუ ადგამთ იმას უნაგირს,
მაინც აიწყვეტს, ვერ დაიმონებთ,
მალე გაიგებთ ჭიხვინს ულაყის.
მე ქართველი ვარ, რაც იმას ნიშნავს,
ჩემში ბობოქრობს ამაყი მთები,
და ვერ მომხიბლავს ევროპის ხიბლი,
მე ჩემი ქვეყნის სურნელით ვთვრები.
კავკასიონი დამნათის თავზე,
ჩამოშლილი მაქვს მხარ-მკლავზე თმები,
მე არ მივუშვერ სხვა სიოს გულ-მკერდს,
ქართველი ვარ და ქართველად ვრჩები.

09.11.2015.წ.

დედაშვილობა!

დედაშვილობა უფლისგან,
ღვთიური საჩუქარია,
დედა არ ვნახო უშვილოდ,
ობლობაც საწუხარია.
თუ გიცავს დედის ლოცვა და
გიცქერის დედის თვალები,
ჭიშკარში შესულს გაშლილი,
თუ გხვდება დედის ხელები,
ეს უდიდესი სითბოა,
ენით უთქმელი წუთები,
„დედა მოგიკვდეს," რომ გეტყვის,
როცა რამეზე წუხდები...
გულშ ჩაეკარ! ვიდრე გყავს,
ასეთ გულს ვეღარ შეხვდები,
ობოლს რომ მოგენატრება,
საფლავის ქვას თუ ემთხვევი.
მოვდივარ! ჩემო დედიკო,
ვიცი, რომ შემეგებები,
უფალი შენ თავს მიცოცხლებს,
მე ძლიერ შევევედრები.
დედისთვის შვილი სუნთქვაა,
საუნჯე დასაფიცარი...
დედა რომ გავხდი თავადაც,
ეს გრძნობა უკეთ ვიცანი.
ობლობა მძიმე ხვედრია,
სულის ტკივილია ვხედავ,
ნუ გამიმეტებ ამისთვის,
ჩემო საყვარელო დედა.

03.03.2015.წ.

ჩემი გურჯაანი

ჩემი იავნანა, ჩემი ნააკვნარი,
თვალის ახელიდან სულ აქ გულთან არი,
არა პარიზი და არა ვაშინგტონი...
ყველაზე თბილია ჩემთვის გურჯაანი.
შენმა ჰაერმა და შენი მიწის ღალამ,
უკვე გამზარდა და უკვე დამაქალა,
თუმცა მეც ცხოვრებამ, როგორც სხვა შვილები,
რაღაც მცირე დროით სად არ გამაქანა.
მაგრამ მე ვერ შევძლებ, შენ არ დაგინახო
და ვერც იმათ რიცხვში, მე ვერ შევერევი,
ვინც შენ სამუდამოდ ზურგი შეგაქცია,
შენ ხომ დედა ხარ და როგორ შეგელევი.
სხვაგან როგორ გავძლო, ჩემი იქ რა არი?
სხვისი ყველაფერი ჩემთვის უცხო არი,
მესმის, ისევ მესმის, ჩემი სკოლის ზარი,
აქ ხომ გახსნილი მაქვს, ყველა სახლის კარი.
მახსოვს დაწყებითი კლასის ექსკურსია,
ღვინის ქარხანაში, პურის ქარხანაში...
ბევრი ცხელი პური, იმ სუნს ისევა ვგრძნობ,
საოცრება იყო მაშინ ბავშვის თვალში.
ღვინო, ყურძენი თუ ატამი სახეჩი...
აბა თქვენ მითხარით სად არის ასეთი,
ხილი დაშაქრული, როგორიც კახეთში,
ჩემი გურჯაანი – გულია კახეთის.
კურორტი „ახტალა“, იქვე „პაპას-ბაღი,“
ობელისკები და დასვენების პარკი,
შენთან შერწყმული მაქვს ყველა მოგონება...
ზოგი სევდიანი, ზოგიც ძალზე კარგი.

რომელ ერთი ვთქვა და რომელს მოვეფერო,
ყველგან თვალს იტაცებს შენი სანახები...
სხვა რომ არაფერი, როგორ დავივიწყო,
ჩემი მამა-პაპის წმინდა სამარხები.

კორექტორს ვნატრობ გულისას!

კორექტორს ვნატრობ გულისას,
ყველა იარა წავშალო,
თან ისე სუფთად, წარსულის,
დარდები ვეღარ ავშალო.
სუფთა ფურცლიდან დავიწყო,
ხელები ფართოდ გავშალო,
მოყვასი გულში ჩავიკრა,
მტრის ნატერფალიც წავშალო.
შევძლო სიკეთით ვიცხოვრო,
ცხოვრებავ! რატომ ავშარობ,
მსურს ყველა ყალბად ნაგები,
საძირკველშივე ჩავშალო.
მედროვეების ბუნაგი,
სულ ხელაღებით დავშალო,
ვის სად გეკუთვნით იმ თავზე,
გნახოთ ქუდო და თავშალო.
დრო არ ჩერდება, სულ მიჰქრის,
ჩვენი სიცოცხლის სამგზავრო,
მუდმივად არც ჩვენ ვიქნებით,
მოგველის უფლის სამსჯავრო.

14.08.2015.წ.

ნეტა არ იყოს ქვეყნად ტყუილი

ნეტა არ იყოს ქვეყნად ტყუილი,
არ არსებიბდეს ნეტა ღალატი,
ვინც ასეთია ერთად მაჩვენა,
დედა ვატირო ყველა ამათი.
არამი იყოს რაც გაწეულა,
მათზე ზრუნვა და დედის ამაგი,
ღმერთმა სიცოცხლე მისთვის გიბოძა,
იყო სპეტაკი, იყო ამაყი.
კაცი, რომ კაცურ სიტყვას გატეხს და
ქალი, რომ დედის მანდილს შეარცხვენს,
ადამიანი არ ჰქვია იმას,
კაცი ენდოს და ის კი შეაცდენს.
სახეში გიცქერს ურცხვად გატყუებს,
როცა გჭირდება ზურგსაც შეგაქცევს,
მას რა ვუწოდო ან რა დავარქვა,
ვერა ვპოულობ სიტყვას შესაფერს.
განა იმისთვის მოხველ ამ ქვეყნად,
შენი სიცრუით ხალხს, რომ აბრუებ
თუ დახმარება არ შეგიძლია,
მითხარ სიმართლე, ნუღარ მატყუებ.
როცა კარგად ვარ და მეფერები,
როგორ ვიწამო, რასაც მპირდები,
დამიღამდება სადღაც გზაზე და
მაშინ დამტოვებ, როცა მჭირდები.
არ მჯერა, მეტყვი – შემთხვევით მოხდა
და ეგ განზრახვა გულში არ მქონდა...

იცი? რომ ხშირად ბევრად მწარეა,
ცულით კი არა ენით დაკოდვა.
არც იმის მჯერა, როცა სუფრასთან,
ვინმე მაქებს და ცამდე მადიდებს,
ხოლო საქმით კი მასზედვე იტყვი
„ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებს“
ახ! რა იქნება არ იყოს ქვეყნად,
ყალბი კაცი და ამდენი მასკა...
მახაროს ვინმემ – იცი რა მოხდა?
ყველა ტყუილის ფესვები გახმა.

22.09.2014 წ.

მე და მზე!

დილით მზემ თვალი ჩამიკრა,
შემომახვია სხივები,
მესიამოვნა, ვიყუჩე,
ვით დედის მკერდზე ჩვილები.
ვიგრძენ გავწითლდი სახეზე,
გამომეხატა ბროწოლი,
მაინც დავნებდი მზის გრძნობას,
მწველ გრძნობას ჩემზე მოწოლილს.
ბოლოს გულ-მკერდიც დამეწვა,
წითლად აენთო საკინძე,
გამოვფხიზლდი და აღმოვჩნდი,
ცრუ რეალობის ნაპირზე...

მამის თვალები

გვგონია დედას უფრო ვუყვარვართ,
გრძნობას ვამჟღავნებთ მეტად ქალები,
მაგრამ მე იმას რა დამავიწყებს,
როგორ მიცქერდნენ შენი თვალები.
რა დიდ სიყვარულს აფრქვევდი როცა,
დამინახავდი ჯერაც შორიდან,
დედას ეძახდი გახარებული,
სადა ხარ? ჩვენი ანა მოვიდა.
ვეფერებოდით ერთმანეთს თბილად,
გკოცნიდი ლამაზ წითელ ლოყებზე,
ძალიან ხშირად მსურს ჩაგეხუტო,
მაგრამ ვერ გკოცნი მაგ ცივ ლოდებზე.
განა ახსნიდი სიტყვებით იმას?
რასაც ჩემს მიმართ ეგ გული გრძნობდა?
თვალები მამა სულის სარკეა,
თვალით ნათქვამი ენით თქმულს სჯობდა.
მაგ გამოხედვას ვეღარსად ვპოვებ,
მე, მაგ თვალების დაკარგვა მიჭირს,
მარიამობას შენთან მოვდივარ,
მითხარ მამიკო თუ რამე გიჭირს.
მარიამობა თქვენი დღეც არის,
გარდაცვლილ სულებს შვენის ხსენება,
მამა! იმათაც დავუნთებ სანთელს,
ვისი საფლავიც არავის ელის.

27.08.2015.წ.

კახური მასპინძლობა

სტუმარი ღვთისაა, ღვინო კი ჩვენია,
კახეთში სტუმარს ხალისით ხვდებიან,
მობრძანდით ბატონო – ქვევრებთან გელიან
მრავალჟამიერს, საოცრად მღერიან.
წალამზე მწვადები, თონეში პურები,
სუფრის გარშემო ჩვენებურები,
ალალად გეტყვიან ღმერთმა შეგარგოთო
ეს- უანგაროდ, არ გვინდა ქულები,
ცოტა ბუნებამ იჭირვეულა,
გვალვამაც დაგვიწვა ხოდაბუნები,
მაგრამ კახეთში შემოდგომაა,
ღვთიური სითხით ივსება ჭურები.
აქ ქორწილების იხსნება სეზონი,
დგება წყვილების ნანატრი წუთები,
შემოგვიერთდით ნეფე-პატარძალს,
თქვენი დალოცვით გაუთბეთ გულები.
იმრავლონ, იხარონ, იბედნიერონ,
სამშობლოს აჩუქონ ბევრი შვილები,
ამ დალოცვილ და ღალიან მიწაზე,
არ დარჩებიან არავინ მშივრები.
რა გინდ მზე იყოს, მცხუნვარე თაკარა,
მაინც გაკეთდება კახეთში თათარა,
მაინც გაივლება გრძელ-გრძელი ჩურჩხელა,
კახელი ვაჟკაცია და არა ჩუჩელა,
სტუმარ-მასპინძლობას დალოცავს ყანწიდან,
გულით გადღეგრძელებთ და არა ყასიდად.

მონატრებულ მამას!

შუა ღამეა არ მძინავს,
ფიქრებმა სად არ წამიღო,
სიზმარში ხშირად გნახულობ,
ჩემო საყვარელო მამიკო.
თითქოს მარტო ვარ ამ ქვეყნად,
ცხოვრებამ მახე დამიგო,
ეს უშენობის ტკივილი,
დრომ ვერა და ვერ წაიღო,
ის შენი ანა აღარ ვარ,
შენ რომ იცნობდი შალიკო.
თითქოს სიცოცხლემ დამღალა,
გულიც და ჯანიც წაიღო.
აღარც ის კისკისი ვიცი,
ჩემში ასე რომ გიყვარდა,
შენ იყავ ჩემი იმედი,
შენი მარჯვენა მიცავდა.
ხშირად იმ მუსიკებს ვუსმენ,
შენ, რომ ძალიან გიყვარდა
მამა! ძალიან მიყვარდი,
დღესაც ასევე მიყვარხარ.

29.06.2014 წ.

თქვენა ხართ ჩვენი უკვდავი სული!

სოფ. ხვითის ბრძოლის გმირები

თქვენა ხართ ჩვენი უკვდავი სული,
ანგელოზებად ზეცას ასული,
თქვენი სიკვდილით დარჩა მწუხარი,
ერი, ბერი, თუ ბევრი ასული...
თქვენში ყიოდა ქართული გენი,
როს მტერს ეკვეთეთ აბჯარასხმული,
და იქ დაღვრილი სისიხლის წვეთებით,
ყველა ჩვენგანი ვართ დაღდასმული.
თქვენ იცით ვინ ხართ? – ჩვენი გმირები,
ჩაუქრობელი თაფლის სანთელი,
თქვენს სადიდებელს ყოველთვის იტყვის,
ვიდრე არსებობს ერთი ქართველი.
ანდაც როგორ არ გვემახსოვრებით,
ჩვენო შვილებო, ყველანი ვხვდებით,
უთანასწორო ომში ურჩხულთან,
თქვენ საქართველო გეჭირათ მხრებით.
კარგად იცოდით, მაინც არ შედრკით,
ბრძოლა გელოდათ და თანაც ვისთან,
მტერს ზურგი მაინც არ დაანახვეთ
და დაასრულეთ სიცოცხლე ხვითთან.
მუხლმოდრეკილი, თაყვანს ვცემთ გამზრდელთ,
უსაზღვროდ ტანჯულ, თან ამაყ დედებს,
ჩვენც ძლიერ გვტკივა მათი ტკივილი,
თქვენი აღზრდისთვის ვუკოცნით ხელებს.
ბოლო წუთამდე, ბოლო ტყვიამდე,
მედგრად ებრძოდით სისხლისმსმელ ქორებს,
იქ მოკვდით, მაგრამ თქვენ იმ წუთიდან,
მარადიული სიცოცხლე ჰპოვეთ.

დედა ის არის

დედა ის არის, ვისაც ახსოვხარ,
დაბადებიდან ბოლო წუთამდე,
ვიდრე გიცქერის დედის თვალები,
ის გლოცავს ბოლო ამოსუნთქვამდე.
გხედავს თუ არა, სულ თან დაჰყვები,
მის გულში არის შენი ხატება
და ხშირად თვალწინ განვლილი წლების,
ეპიზოდები დაეხატება....
ხან გხედავს ისევ ჩვილს და ფუმფულას,
როგორ უსვამდი პატარა თითებს,
როგორ წარმოსთქვი პირველად აღუ,
აკაპუნებდი ჭიქაზე „კიჭებს“.
მას ახსოვს შენი პირველი ფოტო,
პირველი ზარი სწავლის დაწყების,
ახსოვს რამდენჯერ „ვეფხვად“ ქცეულა,
მის შვილს თუ ვინმე ერჩის და სწყევლის.
ისევ ინახავს იმ „დედა-ენას“,
რითაც ისწავლეთ ერთად ანბანი,
დედაა, ვისაც არ ავიწყდება,
შენს თავს მომხდარი ყველა ამბავი...
შემდეგ კი ყრმობა და სტუდენტობა,
შენს მომავალზე ფიქრი და დარდი,
დაუსრულებელ ზრუნვა, ფოფინში,
დედის სიცოცხლის წლები კი გარბის.
თუ დაგინახავს მყარად ფეხზე მდგარს,
მისი ოცნება ცხადი გახდება,
თუკი შეძელი ფონის მონახვა,
ყველა უფსკრულზე ხიდის გადება....

დედა სანაცვლოდ არაფერს მოგთხოვს,
მას მხოლოდ შენი სიცოცხლე კვებავს,
მუდამ გახსოვდეს ეს ის „კრუხია“,
თავგანწირვით რომ ეკვეთა კვერნას.

15.05.2015.წ.

არ მოგვიშალო იმედი!

აპრილ-მაისში ვიგლოვეთ,
ივნისმა დაგვცა თაზარი,
ამდენი ტკივილისაგან,
თმებს შემოეწნა ზამთარი.
კი! თმებმა ფერი იცვალა,
დარდს ამით გასცა პასუხი,
მაგრამ გულს რა ეშველება,
სევდის რომ უჭერს მარწუხი...
კარს შემოდგომა მოგვადგა,
გვეყოს დარდი და ტკივილი,
გვესმოდეს: მაჭრის ჩუხჩუხი,
ბავშვების ჟივილ-ხივილი.
დამკრახულ შემოდგომაზე,
დარდი აღარ გვსურს მცირედი,
არ მოგვიშალო უფალო,
გლეხის მარჯვენის იმედი.

13. 08. 2015 წ.

მე მამის გული უკვე დავკარგე!

მე მამის გული უკვე დავკარგე,
დედა შენს გულსაც ნუღარ წამართმევ,
მე უმისობა სულს ისევ მიწვავს,
კვლავ ამ დიდ ტკივილს თავს ვერ გავართმევ.
მომისმენია როცა იძინებ,
პირჯვარს იწერ და უფალს მავედრებ,
მომიხარია შენთან, რომ მოვალ,
დედის გულსა და სითბოს მახვედრებ.
ეს ლოცვა მიცავს, ეს მაძლიერებს,
სხვაგან მე ამ გულს სადღა ვიპოვი,
მწარედ ცდებიან, როცა ამბობენ,
თურმე ყველაფერს ფული იშოვი...
ნეტავი მკითხონ დედა თუ განძი?
ამ არჩევანის წინაშე დავდგე,
იმ უსულო და ბრიალაა ნივთებს,
მე მირჩევია – დედა შენ მყავდე.
თურმე დედ-მამა შენზე რომ ზრუნავს,
მაშინ ყველაზე ბედნიერი ხარ,
მამა უფალმა იხმო თავისთან,
ახლა დედაც და მამაც შენა ხარ.
ვიცი, რომ თბილად გიზივარ გულში, .
ვგრძნობ სუყველაფერს მეც ხომ დედა ვარ,
შენი სუნთქვა ვარ, შენი დარდი ვარ
სიხარული და პირჯვრის წერა ვარ.
შენ თუ დამტოვებ ამ დიდ სიყვარულს,
მე არავისგან აღარ მოველი,
ნუ დამავიწყებ, გთხოვ ამ თბილ სიტყვებს,
„ჩემო დედიკო, შენთან მოვედი“

05. 10. 2014.წ

მზის აღსარება!

მზემ მითხრა მოგეფერები,
წითლად აგინთებ ღაწვებსო,
გთხოვ, სახეს ნუ მომარიდებ,
სხივებს ჩაგიდნობ ბაგესო.
თან ჩემი გულის დარდის თქმა,
იქნებ როგორმე გავბედო...
მთელ დედამიწას დავნათი,
მაინც ვერ ვპოვე საბედო.
გაზაფხულს ყველას ვუყვარდი,
ჩემს სხივებს ეფიცხებოდნენ,
„მზეო! ამოდი გაგვათბე“...
სიყვარულს მეფიცებონენ.
ნუ გიკვირს! მართლაც ასეა,
ყველას ვუყვარდი, მიყვარდა,
მაშინ სარეცლის გაყოფის,
ღირსად არავინ მიმაჩნდა...
დადგა თუ არა ზაფხული,
სუყველა სახეს მარიდებს,
ვგრძნობ გრილ სიოზე გამცვალეს,
მე აღარავინ მადიდებს.
შემოდგომაზე ვსუსტდები,
ხანმოკლედ-ღა მაქვს ნათება,
და აღარავის არ ჰყოფნის,
ეს მცირე გამონათება.
ზამთარში ხშირად არ ვჩანვარ,
აღარ ვარ მწველი, ამაყი,

ჩემს ძებნას იმას რჩეობენ,
გათბნენ დალიონ არაყი.
ეჰ! გაზაფხული სხვა იყო...
ქება-დიდება მესმოდა,
და არ მეგონა იღბალი,
სევდის ისრებსაც მესროდა.

04.07.2015.წ.

სიყვარულია სამყაროს მთავარი ავან-ჩავანი!

ხშირად უთქვიათ დიდი გული გაქვსო,
უგულო ხარო კი არასოდეს,
ისიც უთქვამთ, რომ დიდი ბავშვი ხარო,
გულღრძოობას თუ ეს არა სჯობდეს.
განა რთულია? ღიმილს აფრქვევდე,
ფოთოლცვენაა, უკვე ზამთრდება,
მაგრამ ალალ და თბილ სულში ყოველთვის,
მუზაც და გრძნობაც უფრო მძაფრდება.
წლები? გავიდეს, გაფრინდეს, მერე რა?
გულის გზა გვქონდეს აღმა სავალი,
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ა მთელი სამყაროს,
მაინც მთავარი ავან-ჩავანი.

20.11.2015.წ.

აღსდგა! გაბრწყინდა! თქვენი სულიკო!

ეს სიზმარია, თუ წინათგრძნობა,
შემომეფეთა ვაჟას არწივი,
დაჭრილი მხარი გამიმთელდაო,
ყველას შევუნდე, აღარას ვჩივი.
მას რომ დავცილდი ფლოქვის ხმა მესმა,
ჩემსკენ მოჰქროდა ტატოს მერანი,
გადავთელეო შავი ყორანი,
დავაჩოქეო მტერი ვერაგი,
ამიერიდან ვერ გამაჭენებს
მე უგზოუკლოდ უკვე ვერავინ.
გულს მომეფონა ამის გაგება,
ყური დავუგდე უტკბილეს ჰანგებს,
ჩანგურს სიმები გამთელებოდა,
ზედ დამღეროდნენ აკაკის ნამღერს...
ეკლებში არა, არც ობლად არა,
ვარდი წალკოტში ამოსულიყო,
თავისუფლებას სტვენდა ბულბული,
ის გალიიდან გამოსულიყო...
ილიას ვუთხარ: რომ გავიღვიძეთ,
უკვე ნათელი წამოსულიყო,
მშვიდად იძინეთ ერის მამებო,
აღსდგა! გაბრწყინდა! თქვენი სულიკო.
ეს ვთქვი და მართლა გამომეღვიძა,
დილის მზე უკვე ამოსულიყო,
მე ბედნიერი ავდექი რადგან,
სიზმარი ჩემში გადმოსულიყო.

03.10.2015.წ.

განა იმიტომ გაცალეს თოფი?!

განა იმიტომ გაცალეს თოფი,
როს დაიბადა ოჯახში ვაჟი?
განა იმისთვის ზრუნავდნენ შენზე,
რომ გაზრდილიყავ ჯანმრთელი კაჟი?
ანდა იმისთვის სტეხდა ღამეებს,
თეთრად ათევდა დედა საწყალი?
როცა იყავი ავად, შეუძლოდ,
წუთ-საათობით გესვა წამალი?.
ან როს იდგავდი პირველ ნაბიჯებს,
რომ არ ენახე ძირს წაქცეული,
განა იმისთვის დაგდევდა უკან,
შენზე ზრუნვისგან გიჟად ქცეული?
რას იფიქრებდა, როცა ნატრობდა,
შენგან პირველად გაეგო – დედა!
თუ კი იმ დღესაც მოესწრებოდა,
შენ ასეც გეთქვა – „ვახ ჩემი დედა..“
ბევრად ერჩია მას ლაპარაკი,
შენთვის სულაც არ ესწავლებინა,
ვიდრე შვილს თავის მშობელ დედისთვის,
ეს უღირსობა ეკადრებინა...
შვენო შვილებო, „ოხ ჩემი დედას“
ვიდრე წარმოსთქვავთ ასე „ამაყად“
ძალიანა გთხოვთ, იქნებ დაფიქრდეთ,
ამაგს ნუ ირგებთ ასე არამად.
დასაბამიდან ქართველი კაცის,
სიწმინდე იყო დედის მანდილი,

რა მოხდა ახლა, მაშ რამ შეგცვალათ?
მათგან გაშორებთ დრო და მანძილი,
მაგრამ გენი ხომ იგივე არის?
თუკი შენ ისევ გქვია ქართველი,
თუკი დადიხარ ქართულ მიწაზე,
რატომ აგინო დედა გამზრდელი?
ის აზრი თითქოს ვაჟკაცობთ ამით,
მერწმუნეთ შვილო ძალზე მცდარია,
რა წუთშიც დედას აგინებს შვილი,
იმ წუთიდანვე დედა მკვდარია...

სიზმარი!

სიზმრად ვნახე ჩაგეკიდა ხელი,
გავუყევით მთისკენ სავალ გზაზე,
ჯვარსა გვწერდნენ ჯადოსნური მთები,
ვალსს უკრავდნენ არწივები ფრთებით.
და ეს იყო სიყვარულის ჰიმნი,
ჩვენც ვცეკვავდით მთების ექოს ჰანგზე,
მასპინძელმა არწივებმა ბოლოს,
სარეცელი გაგვიშალეს ცაზე.
ირგვლივ მხოლოდ ორი გული ძგერდა,
სიყვარულში დაგვათენდა თავზე,
ცა გაბაცდა, ვარსკვლავებიც გაქრა,
გამეღვიძა ჩემი გულის ხმაზე.

04.09.2015.წ.

რად შემაძულე მამა აპრილი!

მე ხომ სიცოცხლე შენით დავიწყე,
შენს მხრებქვეშ ყოფა იყო ადვილი,
იმედის ფრთები რატომ მომტეხე,
რად შემაძულე მამა აპრილი.
ეჰ! კიდევ ბევრჯერ გაზაფხულდება,
კიდევ მრავალჯერ მოვა აპრილი,
მაინცდამაინც სიყვარულის დღეს,
რატომ მამყოფე ცრემლად დაღვრილი.
შენ არ იჯავრო, კარგად ვარ მამა,
ღვთის მადლით ხელი არ მაქვს გაწვდილი,
მაგრამ რა ვუყო, გულს ვერ ვიმთელებ,
სულ იტანჯება შენი ნაწილი.
რამდენი წელიც უნდა გავიდეს,
ჩვენ გვაშორებდეს დრო და მანძილი,
მე მაინც ვიტყვი, მამას ქალი ვარ,
მე შენ დამხურე თავზე მანდილი...
სხვა ყველაფერი ცვალებადია,
გენები არის მყარი, ნამდვილი,
მე ვეფერები იმ წლებს, იმ წუთებს,
ტკბილად რომა გვაქვს ერთად გავლილი.
მე ძლიერ ფესვზე ნახარები ვარ,
რომლის გახმობა არ არს ადვილი,
მშვიდად იძინე ჩემო მამიკო,
შენი შვილი ვარ, შენი ნამდვილი...

04.05.2015.წ.

არ გაგექცეთ სხვისკენ თვალი

ასაკში, რომ შედის ქალი,
სილამაზის რჩება კვალი.
მერე რა რომ სიყმაწვილემ
გაიხურა უკვე კარი.
გაიხსენეთ ისევ ქმრებო,
არ გაგექცეთ სხვისკენ თვალი,
გახსოვთ? ეს ის გოგონაა,
ვისიც გწვავდათ ტრფობის ალი,
თვალდახუჭულს რომ შეგეძლოთ
მის სახეზე პოვნა ხალის.
რა ვუყოთ, რომ წლებმა უკვე
მას დაატყვეს თეთრი კვალი,
მის შუბლზე და თვალთა ირგვლივ,
ნაოჭების გაჩნდა ღარი,
წლებმა თქვენც ხომ დაგათოვათ,
გიძღვნათ თვისი „საჩუქარი“
ცოდვა გამხელილი სჯობს და
არც თქვენ გიქრით ძველი ქარი.

მაინც მოგაგნებ ქალო...

რაც უფრო გადის წლები,
უმისამართო ვხდები,
შენ ჯეჯილივით ღელავ,
დარდი არა გაქვს ჩემი.
ფაფარაშლილი მოვქრი,
ფლოქვებს არ ვურტყავ მიწას,
ბედაური ხარ ჩემი,
შლეგი მუსტანგი მიცან.
ჩემი ლიცლიცა ზღვა ხარ,
მე უკაპიტნო გემი,
რაკი შევცურე ერთხელ,
მანდ სამუდამოდ ვრჩები.
შეუსვენებლად მოვქრი,
გრძნობებს ვერა ვდებ აღვირს,
ისე მიზიდავ შენსკენ,
რომ ვეღარ ვხედავ ნაპირს.
გაზაფხული ხარ ჩემი,
მე სად ვუცადო აპრილს,
გამოიქეცი ჩემსკენ,
მკლავებს დაგახვედრ გაშლილს.
ოოო! რა სუნი აგდის,
გაზაფხული დუღს შენში,
მე ეგ სურნელი მათრობს,
მე ეგ სურნელი შემშლის,
თუ ჩავიდინე რამე,
პასუხს ნუ მომთხოვ შეშლილს.

მაშინ რად გიკვირს თუკი,
უმისამართო ვხდები,
ოცნების მწვერვალი ხარ,
დაპყრობა რომ მსურს, ხვდები?
მიტომ მოვქრივარ ასე,
მიტომ ვერ ვიშთვენ ლაგამს,
ვიცი მწვერვალზე მიცდი,
გრძნობით თვალებსა ნაბავ.
მაინც მოგაგნებ ქალო,
დაგეწაფები წყაროს,
ისე ჩაგიკრავ გულში,
ვერავინ ვერ გაგვყაროს.
ჩამობნელდება როცა,
თავი დამადე მხარზე,
ვარსკვლავთა სიკაშკაშე,
ერთად ვითვალოთ ცაზე.
მაშინ აღარსად წავალ,
იქვე ჩავუშვებ ღუზას,
მე შენ მოგიძღვნი ლექსებს,
ჩემს საოცნებო მუზას.
ტრფობის სტრიქონი გასჭრის,
ბედს არ მარგუნებ მუხთალს,
მაინც გაგხედნი კარგო
და დამნებდები მუსტანგს.

30.09.2014 წ.

არ შემხვდეს ანარჩეველი

ხომ არ ვტყუვდები გვირილავ,
მითხარი, რამე მირჩიე,
ისედაც ცხოვრებისაგან,
ნაღველი ბევრი ვიმწვნიე...
დღეს ვინმეს ნდობა ძნელია,
სიტყვა ვთქვათ ერთ-ურთს ავკარგზე,
ცრუ, ნიღბიანი, გიყვარდეს,
გზად ღილებივით დავკარგე.
გინდ კაცის, გინდა ქალისა,
ნდობა თუ არი მასწავლე,
რომ კიდევ ერთხელ არ შევცდე,
კიდევ ერთხელ არ გავწვალდე...
არ გამიბრაზდე გვირილავ!
არ თქვა: შენ შენი იცოდე,
სულს თუ ამოთქმით შვება სურს,
გთხოვ, ხელი გამომიწოდე.
მგონი ტყუილად გაწუხებ,
შენ ბედისა ხარ მრჩეველი...
იქნებ დობილიც /ძმობილიც/ მირჩიო,
არ შემხვდეს ანარჩეველი.

31.07.2015.წ

ბევრს თუ ვერ შევძლებ, მოგეფერები!

თუ შემიძლია სიკეთე ვთესო,
მაშ რატომ ვიყო ბოროტი, ავი?
თუ შემიძლია, რომ შევიყვარო,
შენ სიძულვილო მანებე თავი.
გვერდით ვიღაც თუ ტირის და უჭირს,
მაშ, რა ფასი აქვს მითხარი ჩემ ლხინს?
თუ შემიძლია მალამოდ ვექცე,
და მოვუნახო წამალი შენს ჭირს.
გული მაშინ მაქვს, ცრემლს თუ შეგიშრობ,
„ღობეს ჩხირს თუ არ ვუწოდებ სხვის ჭირს“
თუ ვერ გიშველი, ხომ განუგეშებ,
წამალზე უკეთ ზოგჯერ სიტყვა სჭრის.
თუკი არსებობს ქვეყნად შენება,
მაშ მოაშორეთ აქედან ნგრევა,
ეს სიცოცხლე ხომ ღვთის წყალობაა,
რად მოვიგონეთ ომი და რბევა?.
თუ შემიძლია, რომ მოგისმინო,
შენ შენი დარდი გამიზიარო,
გული მიტომ მაქვს ყოველთვის მოძმის,
ჭირი და ლხინი გავიზიარო.
ხან ვიცინო და ხან ცრემლი ვღვარო,
დაგიდგე გვერდში მოგცე იმედი...
ბევრს თუ ვერ შევძლებ, მოგეფერები,
ეს მაინც გქონდეს ჩემგან მცირედი,

02.05.5015.წ.

ახალო წელო!

ჩემო საქართველო გაგთენებოდეს,
ახალი წელი ფეხბედნიერი,
დაგკობებოდეს ძეთა სიმრავლე
და ასულები პირმშვენიერი.
მათ სახეებზე კრთოდეს ნათელი,
სხივი უჭკნობი სიყვარულისა
და საქართველოს გამთლიანებით,
გამოწვეული სიხარულისა.
რაც კი რამ გვქონდა დარდი, წუხილი,
ძველს გაატანე, იმან წაიღოს,
ცხენი წარსულის ადგას ბილიკებს,
სადავეები თხამ, რომ აიღოს.
თხა ბელადია, მოხერხებული,
წინამძღოლია მუდმივად ფარის,
ჩვენც ხომ სწორედ ეს გვჭირდება ახლა,
სიმარჯვე თხის და ძალღონე ხარის.
ახალო წელო! გადაგვავიწყე,
სიღარიბე და გვაკობე ხვავი,
მიეცი ყველა ოჯახს ბარაქა,
ჯანი მრთელი და იმედი ხვალის.

22.12.2014.წ.

ბედობა

დღეს ბედობაა, გახსენით გული
და ყველაფერი კარგად იქნება,
ჩაუთქვით თქვენი სურვილები და
ბედის გახსნაც ხომ ასე იწყება...
ახალი წელია, იცი რა ძნელია?
ბედობის დღეა გამორჩეული
და სწორედ ამ დროს, ამ ჟრიამულში,
მე ვზივარ ჩემთვის, მარტო ეული.
ყველა ვიღაცა მოელის ამ დღეს,
თოვლის პაპის თუ სხვათა საჩუქრებს,
მე კი ისიც კი არ მახსენდება,
უკანასკნელად როდის მაჩუქეს.
გაფრინდა წლები, ის აღარა ვარ,
ვინმესგან ვიყო ამორჩეული,
ამიტომ ვცოცხლობ ძველ ფიქრებში და
ძველ ოცნებებში გამოხვეული.
მერწმუნეთ არ ღირს მეფის სასახლეც,
თუ უნდა იჯდე მარტო, ეული,
ამას ჯობია, პატარა ქოხიც,
თუ იქ მოგელის გულის რჩეული.
დღეს ბედობაა, გახსენით გული
და ბედიც მუდამ თქვენთან იქნება,
თუ არ გინდათ, რომ ბოლოს ჩემსავით,
თქვათ მარტოობა ღმერთმა ინება.

02.01.2015.წ.

ბებიას!

არ მჯერა, რომ უკვე მეც გავხდი ბებია,
როდის გავაცილე წლები...
ადრე კი მეგონა, სულ მეყოლებოდი,
ჩემო საყვარელო ბები.
ვიხსენებ შენს თვალებს, შენს ღიმილს საოცარს
და მოგონებებით ვტკბები,
„ჩემო ჩირაღდანო“ მოხვედი? – მეტყოდი,
იმ სითბოთ მე ახლაც ვთბები.
შენს თვალში ყოველთვის მართალი ვიყავი,
დედა როდესაც მსჯიდა,
იმ სასჯელს ასმაგად მოვიხდი ოღონდაც,
ის წლები დაბრუნდეს მინდა.
მახსოვს, ჩემს ცრემლებს ვერაფრით იტანდა,
ვერ ეგუებოდა პაპა,
თქვენს მერე „ქომაგი“ ვეღარსად ვიპოვე,
როგორ დაგივიწყოთ აბა...
ბები ამას გთხოვ, ძილში დამესიზმრე,
ერთხელ ჩაგეხუტო კიდევ,
მიჯირს დავინახო კარი ჩარაზული,
ანდაც მტვერწაყრილი კიბე...
როცა მე უკვე თვითონ ვარ ბებია,
ამდენი გასულა წლები...
რატომ მემხრობოდით, რარიგად გიყვარდით,
ახლა უკეთესად ვხვდები.

ახალ წელს გილოცავთ კახეთო!

ახალი წლის მობრძანებას
მოგილოცავთ კახეთო,
მშვიდობა და სიხარული,
გქონდეს შინ და გარეთო.
როგორ გვიყვარს თოვლის პაპა,
შობას თვალს რომ ვახელთო,
შარშან მისი მოტანილი
საჩუქრები ვნახეთო.
ვიცი წელსაც გვესტუმრები,
არ დაგრჩება მხარეო,
კახელებიც გელოდებით,
გული გაგვიხარეო.
საქართველოს ყველა კუთხეს,
გვაქვს ჩვენ-ჩვენი ადათი,
საახალწლო სუფრისა თუ,
სიმღერების ლაზათი.
გოჯი, მწვადი, ინდაური,
ნაზუქი და შოთები,
გოზინაყი ჩურჩხელები,
ღვინით სავსე დოქები.
საქართველო! დაგელოცოს
ამიერ და იმ იერი,
კახელებმაც შემოვძახოთ,
ჩვენი მრავალჟამიერი.

ბუნების გამოღვიძება

ენძელამ ზამთარს აჯობა
და იაც გაახალისა,
უთხრა: დამთავრდა ძილის დრო,
გვმართებს გახელა თვალისა.
მეც გავახილე თვალი და
მომიალერსა აისმა,
თებერვალს ია ვიხილე,
გულში მიმატა ხალისმა...
მარტი ხომ ისეც ჩემია,
მარტი თვე არის ქალისა,
აპრილმა იასამნები,
ვარდები იცის მაისმა...
აპრილი? ოი! აპრილი...
კვირტების სკდომის ხმა ისმა,
აელვარდება ხე – ხილი,
როგორც ღაწვები ქალისა.
ძარღვებში სისხლი ჩქარდება,
ისმის ბღავილი ხარისა,
ყველა გულისწორს მოუხმობს,
ამ დროს მთისა თუ ბარისა.
ბუნების გამოღვიძება,
სუყველას გვმატებს ხალისსა,
თუ მკითხავთ მარტი კი არა,
ყველა თვე არის ქალისა.
ქალი სულ სასურველია,
მსგავსია მზის და მთვარისა,
მაგრამ ქალი რომ ჰყვაოდეს,
ზრუნვა სჭირდება კაცისა...

23.02.2015.წ.

გაზაფხულია მაშინ

გული რომ ფეთქვას დაგიწყებს,
გაზაფხულია მაშინ,
სისხლი რომ აგიდუღდება,
გაზაფხულია მაშინ.
ბუნება გარეთ გიზიდავს,
ვეღარ ჩერდები სახლში,
გარშემო ყველა რომ გიყვარს,
შენც სითბოს ეძებ ხალხში,
როდესაც ასაკს ვერა გრძნობ,
თავი გგონია ბავშვი,
გინდა ფეხშველამ ირბინო,
მინდვრად, მთაში თუ ბარში,
ხან პეპლებს გამოეკიდო,
ხან იჭყუმპალო წყალში,
მთელი არსებით იმღერო,
სულ სხვა ძალას გრძნობ ხმაში...
ვისთვისაც გიძგერს ეგ გული,
ჟრუანტელსა გგვრის ტანში.
გული რომ სიყვარულს ეძებს,
გაზაფხულია მაშინ.
ბუნებაც ჯადოსნურია,
ჰყვავის მთაში თუ ბარში,
ხეებზე კვირტები სკდება,
ზამთარი კვდება მაშინ.
თოვლი დნება და ჩანჩქერი,
მთიდან ეშვება ხრამში,
ირემი ირემს ეძახის,
მყვირალობაა მაშინ.

თევზი რომ წყვილად დაცურავს,
მდინარეში თუ ზღვაში,
მერცხლებიც მოფრინდებიან,
ბუდეს აგებენ სახლში,
ბიჭი რომ გოგოს იტაცებს,
გაზაფხულია მაშინ.

25.03.2013.წ

ახ! რად არა ვარ შენი ასაკის!

ახ! რად არა ვარ შენი ასაკის,
გადაგიშვებდი ვნების მორევში,
ისეთ სიყვარულს გაზიარებდი
არავის ეგრძნო, მსგავსი ტოლებში.
ლაგამს შევხსნიდი გრძნობას აწყვეტილს
და იქროლებდა ველად გაჭრილი,
ახალგაზრდობა, თავდავიწყება
გული მგზნებარე არა დაჭრილი,
მაგრამ ვაი, რომ სწრაფად გაფრინდა,
ის სიყმაწვილე, ლამაზი მნათე,
რომ აგყოლოდი ამ სიცელქეში,
რაღაც წუთებით ასაკიც დავთმე,
მინდა, რომ ვიყო შენი ასაკის
და სიყვარულის შარბათსა ვსვამდე.

გამიგონია ზოგი კაცისა

გამიგონია ზოგი კაცისა
ჭკუა – გონება ასე რომ სჭრისა,
„რა გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ენატრება სხვისა
„ჩემი რჩევაა ძვირფასო ქმრებო,
იქნებ დაფიქრდეთ, იქნებ შეიგნოთ,
ცოლებს ეფერეთ, თორემ გახსოვდეთ,
„მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს.“
ვიდრე ეძებთ და ნატრობთ სხვის ცოლებს,
თქვენსას მიხედეთ, იმას გაუგეთ,
თორემ ამ თგვენგან „დაწუნებულებს“
სხვა მამაკაცი უკეთ გაუგებს.
თქვენ კი კურდღლების მაძებარივით,
ორიდან ვერც ერთს, რომ ვერ დაიჭერს,
გვიან იქნება თითზე კბენანი,
ბევრი თქვენგანი თავშიც წაიშენს.
ცოლის ღალატი ნუთუ თქვენს გულში,
სინდისის ქენჯნას მაინც არ იწვევს?
ასი უღელი ხარ-კამეჩიც კი,
ვერ დააკავებს ქალს თუ გაიწევს.
ცოლს, რომ წაგგვრიან მაშინ მიხვდები,
შენი კაცობის დამთავრდა დღენი,
ვიდრე შენ სხვისი გენატრებოდა,
მონატრებია იმ სხვასაც შენი.
მერე რამდენიც გინდა იჯავრე,
ვეღარ, გაიგებ კვალსა მისასა,
გონს მოდით, ვიდრე ჯერ არ გითქვიათ,
ცოლი წასულა თურმე სხვისასა.“

გაიღვიძეთ!

გაიღვიძეთ საქართველოს შვილებო,
გაიღვიძეთ სანამ გვიან არ არის,
მუხას მუმლი კვლავ გარშემო ესევა,
ვინ მუხთალი, ვინაც ვითომ ალალი.
ვიდრე ჩვენ აქ ერთმანეთის შუღლში ვართ,
მუმლი გვკბენს და თანაც გულში ხარხარებს,
ქართველები სხვის მიწაზე შრომობენ,
აქ კი დედა, ბებო, უნდათ პატარებს.
აგერ უკვე შობა კარზე მოგვადგა,
როგორ ფიქრობთ ემიგრანტებს ახარებთ?
ახალ წელს რომ თქვენ თქვენს სახლში შეხვდებით,
მათი ცრემლი, მათი გმინვა გადარდებთ?
აიძულეთ ლუკმა პურის შოვნისთვის,
გზას გაუდგნენ სულ რჩეული ქალები,
საქართველო, ქართველთ გავუსაძლისეთ,
უცხოელებს ფართოდ ვუღეთ კარები.
ამ ქალების ნაზ მხრებზე დგას ქვეყანა,
მათ ვაბრალებთ, რომ დაეცა დღეს ლარი,
თურმე უფრო მეტად უნდა ეტანჯად,
რომ ეგზავნათ ბევრად მეტი დოლარი.
ქართველებო! ჩემო დებო და ძმებო,
ჩემი დარდი, ვიცი რომ თქვენც გაწუხებთ,
რა მაგალითს ვაძლევთ შვილებს, მომავალს,
ვის მიბაძვით ვზრდით ვაჟებს და ასულებს.
ყველა არხზე ან ნაც-ქოცის შუღლია,
ან შოუში კესარია, კონჩიტა,

ან მკითხავი, ან შორენა ან ნინა...
ნუთუ ხალხო უკეთესი არ გვინდა?
ვინ კითხულობს შოთას „ვეფხისტყაოსანს“
მისჯდომიან, ინდურ, თურქულ სერიალს,
გავიღვიძოდ ხალხო, რამე ვიღონოდ,
თორემ ბოლოს ჩვენ გვნახავენ სევდიანს...
ნუთუ მართლა აღარავინ აღარ გვყავს,
მისაბაძი ქალები და კაცები?
მათ დავუთმოთ მედიაში წუთები,
რად ვასწავლით ბავშვებს ხრიკს ქოც-ნაცების.
დაბეზღება, მოსმენები, ღალატი...
დაგგვიწყნია ერეკლე და კრწანისი,
ერთად დგომა, ერთგულება გვჭირდება,
სად ხარ ცოტნე, კვლავაც თაფლი წაისვი.
გააღვიძეთ ქართველებო გენები,
ჩვენს ფესვებზე მივცეთ ყლორტებს სავალი,
მუმლი მიტომ ვერას გახდა ოდითგან,
ფხიზლად იყვნენ დავითი თუ თამარი.

10.12.2015.წ.

გამითამამდი ზამთარო!

გამითამამდი ზამთარო,
გულში კიდევაც ღიღინებ,
თმის ფერი? მათ მივუძღვენი,
თეთრ ვარდებსა და გვირილებს.

გული? ისედაც სხვისია,
შენთვის არაა ადგილი,
ამ გულის დამორჩილება,
შენ არ გეგონის ადვილი...
მე ის გაზაფხულს ვაჩუქე,
გრძნობებით ჭკვა არეული,
ხან იცინის და ხან ტირის
მასავით გადარეული.
და მაინც მისით სულდგმულობს,
მხოლოდ გაზაფხულს ნებდება,
როგორც ცეცხლს, თუ სულს ჩავბერავთ,
ის არასოდეს ნელდება.

უძირო თვალები!

ეგ უძირო თვალები, მე ცის სარკე მგონია,
მაგ სარკეში ჩახედვის, ჟინმა ამიყოლია,
მინდა ამოვიკითხო, ვინა ვარ მაგ ცის ფონზე,
და ამ თვალებით გითხრა, ჩემი ზეცა გიპოვნე.
ეგ ცა მხიბლავს ლაჟვარდი, უღრუბლო და წკრიალა,
დაგინახე თუ არა გულმა შეიფრთხიალა,
მე ვიქნები დარაჯი, მაგ თმის ერთი ღეროსიც,
დამასვენე ხანდახან შენს წამწამთა ჩეროში.
არა! სიტყვა არ მინდა, გთხოვ ანდერძს ნუ ამიგებ,
ჩამახედე თვალებში და პასუხს მანდ გავიგებ...
ისეთ ვნებით ჩაგხედავ, გრძნობას ლაგამს ავუშვებ,
ტანში შეგაჟრჟოლებს და არსად აღარ გამიშვებ.

30.11.2015.წ.

განა ყოველთვის სიყვარულია?

განა ყოველთვის სიყვარულია?
გოგოს როს ეტრფის ბიჭი,
სინამდვილეში ის არის მეტი...
ღვთისგან ნაბოძი ნიჭი.
ამ ერთ სიტყვაში იმდენი რამ დევს,
ისე სათუთი წმინდა,
აი, ასეთი ლამაზი გრძნობა,
სუყველამ იგრძნოს მინდა.
სიყვარულია როცა მზადა ხარ,
შენი სუნთქვაც კი მისცე,
გული ფართხალით რომ გაიძახის,
მიხმე! ძვირფასო, მიხმე!
ეს დრო ყველასთვის სანატრელია,
თვალით უცქერი როცა,
მე იმ სიყვარულს უფრო ვაფასებ,
როცა ის არის შორსა...
და მაინც გიყვარს თავდავიწყებით,
იმის სითბოს არ კარგავ,
ათას შემხვედრის სახეში მაინც,
იმის სახესა ლანდავ...
ამაში რაა გასაკვირველი,
გოგოს რომ ეტრფის ბიჭი,
სიყვარული კი უფრო მეტია...
ღვთით მოვლენილი ნიჭი.

08.04.2015.წ.

გაშლილი ხელები, გახსნილი გული!

გაშლილი ხელები, გახსნილი გული,
იყოს ღიმილი, არ გვინდა შური,
მოდით! გეძახით! ერთად ვიაროთ
და საქართველო შემოვიაროთ.
წავიდეთ ერთად, სუყველა ვნახოთ,
რაჭა, სვანეთი, ქართლი, კახეთი,
იმერეთია თუ სამეგრელო,
განა გინახავთ? – სხვაგან ასეთი,
სილამაზე და მშვენიერება,
მთისა და ბარის, ტყისა თუ მიწის,
საქართველოა თვით სიყვარული,
მე ხომ სუყველას ჩამოთვლაც მიჭირს.
ამ სამოთხეში თრთოლდება გული,
აქ ხომ სუყველა გრძნობისგან იწვის.
ავიდეთ მთაში ყური მივუგდოთ,
მთების ბუბუნი ჰიმნივით ისმის.
მთა-თუშეთია, ხევსურეთია,
ყაზბეგია თუ სტეფანწმინდაა,
რა ბუნებაა, საოცრებაა,
ჰაერიცა და წყალიც წმინდაა.
წარსულს გვიცოცხლებს ჩვენი ტაძრები,
ალავერდი თუ სვეტიცხოველი,
გელათი, ზარზმა თუ ყველაწმინდა,
დიდება არის ჩვენი ყოველი.
კლდეში ნაკვეთი ჩვენი ვარძია,
სულის სავანე – გველის სიონი,
მთელ საქართველოს ამაყად უცქერს,
გვირგვინად ადგას კავკასიონი.

10.01.2014.წ.

გთხოვ, რომ არ წაგვართვა სულის ფერი!

გთხოვ, რომ არ დამტოვო გაზაფხულო,
იყოს, არას მიშლის თეთრი თმები,
მე ხომ ეგ სიგიჟე მხიბლავს მაინც,
შენი ყვავილების სუნით ვთვრები.
არა, არ დამტოვო გაზაფხულო,
სული არ დამირჩეს ცარიელი,
მხოლოდ შენი ძალით შევძელ დღემდე,
რაც კი გადავლახე ბარიერი...
გული შენ გეკუთვნის მომხიბვლელო,
სულიც დამიტოვე შენმიერი,
მხოლოდ შენით არის ყველა ქალი,
ასე ლამაზი და მშვენიერი.
მოდი, ნუ დაუთმობ ქალებს ზამთარს,
მხოლოდ ვუწილადოთ თმების ფერი,
როცა კვლავ აპრილი აფეთქდება,
ჩვენშიც დააბრუნე შენი ფერი...
და თუ, მაინც წახვალ გაზაფხულო,
თუკი დამთავრდება ყველაფერი,
შენგან სამახსოვროდ დაგვიტოვე,
გთხოვ, რომ არ წაგვართვა სულის ფერი.

გოგონას ვეძებ ხალიანს

ცისა და მიწის მიჯნამდე,
გოგონას ვეძებ ხალიანს,
სულ ერთხელ ვნახე, აქა მყავს,
გულში მყავს დიდი ხანია.
ბუნების ლაღო ქმნილებავ,
წელწვრილო, მკერდით სავსეთი,
ჩემს შესაშლელად ვინ გშობა,
რა დავუშავე ასეთი.
თითქმის სუყველგან დაგეძებ,
არ მინელდება განცდაო...
რომ ვერ ჩაგიკრა მოვკვდები,
მაშ, რას მარგია დაცდაო.
ალბათ მთის წვერზე დაგმალეს,
გაუჭირდება ასვლაო.
იალბუზზედაც ამოვალ,
თუკი საჭირო გახდაო.
ვერ შემაჩერებს შენს გზაზე,
თოვლი, ყინვა და ქარები,
გული მაქვს ცხელი, ის მათბობს,
მე, შენსკენ მოვექანები.

27.04.2015.წ.

გული მიტომ მაქვს, უნდა გავაღო!...

გული მიტომ მაქვს, უნდა გავაღო...
ავავსო სითბოთ და სიყვარულით,
რომ ვუფიქრდები ბევრად უკეთ ვარ,
გულს თუ არ მიღრღნის ეს სიძულვილი.
გული! ხომ თვითონ სიყვარულია,
სიძულვილს მასში არ აქვს ადგილი,
თუ სიყვარულით დადიხარ ქვეყნად,
ცხოვრება უფრო არის ადვილი.
თუ ვიგრძენ ვინმეს ჩემი რამე შურს...
შემიძულა, ან არ მეკარება,
რა საბრალოა, ვფიქრობ გულწრფელად
და მთელი გულით ის მებრალება.
ჩვენ სუყველანი ხომ სტუმრები ვართ,
მასპინძელი კი წუთისოფელი,
ქართველი სტუმარს პატივს სცემს – ცდილობს
გაულამაზოს წუთი ყოველი.
მაშ! მეც მაქვს შანსი, მეც ვარ სტუმარი,
და ერთმანეთის ვართ მასპინძელიც,
თუკი ოდესმე მეც შემეშალა,
ნუ მეტყვი მახსოვს „ის“ მაშინდელი...
ნურც დაიხსომებ, გულს ნუ ჩაიდებ,
და არც ეცადო სამაგიეროს,
უფალს მიანდე, ის უკეთ განსჯის,
თუ გსურს, რომ მან შენ გაგაძლიეროს.

გული წასვლას თუ მომთხოვს ოდესმე!

გული წასვლას თუ მომთხოვს ოდესმე,
ნუ დამაკავებთ,
სიცოცხლის სუფრასთან, ბოლომდე ვიჯდები,
თუ გამახარებთ.
უსამართლობის ყანწით დალევას,
ნუ დამაძალებთ,
ეს გული ამდენს, ვეღარ გაუძლებს,
თავს განაცვალებთ.
ვიცი ამ სუფრას, მხოლოდ შარბათით,
ვერ დავასრულებ,
ჩემს მისიასაც მთლად, როგორც მინდა,
ვერ აღვასრულებ,
მაგრამ, ჩათვალეთ მუხლმოდრეკილი
გეღაღადებით,
აქ სიმართლეც ზის და გთხოვთ, იმას
ნუ ეღალატებით.
დიდებულ სუფრას მინდა გაუძღვეს დღეს
ის თამადა,
სამართლის სასმისს, ყანწით შეგვასმევს,
ვინაც თამამად...
თუნდაც გვაგემეთ უსამართლობაც,
ოღონდ ფიალით,
ყანწი მოაღრჩობს და მოგვშორდება’
ოხერტიალი,
და ჩვენ კი მაშინ ამოვისუნთქავთ
ყველა დონეზე,
იქნება შევძლოთ, სიცოცხლის სუფრას
შევრჩეთ ბოლომდე.

გულო!

გულო! დაწყნარდი დამშვიდდი,
ჩამოდი ძირს დედამიწაზე,
ისე გაბიჯებენ ხანდახან,
როგორც ცარიელ ფიცარზე.
არწივი იყოს დაჭრილი
ჰკითხო რატომ არ ფრინდები?
გულო თუ ლაღი არა ხარ,
არავის არა სჭირდები.
მაგრამ რა შენი ბრალია,
ან ლაღი როგორ იქნები,
წლების სიმძიმე დაგაქვს და
გტანჯავს ათასი ფიქრები...
თმებიც იმიტომ თეთრდება,
თანდათან ათოვს ფიფქები,
მათ რომ შეხედავ სარკეში,
წარსულს იქიდან მიხვდები.
ასაკსაც თავისი მიაქვსო,
ისევ ის ვეღარ იქნები,
გულო! გამაგრდი, გაუძელ
ყველას ძლიერი სჭირდები...

დედა ენას!

დედა და ენა, – ორი სიწმინდე,
ყველა ქართველის გულის ფიცარი,
ორივე ერთად „დედა ენაა“,
რითაც პირველად თავი ვიცანით.
„დედა ენაა“ ჩვენი გონება,
მე მხოლოდ წიგნად ვერ შევიცანი,
წიგნი კი არა, თვალის ჩინია,
დასაცავი და დასაფიცარი.
„აი ია“ და „ეს არის თითი“
ისე ღრმადა გვაქვს გონს ჩაწერილი,
უცხო ქვეყნებში მიმოფანტულნიც,
მაინც შენად ვართ კვლავ დარჩენილი.
ენაა, რაც რომ გვაერთიანებს,
ერთ დიდ ოჯახად სახელად – „ერი“,
ღმერთო! დალოცე, გააძლიერე,
ყველა ქართველის ფუძე და ჭერი.
და როცა საქმე „ოჯახს“ ეხება,
პირადს ვივიწყებთ – მუშტად ვართ ერი,
ვაი! ვაი! რომ არ გვასვენებენ,
კარგს ხომ ყოველთვის ბევრი ჰყავს მტერი...

14.04.2015.წ.



დედა ენა!

ოცდაცამეტი ვარსკვლავით ხარ განათებული,
შენით ნათდება უმეცრების დიდი ბნელეთი...
როს შეერთდები და სიტყვებად აიკინძები,
მამცნობ სამყაროს, საიდუმლოს ცის და ხმელეთის.
ქართული ენა დიდი მზეა, თბილი, ნეტარი
და ასოები, ცხრათვალა მზის მწველი სხივები,
ქართული ენა, ეს დედაა – დედა მშობელი,
ხოლო ბგერები, ტკბილხმოვანი – მისი შვილები.
ქართულო ენავ! დედასავით საყვარელი ხარ,
მიტომ გიწოდებს „დედა ენას“ ყველა ქართველი,
შენს გადარჩენას, შენს დიდებას შევთხოვთ მაცხოვარს,
შენზედ ლოცვაში იფერფლება ბევრი სანთელი...
შევთხოვთ და გვჯერა, რომ გაქრობა არ გიწერია,
ვიდრე კაშკაშებს ცაზე მზე და მისი სხივები,
აღორძინდები, მტრის ჯინაზე გაიფურჩქნები,
სანამ ფეხზე დგას ქართლის დედა, თვისი შვილებით.
დედაო ენავ! – შენ დაზარდე ალგეთს ლეკვები,
შენით იზრდება და ამაყობს ყველა ქართველი,
შენით იკაფავს სიმართლის გზას ტატოს მერანი,
ვაჟას არწივი, ყვავ-ყორნების მიერ დაჭრილი.
გწამდეს ქართულო, იაკობის „დედაო ენავ“ “,
სისხლით დაგიცავს, თავს შეგაკლავს ყველა ქართველი,
არ დაუთმობენ მტერს საჯიჯგნად ილიას ენას,
აკაკის ენას, ვაჟას ენას, ენას რუსთველის...
და ამიტომაც შენ სიკვდილი არ გიწერია,
მათი კალამით ყველა მტერი იქნა ძლეული,
მსოფლიო გიცნობს, უძველესო, ტკბილო ქართულო,
მათი გენიით უკვდავებადა ხარ ქცეული.

25. 05. 1991 წ.

დეკემბერო!

დეკემბერო! გამომრიყე ნაპირზე,
არ ჩამიშვა სულმთლად ზამთრის მორევში,
დამიფარე, რომ არ გავხდე ნატრული,
ჩემეული ძალისა და ღონესი.
მაშინ ზამთარს შიშით აღარ შევხვდები,
დამათოვე, დამაყარე ფიფქები,
გაზაფხულზე თოვლს დავიფერთხ მხრებიდან,
კვლავ სიცოცხლის გიჟი ქალი ვიქნები...
დეკემბერო, რის თქმას სცდილობ, რა მკითხე?
გული თუ მაქვს ძველებურად ცხელია?
მეუბნები რომ გულია მთავარი,
დანარჩენი კი ჩავლილი წლებია...
რაც არ უნდა ყინვა იყოს ძლიერი,
ვხედავთ მაინც მზით მარცხდება ზამთარი,
და ჩვენც თუ გვსურს კიდევ გაგვიზაფხულდეს,
გული გვქონდეს სიყვარულით გამთბარი.

09.120.2015.წ.

ახალი წელი

ახალი წლის მობრძანება,
გვიხარია ყველას,
ნინოს, ცოტნეს, ანდრიას,
გიორგის თუ ლელას.
ყველას როგორ ჩამოვთვლი,
არ არსებობს ბავშვი,
საახალწლოდ ნაძვის ხე,
რომ არ მორთოს სახლში.
თოვლის პაპა! რომ ვერ გიცდი
და ვიძინებ ბოდიში,
შობის დილას მაინც მხვდება,
საჩუქარი ლოგინში.
მიკვირს ის ვერ გამიგია,
ამდენს როგორ იხსომებ?
ვინც რასა გთხოვთ, სწორედ იმას,
სასთუმალთან გვიტოვებ.
ცხენს ჭიხვინით გავაცილებთ,
გვიხარია პატარებს,
ახალი წლის მობრძანებას,
თხა, კიკინით გვახარებს.

08.12.2014.წ

„დიდი ბავშვების“ სამყარო

ქალსაც და კაცსაც ამ ქვეყნად,
ერთი რამა გვაქვს საერთო,
გვსურს დაგვიბრუნდეს ბავშვობა,
კვლავაც ბავშვურად გავერთოთ...
თვალწინ გვეშლება სუყველას,
ნეტარი წლები ანცობის,
საბავშვო ბაღში, სკოლაში,
იმ მეგობრების გაცნობის,
რომლებიც დღემდე გულში გვყავს,
ჩაწნულან ფიქრთა ცვენაში,
რამდენჯერ გავჯიბრებივართ,
სირბილში, ბურთში, ცემაში...
წლებს უკან ვერ დავიბრუნებთ,
რაც უკვე არის წასული,
სახელად დღევანდელ დღესაც,
ხვალე ერქმევა წარსული.
ბავშვობა რატომ გვიზიდავს?
მაშინ ვიყავით ხალასი,
მიტომ გვსურს ისევ დავბრუნდეთ,
იმ წლებში – ოქროს ხანაში.
გამოსავალი ვიპოვე,
დაგვიბრუნდება ბავშვობა,
რაც ცუდი ზნე შევიძინეთ,
თუკი შევძელით ჩახშობა.
თუ ბავშვის წრფელი გულით და
მისებრ ალალ თვალებით,
ბოროტებას და ინტრიგებს,
ახლოს არ გავეკარებით.

თუ აღარავინ იქნება,
მკვლელი, ორპირი, ჩამშვები...
გავისუფთავებთ სულს და გულს,
ვიქნებით „დიდი ბავშვები“.
უფალთან ახლოს მივიდეთ,
ვთხოვოთ ერთურთს არ გაგვყაროს,
ვახაროთ, რომ ჩვენ შევქმენით,
„დიდი ბავშვების“ სამყარო.

08.07.2015.წ.

დილით ლამაზია მთები

დილით ლამაზია მთები,
ამ დროს ბურუსია სერზე.
თუ მოგიფრინდა ფერია
ოდნავ ემთხვიე ხელზე.
ბარიდან მოსულს მკლავები,
ისე მოჰხვიე წელზე,
ძარღვებში სისხლ აუჩქროლდეს,
იფიქროს მხოლოდ შენზე.
შველის ნუკრივით ლამაზი,
ვით სურო გეჭდოს ყელზე,
იხარეთ, მაღლიდან ზეცა
ლაჟვარდი ჯვარსა გწერდეს,
ისმოდეს მთების ბუბუნი,
ლამაზ მუსიკად ჟღერდეს.

ემიგრანტებო!

ჩემო მეგობრებო, თქვენ მარტო არ ხართ, გვახსოვხართ და გვიყვარხართ. ამ ლექსით მინდა კიდევ ერთხელ მოგეფეროთ და მოგილოცოთ შობა – ახალი წელი.

ემიგრანტებო! მე კარგად ვიცი,
გტანჯავთ ეგ ყოფა, ჩვენგან სიშორე,
ამ გზით გადარჩით უსასოდ ყოფნას,
ცოტა ქონება კიდეც იშოვეთ...
მაგრამ რის ფასად კითხულობს ვინმე?
არას გიხდიან მხარზე გაწოლილს,
დედის გულსა და თქვენს დაღვრილ ცრემლებს
არის სასწორი მას რომ ასწონის?
ახალ წელსა და შობას გილოცავთ,
ემიგრანტებო უცხო მიწაზე,
ქართველი მაინც ქართველად რჩება,
მე ეს ვიგრძენი, მე ეს ვიწამე...
/მაია წოწორიას სპონსორობით/
არ მოიბუზოთ, გაშალეთ მხრები,
გაიღიმეთ და ცრემლი შეიშრეთ,
ფიზიკურად ხართ მარტო მანდ თორემ,
სულით ეგ თქვენად ვერვინ შეიგრძნეთ.
თქვენ ვაჟკაცურად იტანთ ყველაფერს,
ტანჯვას, წვალებას, ცრემლს და ურაგანს,
ვიცი რომ ბევრჯერ, თითოეულ თქვენგანს
სამშობლოს ზეცა სიზმრად უნახავს.
სიზმრად, რადგანაც სხვაგან სად ნახავთ,
ასეთ სამოთხეს მთა-გორებიანს,
გამოფხიზლება დაგნანებიათ

და ღაწვზე ცრემლი დაგგორებიათ.
ემიგრანტებო! მოვალ, მოგიტანთ,
იებს დაკრეფილს ჩემი ხელებით,
ქართული მიწის სურნელს შეიგრძნობთ
და მეც ახლოდან მოგეფერებით.

08.01.2016.წ.

დუელი

იმასა ვჯავრობ, რომ ჩემს ნებაზე,
ვერ გიმორჩილებ დროის ისარო,
მოგყვები, ვცდილობ გავითავისო,
ხანში შესულის ყოფა ვისწავლო.
მაგრამ ვაი რომ ეს არ გამომდის,
უდრეკი გენით ვარ შეკერილი,
ჟამო! გარედან თითქოს დაგნებდი,
სულით გოგო ვარ კვლავ შეღერილი.
მე ვერ ვიგუებ ფერებს გაცრეცილს,
ჩამქრალი გული რაღა გულია,
დროის ისარო! შენ იტრიალე,
მე კვლავ მჩქეფარე ყოფა მწყურია.
ვერ შეველევი გაზაფხულს რადგან,
ლაღი სიგიჟით თავისთან მიწვევს,
ცეცხლიდან ნაცრად ვერ გადვიქცევი,
ჟამო! სიბერევ! დუელში გიწვევ.

08.08.2015.წ.

თაიგული შევკარ შენთვის დედა!

დეკემბერში ისევ ჰყვავის ვარდი,
დღე გათენდა დეკემბრის თვის ოცი,
დაბადების დღეს გილოცავ დედა
გიხუტებ და მაგ ჭაღარას ვკოცნი.
ჩემს ბაღჩაშიც ისევ ჰყვავის ვარდი,
ისევ დარი, სითბოა და მ ზეა,
თაიგული შევკარ შენთვის დედა,
დღეს ხომ შენი დაბადების დღეა.
შენ მაჩუქე ეს სიცოცხლე დედა,
მაგ სითბოთი მეც გამითბე სული,
სულ ცდილობდი სიკეთის გზით მევლო,
მქონებოდა კაცთმოყვარე გული.
ჩემო ტკბილო, საყვარელო დედა,
შეგისრულდა დღეს ოთხმოცი წელი,
გიხარია ჩემი მოსვლა ძლიერ,
ისევ ისე, ხელგაშლილი მელი.
კიდევ დიდხანს მინდა მყავდეს დედა,
კიდევ დიდხანს მქონდეს გული შენი,
მომილოცავს საყვარელო დედა,
კარს მომდგარი შობა-ახალ წელი.

20.12.2014 წელი.

ეკას მიძღვნილი ლექსი დედას!

შენთვის დავკრიფე ეს გვირილები დედა,
ნაზად, რომ აცლის თეთრ ფურცლებს ქარი,
ჩემს საიმედოდ ღმერთმა გაკურთხოს დედა
შენ ხარ სამყარო, იმედი შენ ხარ ხვალის.
მინდა მოგიძღვნა ყველაზე ძვირფასი გული,
ჩემთვის სამყაროდ ღვთით კურთხეულო წმინდავ,
ნუთუ არსებობს შენზე ძვირფასი ქვეყნად,
დიდხანს გაცოცხლოს შევთხოვ მე ყველა წმინდანს.
უკვე მარტია და გაზაფხულდა ირგვლივ,
მწვანე სამოსელს ნაზად იხურავს მთები,
ამ ნაზ გვირილებს შენთვის მე შევკრავ კონად,
მერე ლამაზად, ფრთხილად ჩაგაწნავ თმებში.
დედის თვალებით მე ზეცა მიმზერს ნაზად,
მასზე ბრჭყვიალა მზე ღიმილია დედის,
თუ ცისარტყელა ნაზად მოქარგავს კარედს,
ესეც რატომღაც სახე მგონია დედის.

P. S. (მინდა მივუძღვნა ყველა დედიკოს,
განსაკუთრებით კი ჩემს დედიკოს ანნა ზაკალაშვილს
ავტორი:ეკა მთივლიშვილი)

2015.03.03

ეკას!

მომიძღვენი, იცი მიყვარს ვარდი,
ვარდზე ძლიერ მე შენ შემიყვარდი,
ასე კარგი, ლამაზი რომ მყევხარ,
ალბათ კარგო შენს დედიკოს ჰგევხარ...
უჩემოდ ხომ ერთ წუთსაც ვერ ძლებდი,
აბა მითხარ სხვაგან როგორ წევხარ?
ჩემთვის იყავ ყველაფერი მაშინ...
ახლაც ისევ შენ დედიკოს მზე ხარ.
ხომ გიყვარდა მოფერება ჩემი,
თავზე ხელის გადასმა და ნანა,
უჩემოდ რომ აძლებინებ ეკას,
სიყვარულო რა ძალა გაქვს განა?
რომ დატოვა დედიკო და სახლი,
ის შეცვალა სულ მთლად უცხოთ-ახლით,
აირჩია მან პაატას სახლი,
მას შემდეგ მე მოწყენილი გავხდი...

23.10.2014 წ.

იას!

შენით ვიგრძენი მე სულ პირველად,
გრძნობა, რომელსაც დედობა ჰქვია,
ცხრა თვე აქ მყავდი, ჩემთან სხეულში
და მომევლინე პატარა ია.
სხვა სანატრელი არა მქონია,
ოქრო, ვერცხლი ან რამე ქონება,

მე საამაყოდ მქონდა ყოველთვის,
შენი და შენი და-ძმის გონება...
დღეს უკვე დიდი ქალი ხარ დედი,
ნიჭიერი და დაფასებული,
მეამაყები ასეთი კარგი,
რომ ჩემთვისა ხარ დაბადებული.
მიყვარხარ! მითქვამს და კიდეც გეტყვი,
დედისგან ეს რა გასაკვირია,
სხვის თვალში ვისაც ფასი არა აქვს,
გარიყული და განაწირია.

გურამს!

ჩემი სული ხარ რომლითაც ვცოცხლობ
და გულის გული, მკერდში რომ მიცემს,
რომ დაიბადე ჩემი ოჯახის,
ფუძემ და ჭერმა, ფესვებმა იგრძნეს.
სულ ვამაყობდი შენით სუყველგან,
უნივერსტეტში, ჯარში, სკოლაში.
მშვიდად ვარ ვიცი თუ დავძაბუნდი
არ დაიღლები დედის მოვლაში...
დაბლიდან გიცქერ ჩემო საჯიშევ,
სიხარულისგან გული იხსნება,
სახლი რომ გახვალ ცარიელდება
დაბრუნდები და ისევ ივსება.
მადლობა უფალს, მე სხვა სიმდიდრე,
არ მსურს, არასდროს არ მითხოვია,
შენი აღზრდისთვის თუ დამლოცავენ,
ვიტყვი ტყუილად არ მიცხოვრია.

ვალსი

შენ გაზაფხული ხარ, ლამაზი ფერებით,
მე, შენ ყოველთვის მოგეფერები,
გახსოვს? მითხარი ვალი მაქვს ვალსის,
ვალი არ გვინდა, მომხვიე ხელები
და ჰა! იღვრება ლამაზი მუსიკა,
მოდი ვიცეკვოთ მე და შენ ვალსი,
ეს ცეკვა იყოს განსხვავებული
ჩვენებური და არავის მსგავსი.
იმ შარბათს ჰგავდეს, ერთხელ რომ დალევ
და ისევ გინდა მეორედ შესვა,
ვიცეკვოთ ვალსი ისეთი გრძნობით,
რომ ნეტარებით მეცხრე ცას შეგსვა,
სულში ჩამწვდომად, უკრავდეს მუსიკა
ჩვენ, ჩვენებურად ვიცეკვოთ ვალსი...
ვით ათას ერთი ღამის ზღაპარი,
ყურს გიჩურჩულო რაღაცა მსგავსი.
შენ ჯელტმენურად მომხვიე ხელი,
მუსიკის რიტმზე ირხევა წელი,
ჩემი თითები კისერს გიწვავენ,
გვიფორიაქებს გულს გრძნობა მწველი,
რა დროს სევდაა, რა დროს დარდია,
დრო სწრაფად მიჰქრის, ჩვენ არ დაგვიცდის,
თუ სიყვარულით ანთია გული
ბედნიერებას მაშინ განვიცდით.
მოდი! ჩვენ ისევ განვაგრძოთ ვალსი...
და აღარ ვიყოთ თუნდ ვალსის ვალში,
ეს ცეკვა იყოს განსხვავებული,
ჩვენებური და არავის მსგავსი...

დილით მზეს ჩრდილავ სიტურფით

დილით მზეს ჩრდილავ სიტურფით,
ღამით კი მთვარეს ახელებ,
მე კი დღითაც და ღამითაც
შენზე ოცნება მახელებს.
დღისით ღიმილით დავდივარ,
ღამით კი ბალიშს ვასველებ,
რა დაგიშავე მასვენებ...
რადგანაც ჩემი არ გესმის,
ატანილი ხარ წერაზე,
ვაპირებ გელაპარაკო,
მაგ ტანის ნაკვთთა ენაზე...
მწველი ამბორით გაგიხსნი,
ჩემად ჩარაზულ ბაგე-გულს
და მერე ერთად ვუსმინოდ,
ჩვენი გულების ბაგი-ბუგს.

05.06.2015.წ.



ვარსკვლავს ჩავუთქვი სურვილი!

ვარდმა სიტურფე გაჩუქა,
იამ სინაზე ქალისა,
ზეცა მიჯნურად დაგყვება,
ფერი გიბოძა თვალისა.
ბაგეზე მარწყვი დაგადნა,
სახეს გინათებს ბროწოლი,
მას შემდეგ რაც დაგინახე,
სევდას ვერ ვუძლებ მოწოლილს.
გული საგულეს აღარ მაქვს,
გაუჩერებლად ბუბუნებს,
ნეტავ მკლავს როდის დავიფენ,
მაგ შენი თმების ბულულებს.
გვირილას ვთხოვე მისნობა.
ჩემი ბედი ხარ თუ არა,
ვერც იმან დამაიმედა,
ხან ხო მითხრა და ხან არა.
ვინ მოსთვლის მთვარემ რამდენჯერ,
შენს სარკმელამდე მატარა,
ვარსკვლავს ჩავუთქვი სურვილი,
ჩემი გახადე პატარა.

12.12.2015.წ.

ზამთარი არ მაშინებს, სიბერეა აფთარი!

უკვე შემოდგომაა, მალე მოვა ზამთარი,
ზამთარი არ მაშინებს, სიბერეა აფთარი,
ჩუმად მოგეპარება, არ სჭირდება საგზალი,
ისეც ბევრი შთაუნთქავს, წლები სწრაფად გამქრალი.
ეჰ! ვინ მოსთვლის რამდენი, გაზაფხული, ზაფხული...
არ ჩერდება, ვგრძნობ არის, შორიახლოს დამდგარი.
ახლა შემოდგომაა, დარჩა მხოლოდ ზამთარი.
ყვითლდებიან ფოთლები, ძირსა ცვივა გამხმარი.
თუ ძლიერად არა გაქვს, ფესვი მყარად გამდგარი
და თუ გულიც არა არის საგულეში ჩამჯდარი,
მაშინ განწირული ხარ, თათს გამოგკრავს აფთარი,
სიბერემ თუ დაგჯაბნა – ხდები ჩია, საწყალი.
მაშ, რად გვინდა ასეთი, სიბერე და ზამთარი,
სხივჩამქრალი თვალებით, სიცოცხლე გვაქვს წამხდარი,
მას სჯობია გვიყვარდეს, გული გვქონდეს გამთბარი,
ისეც შემოდგომაა, მალე მოვა ზამთარი,
მე იგი არ მაშინებს – სიბერეა აფთარი....

ზამთარი

მოდის ზამთარი, მედიდური სუსხით და ყინვით,
აღარც მამლებს აქვთ შემართება, მოუკლეს ყივილს,
რადგანაც იგრძნეს ძველებურად აღარ თენდება,
არც მზე ამოდის დილით ადრე, მზეც სუსხს ნებდება...
ზამთარსაცა აქვს თავის ხიბლი, თავის მშვენება,
მიყვარს ფიფქები გაშლილ თმებზე რომ მეფერება

და როცა ბარდნის, სახეს ვუშვერ, უკან არ ვიხევ,
ფიფქი მადნება, თმებს მისველებს, თავზე არ ვიხვევ.
ვით სიყმაწვილეს, ახლაც მიყვარს თოვლში ტარება,
გულია ცხელი, მიტომ სურდოც არ მეკარება,
ვიდრე მე ვტკბები დათოვლილი გარემოს ცქერით,
ეს ერთი წელიც უცაბედად გამეპარება...

05.12.2015.წ

ზღაპარი დილა გათენდა!

ზღაპარი დილა გათენდა,
ცა გაანათა აისმა,
ჯადოსნურ სხივთა წყალობით,
ვიგრძენ იმატა ხალისმა.
ეზოში ჩასვლა მომინდა,
გულს გარეთ ყოფნა ეამა,
ძირს დავიხედე, იქიდან
შემომციცინა იამა.
ჯერ კიდევ თებერვალია,
ჯერ კიდევ არის ზამთარი,
მაგრამ იმარჯვა მძის ძალამ
მიწის გულია გამთბარი.
კი! ისევ თებერვალია,
კი! ისევ არის ზამთარი,
მაგრამ იამ ხომ მახარა:
გაზაფხულია დამდგარი.

06.02.2015.წ.

თამარ მეფე, „ოქროს ხანა“

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის მიჯნაზე,
გული ხარობს, რომ ვუცქერი საქართველოს რუკაზე.
ქართველები ამ პერიოდს, უძახიან „ოქროს ხანას“
რადგან მაშინ ჰყვაოდა და არ უჭირდა ჩვენს ქვეყანას.
ტახტზე იჯდა თამარ მეფე, შვილი – ბურდუხ, გიორგისა [მე-3]
შვილთაშვილი საამაყო – დავით აღმაშენებლისა.
ჭკვიანი და გონიერი, სილამაზით მზის სადარი,
მამამ ნებით გაამეფა – ბაგრატიონი თამარი.
ბოგოლიუბსკი იური, თამარს პირველ ქმრად ჰყავდა,
რუსი და ზნედაცემული, ლოთი იყო, მხოლოდ სვამდა.
მეორე ქმრად შეურჩიეს, ოსი – დავითი სოსლანი,
ორი შვილი შეეძინათ: გიორგი/ლაშა/ და რუსუდანი.
ფინანსური, კულტურული, ყოფა იყო გამართული,
ორ ზღვას შუა ფრიალებდა, ჩვენი დროშა აღმართული.
უნაკლო და უტურფესი, ხელს უწყობდა რელიგიას,
თამარ მეფის დროს აშენდა, ვარძია და ბეთანია...
ქალად იყო მშვენიერი, სახით ცისკრის სხივოსანი,
მის ეპოქაში შეიქმნა, შოთას „ვეფხვისტყაოსანი“
ცნობილია მისი ჯვარი, ის ზრუნავდა ქრისტეს რჯულზე,
ზურმუხტ-ლალის თვლებიანი, სულ ეკიდა თამარს გულზე.
ღირსეულად იმეფა და ღირსეულად განვლო დღენი,
ჯანმრთელობამ უღალატა, შეეყარა მძიმე სენი...
ბევრი ლეგენდის მიხედვით, ანდერძ იყო თამარისი,
ისე დამარხულიყო რომ, არ სცოდნოდათ საფლავ მისი.
ამიტომაც გაასვენეს მოოქრული ექვსი კუბო,
თუ რომელი სად დამარხეს, ამის მოწმე არვინ იყო.
ამბობენ რომ ის ოთხმა ძმამ, საიდუმლოდ დამარხაო,
ხოლო ძმები ამის მერე, ვეღარავინ ვერ ნახაო...
საქართველოს მეფე ქალი, გელათს არის სამარეში,
განისვენებს ქართველთ მეფეთ, ტრადიციულ საძვალეში.

თვალები!

თვალებია უტყუარი სარკე,
ამოლანდავს სულში რაცა ხდება,
ზოგჯერ მასში სიხარული ბუდობს,
ოჰ! ზოგჯერ კი დიდი სევდაც წვება.
ქალის თვალებს ნუ ჩააქრობთ ამისთვის,
ის არ არის ბოძებული ღვთისგან,
ზუსტად ვიცი სიყვარული აბრწყინებს,
ის მზესავით ნეტარია მისგან.
ყურადღების სულ მცირედი დოზით,
ელვარდება შენთვის, სხვისთვის ქრება.
ლავასავით შემოგაფრქვევს სითბოს,
ის ხომ მუდამ სულის სარკედ რჩება.

თეთრი ფიფქები ჩამეწნა თმაში!

თეთრი ფიფქები ჩამეწნა თმაში,
არადა სულში გაზაფხულია,
ზამთარს არ ვუშვებ წარმოსახვაშიც,
ოცნებით არ ვარ დაზაფრულია.
ქედმაღალი მე, არასდროს არ ვარ,
იცის ეს ყველამ, ვინც მიცნობს კარგად,
ზოგჯერ ღაწვებზე ცრემლებიც მაწვიმს,
იცით? მე მაინც იმედს არ ვკარგავ...
ყოველთვის ისეთი ძლიერი არ ვარ,
ერთი შეხედვით როგორიც ვჩანვარ,
ლამაზი გამოვა ოცნების ზღაპარი,
ისეთი სათუთი სიმებით ვქარგავ.

11.08.2015.წ.

თმაშევერცხლილი ქალი ვარ ერთი

მე ხომ არავის არ ვეჯიბრები,
თმაშევერცხლილი ქალი ვარ ერთი,
და ამ ნიღბიან წუთისოფელსაც,
მე, ჩემებურად უნიღბოდ ვებრძვი.
დიდი ვარ, მაგრამ გული მაქვს ბავშვის,
ალბათ ამიტომ სითბოც მჭირდება,
თორემ ცხოვრების ტყუილ-მართალში,
ო! რა ძალიან გამიჭირდება.
ბავშვივით მინდა მეფერებოდე,
იმ წუთში მართლაც დიდი ბავშვი ვარ...
წრფელი თვალებით მინდა მიცქირო,
არა ყალბად და არა ყასიდად.
ყოველდღიური ყოფის ატანა,
ცხოვრების ლელოს რქებით გატანა,
ირგვლივ ამდენი „მასკა“ – სატანა...
როდემდე შევძლოთ ამის ატანა?

04.01.2015.წ.

გ ი ლ ო ც ა ვ !!!

მარტში დაიბადე ჩემო დაიკო,
შენ გაზაფხულის გმოსავს მანტია.
მიტომ ხარ ასე გაზაფხულივით,
გადაპენტილი და თან პრანჭია.
ქალს ასაკს ხომ არ ეკითხებიან,
წლების სიმუხთლეს შენთან რა უნდა,
ის ყვავილი ხარ ჩემო მარინა,
ყველა დროში რომ ყვავილობს მუდამ.
ჩემს მეგობარს მარინა ლუაშვილს

31.03.2015.წ.

თოვლი!

გათენდა დილა და რა ვიხილე,
ციდან ცვიოდა თოვლი ფიფქებად,
ვის უხარია ეს ფანტელები,
ვინ კი ქცეულა ზამთრის ფიქრებად....
მაშინ გვახარებს ეს სიქათქათე,
მაშინა გვხიბლავს მხოლოდ ზამთარი,
როდესაც არ გვაქვს სიცივის დარდი,
სახლიც და გულიც, თუ გვაქვს დამთბარი.
თუკი ბუხარში გუზგუზებს ცეცხლი
და მარაგშიც გვაქვს შეშა გამხმარი,
თუკი მარანში ჰკიდია კავზე,
ღორის „ვიჩინა“ სუნელგამჯდარი.
იქვე ქვევრებში კახური ღვინო,
თუ ელოდება სუფრას, თამადას,
მაშინ მოვიდეს თეთრი ზამთარი,
არ გვეშინია ვხვდებით თამამად.
ახალი წელი კარს მოგვდგომია,
მასაც უხდება თოვლის ქათიბი,
და თოვლნაჭამი ინდაურისა,
ნიგვზით ნაზავი კარგი საცივი...
უფალო მიეც ჩემს ხალხს ბარაქა,
აღქმა ახალ წლის – სიხარულითა
და მოუყვანე წელი მრავალი,
სიმშვიდისა და სიყვარულისა.

25.11.2014 წ.

ახალ წელს გილოცავთ!

ახალ წელს გილოცავ შენ, საზღვარს რომ იცავ,
შენ, ვინც მსახურობ ჯარში,
შენ, ვინცა წეხარ საავადმყოფოში,
პრობლემები გაქვს ჯანში.
ახალ წელს გილოცავთ მეზღვაურებო,
მას ეგებებით ზღვაში,
გზას დავულოცავ ჩვენს ემიგრანტებს,
სიკეთით დაბრუნდით სახლში.
განსაკუთრებით მათ ვეფერები,
ვინც აჭრილია ცაში,
ჩვენო მფრინავებო, გილოცავთ ახალ წელს,
ახალ წელს ხვდებით გზაში.
ჩვენს სიმშვიდეზე, კარგ განწყობაზე,
მითხარით ვინ აგებს პასუხს?,
ამ დროს ორმაგად გადაღლილ ბიჭებს,
ახალ წელს ვულოცავ პატრულს.
ისეთ ახალ წლის მოსვლას ვისურვებ,
ნეტავ გვაცხოვრა ისე,
არა ხდებოდეს დანაშაული,
არ არსებობდეს ციხე.
თქვენთვის ბოლოჯერ მომელოცოს მანდ,
ახალი წელი ძმებო...
ყველა დაბრუნდით თქვენს ოჯახში და
პატიმრის ცხოვრება გეყოთ.
ახალო წელო! იმედით გხვდებით,
ნატვრებს ნუ გაფანტავ ქარში,
ყველასთვის იყავ ფეხბედნიერი,
სიკეთე სთესე ხალხში.

30.12.2014.წ.

თოლია!

სიზმარში ვნახე: შუა ზღვაში ვარ,
თვალსაწიერზე ვერ ვხედავ ნაპირს,
მინდა გავცურო, მთლად ენერგია
წაურთმევია უხილავ ვამპირს...
როცა დავკარგე იმედი ხსნისა,
ჩემს წინ დასკუპდა თეთრი თოლია,
ასე სკუპ – სკუპით მიხტოდა წინ-წინ,
გზას მიჩვენებდა ასე მგონია.
მიდი, მიჰყევი – ჩამესმა ყურში,
ნაპირს გაგიყვანს თეთრი თოლია,
ეს მე ჩავთვალე ასე საჭიროდ,
არ იფიქრო რომ ბედი გქონია.
აჰა! ძალა შენ არ დაგახრჩობ,
ვნახე რამდენი მადლი გქონია,
მადლი ქენი და წინ დაგხვდებაო,
მიტომ დასკუპდა შენს წინ თოლია...
და მეც გავცურე, ვიგრძენი ძალა,
უკვე ვხედავდი თვალწარმტაც ნაპირს,
მადლობა უფალს, დახმარებისთვის,
არ შემატოვა უხილავ ვამპირს...

თუ გული გულობს

თუ გული გუყლობს ქადას შეჭამ და
თხილის გულს ცხრა ძმა გაინაწილებს,
თუ გული გულობს გამხმარი ხეც კი,
სადღაც ერთ ყლორტზე დაიყვავილებს...
თუ მოინდომებ ხელს გაატოკებ,
შუა ზღვიდანაც გაინაპირებ,
თუ მოინდომებ მთასაც გადადგამ,
ცხოვრებას მაინც გაიადვილებ.
ოღონდ გინდოდეს გულით გეწადოს,
სიღარიბესაც გვერდს ჩააჩოჩებ,
ნაცარქექიას თუკი მიბაძავ,
ბევრად ძლიერ „დევს“ შენ დააჩოქებ...
ოღონდ იყავი მუდამ მართალი,
სიმართლის სხივი გზას გინათებდეს,
არ მიგატოვებს მაშინ უფალი,
არც გაგიკვირდეს თუ გიმართლებდეს.
არ დაივიწყო მუდამ გახსოვდეს,
ხერხი სჯობია მუდამ ღონესა,
თუ არ გინდა რომ რასაც გაექეც,
გადაეყარო იქვე ღობესთან.
წესად დაიდე ეს შეგონება...
უთქვამთ სოფელი ღონიერია,
აუცილებლად მიაღწევს მიზანს,
მაშინ, თუ კაცი გონიერია.

03.12.2014.წ.

თუ მოსვლა უნდა, ის ისეც მოვა

გაზაფხულია, ქარის ქროლვაზე,
ხეებს ყვავილი ფიფქად სცვიოდა,
მაგრამ არ აიყო ეს თოვლის ფიფქი,
არც ზამთრის სუსხი, სულ არ მციოდა.
გაზაფხულის პირს, ქარი მიტომ ჰქრის,
მიტომ იწყვეტავს გრძნობის მარწუხებს,
ეძებს: სიყვარულს უიღბლოების,
გაუცემელი კითხვის პასუხებს.
ბობოქრობს, დაჰქრის, ბოლოს ჩადგება,
ხვდება, რომ ძალით არა გამოვა,
მერე იტირებს, მარცხის ცრემლები
მაშინვე, ციდან წვიმად წამოვა.
ყოველ გაზაფხულს აახლებს ძებნას,
ოდესმე ჰპოვებს? რამეს გაიგებს?
თუნდაც იპოვოს რა ბედენაა?
ქარით მოსულს ხომ ქარი წაიღებს...
მე კი ვუცქერდი ამ სილამაზეს,
ზედ მეყრებოდა ყვავილთა თოვა,
ვფიქრობდი: არ ღირს, ქარო ნუ ეძებ,
თუ მოსვლა უნდა, ის ისეც მოვა.

29.04.2015.წ.

იების სასახლე

იების სასახლე ავაგე,
მაგრამ იები დამჭკნარა,
იების სასახლე ქალისთვის,
მხოლოდ ოცნება გამხდარა.
ჩიტების ჟღურტული მესმოდა,
მაგრამ ის ხმებიც გამქრალა,
სასახლის ირგვლივ წალკოტი,
გახუნებულა, გამხმარა.
რითაც იები ცოცხლობდა,
თურმე ის წყაროც დამშრალა,
იქ სიყვარულის კოცონიც,
ჩანავლულა და ჩამქრალა.
უსაძირკველოდ სასახლეც
ჩამოშლილა და წამხდარა.
ისეთი ლამაზი იყოო...
აფსუსია რომ გამქრალა.
იების სასახლის სიზმარი,
ცხადი მიტომ ვერ გამხდარა,
იებს რომ ასაზრდოვებდა,
ის წყაროც მიტომ დამშრალა,
სხვისი კუთვნილი ყოფილა,
ჩემად მიტომ ვერ გამხდარა,
იები ლამაზი იები,
მარტო უწყლობით კი არა,
იების ლამაზი სასახლე,
უსიყვარულოდ დამჭკნარა.

ისეთი წელი მინდა მოვიდეს

ისეთი წელი მინდა მოვიდეს,
არცერთმა ბავშვმა აღარ იდარდოს,
სევდა – ნაღველის კვალი კი არა,
იმათ სახეზე დარმა იდაროს.
ყველა ბავშვს ჰქონდეს სათამაშო და
შორიდან გული არა სწყდებოდეს,
თოჯინის, ბურთის, ველოსიპედის,
ნატვრა, ნატვრადვე არა რჩებოდეს.
ისეთი წელი მინდა მოვიდეს,
ისმოდეს ლაღი ჟივილ – ხივილი,
დევნილობა და ტანჯვა არ იყოს,
ძველმა წაიღოს ყველა ტკივილი.
მეც ვტირი, როცა პატარა ტირის,
მეც მტკივა, როცა პატარას სტკივა,
და ვენაცვალე ყველას, ვისთანაც
ამ პატარების ტკივილი მივა.

19. 12. 2014. წ

მაიმუნს უთქვია!

მინდა გაგახაროთ ახალი ამბებით,
გააღეთ სუყველა სარკმელი, დარაბა,
მაიმუნს უთქვია, რომ მოვდიოდიო,
თხას გავატანეო თან დავიდარაბა.
არ გვინდა რქები და ტყუილი კიკინი,
მე მომაქვს იმედი, ხვავი და ბარაქა,
ღიმილით და პრანჭვით ვაგვარებ საქმეებს,
ვიცი, რომ ზოგჯერ თქმას სჯობია არა თქმა.
მოვდივარ! ოცნების ახდენას გპირდებით,
თქვენ არ იფიქროთ, რომ ტყუილად ვქაქანებ,
ბოროტს კეთილად ვიდრე არ გარდავქმნი,
ჩემს საქანელაზე მანამდე ვაქანებ.
მოვდივარ! მოვდივარ! მომყევით, მომყევით,
გახსენით გულები, გახსენით დარაბა...
ღიმილი მაჩვენეთ, სითბო და ალერსი,
წარსულში დავტოვოთ ჩვენ დავიდარაბა.

02.01.2016.წ.



ახალწლის ღამეს!

თუკი ძალიან მოგენატრები,
გარეთ გამოდი ახალ წლის ღამეს,
ამომირჩიე იმ ფიფქებიდან,
რომ დაგიფიფქავს თვალებს და სახეს.
თუ გინდა იგრძნო რომ შენთანა ვარ,
რომ ერთად შევხვდით ახალ წლის ღამეს,
გაშალე ცხელი ხელისგულები,
დავდნები და შენც მიხვდები რამეს...
მიხვდები იმას, რომ ცრემლად ვიქეც,
ლამაზ ფიფქებად ჩაგადნი ხელში,
შენ იალბუზად დარჩი ჩემს თვალში,
ხოლო ფიფქიას ხედავდი ჩემში .
უშენოდ ყოფნა მონატრებისგან,
ალბათ ცრემლებით ვაჯობებ ტირიფს,
და როცა სევდა მოგეძალება,
იცოდე შენი ფიფქიაც ტირის.

28.12.2015.წ.

დაანთეთ სანთლები, იწამეთ ღმერთი!

დაანთეთ სანთლები, იწამეთ ღმერთი,
ჩვენი ხსნა მასშია ის ერთადერთი,
შესძლებს დაგვიხსნას განსაცდელისგან,
იწამეთ, იწამეთ, იწამეთ, ღმერთი.
წმინდაო მარიამ! აგვისრულე ყველა ოცნება,
მითხარი გეთაყვა შური, მტრობა, როდის მორჩება,
წმინდაო მარიამ! გევედრები შესთხოვე ღმერთებს,
ლაღი და მშვიდი დაგვიბრუნონ ქართველთ ცხოვრება.
დღეს საწუხარი ის უფრო გვაქვს, ის უფრო გვტანჯავს,
ძმის ხელით კვდება, ძმავე უთხრის თავის ძმას საფლავს,
მერედა რისთვის, რად სჩადიხართ ქართველნო ამას,
რად დაივიწყეთ ნინოს ღმერთი, რით უხდით ამაგს?
ის მოდიოდა, მთა-გორებზე თოვლში და ქარში.
თან ავრცელებდა ქრისტეს სჯულს და სიყვარულს ხალხში,
იწამეთ ღმერთი, ამბობდა ნინო და მტკიცედ სწამდა,
ღვთის სიყვარული, ქრისტეს რჯული, რომ დაგვიცავდა.
ასედაც იყო, ვიდრე ღმერთი გვიყვარდა, გვწამდა,
ბევრჯერ ეცადნენ, საქართველო მტერმა ვერ დასცა,
ქართველმა ქართველს დღეს მახვილი გულში რომ ჩასცა,
ურწმუნოების შედეგია და ღვთისგან დასჯა.
ქართველო ხალხო! მოისმინეთ ნინოს ვედრება,
ვიწამოთ ღმერთი, შური, მტრობა აღარ გვექნება
დავანთოთ სანთლები, უფალს ვთხოვოთ ცოდვის შენდობა,
მოვინანიოთ მის წინაშე ყველა შეცდომა.

კახეთი

იქ სადაც არის ორი მდინარის,
იორ-ალაზნის ერთად ნაერთი,
სწორედ იქიდან სათავეს იღებს,
ულამაზესი ჩემი კახეთი.
ალაზნის გასწვრივ გაღმა-გამოღმა,
შეფენილია, თბილი მზიანი,
იცის დახვედრა მტერ-მოყვარის და
მასპინძლობაც აქვს ლაზათიანი.
შემოდგომაზე სტუმრებს მოელის:
ალმოდებული ყურძნის ზვრიანი,
სართვლო თხა შავ-თეთრ ფეხებიანი,
წალმით შემწვარი მწვადი ცვრიანი,
გოჭი, ხაშლამა, კარგი დედალი,
ჩაყვითლებული ნიგვზ-ნივრიანი.
კახური ღვინო ნაპერწლკიანი,
ლამაზი ყანწი ჯიხვის რქიანი,
სუფრის თავკაცი ენაწყლიანი,
ამავ დროს დინჯი, თავაზიანი.
ტკბილად შეგვარგოსო იტყვის ალალად,
თვალებს მოგვაპყრობს თბილად გახელილს,
რასაცა ფიქრობს, იმასვე გვეტყვის,
ასეთი არის გული კახელის,

ლამაზ ქალს ყველა შეჰხარის

ლამაზ ქალს ყველა შეჰხარის,
ახალგაზრდა და ხნიერი,
ქალი რომ ლამაზი იყოს,
სული უმყოფედ ძლიერი.
ყველაზე მეტად რაც აჭკნობს,
ეს ცარიელი სულია,
ის ყველა დროში ყვავილობს,
თუ გრძნობა არა სწყურია...
არადა განა ძნელია,
მას რომ მოუკლად წყურვილი?
სულ ცოტა ყურადღებისა,
უნდა გაგაჩნდეთ სურვილი.
ასაკს არ ეკითხებიან,
წლებს არ ითვლიან ქალები,
პასუხს რამდენი წლისაა,
გეტყვიან მისი თვალები.
არწივის ფრთებს ნუ შეასხამთ,
უფალმა ის შექმნა მტრედად,
ტკბილი ღუღუნით დაგატკბობთ,
თუ ჩაგთვლით ღირსეულ ბედად.
ნუ გადააქცევთ მას ვეფხვად,
ქალს ფისოობა შვენის,
უყვარს ალერსი, ფერობა
თავზე გადასმა ხელის.
არწივი მტაცებელია,
მტაცებელია ვეფხვიც,

ვინც ღირსეული კაცია,
ქალის სინაზეს ეტრფის.
ბაღი წალკოტად იქცევა,
მებაღე თუ ჰყავს კარგი,
წლები? გავიდეს მერე რაა
უჭკნობად იქნება ვარდი.

02.06.2015.წ.

ია! ენძელა! ღიღილო!

რა ტკბილად ჩაგძინებიათ ია, ენძელა, ღიღილო,
ო! როგორ მომნატრებიხართ, ერთი სული მაქვს გიხილოთ.
ცოტაც და გამოგაღვიძებთ, მას ხომ ძალა აქვს ზევსისა,
კლდეც კი გულს უხსნის გაზაფხულს, რომ ამოგიშვათ ზევითა.
თქვენი ხილვისას ყოველთვის, სურვილი მიპყრობს ღიღილო,
თმაში იები მიბნიონ, თან ყურქვეშ წამიღიღინონ...
აი! ასეთი სურნელით, მე ისე მინდა გავბრუვდე,
გაზაფხულს როცა ამოხვალთ, მეც ისევ მინდა დავბრუნდე...

2016 წ.

ლამაზი ქალი!

ლამაზი ქალი! ქალი მუზა, გულთამპყრობელი,
ვისთვის მთვარეა, ვისთვის მზეა გამათბობელი,
ზოგისთვის ფიფქი, ხელისგულზე დასადნობელი,
ლამაზი ქალი, შარბათია დამათრობელი.
ვის არ უგრძვნია გაბაშვილის ტანო-ტატანო,
ტარიელივით ხელად ქმნილა, ცრემლი სდენია,
ვით გალაქტიონს, თავის „მერი“ ვის არ ჰყოლია,
ფიროსმანივით მთელი ღამე ფუნჯი სჭერია.
ლამაზმა ქალმა, იგი ეშხის ლოთი გახადა,
ქალის გულისთვის მილიონი ვარდი დახატა,
ნიკალა რაა, სიყვარულით მეფეც „წამხდარა“
ლაშა გიორგის გული ლილეს მონა გამხდარა.
ლამაზი ქალი საქართველოს ბევრი ჰყოლია,
ეს სილამაზე უფლისაგან გენში გვქონია,
აბა ვინ მოსთვლის, თუ რამდენი გვყავდა ფერია,
ნატო ვაჩნაძე, ფერფლად ზეცას გადაჰფენია.
რამდენ მიჯნურ გულს, ქალზე ლექსი დაუწერია,
ლეონიძეს კი ქალში ვეფხვი „დაუჭერია“
ლამაზი ქალის სიყვარულით თავდავიწყებულს,
რამდენ „რომეოს“ სისულელეც ჩაუდენია...
ლამაზი ქალი! კაცის მუზა, გულთამპყრობელი,
ვისთვის სუნთქვაა, ვისთვის მზეა გამათბობელი.

04, 05, 2015, წ

მუსტანგი

მას არ უხდება ქამანდი ყელზე,
უმისამართოდ შვენის ჭენება,
მოთოკილსა და საზღვრებში ჩასმულს,
აბა რასა აქვს ქვეყნად მშვენება.
თავაწყვეტილმა იქროლოს ასე,
ხან მთაში, ხანაც გაიჭრას ველად,
თავისუფლებას როცა გრძნობს სული,
მაშინ იქცევა გრძნობისგან ხელად.
ნუ შეაჩერებთ, მისი ჯიშია,
დაკანონებულს ყველაფერს გასცდეს,
სჯობს თვითონ ჰპოვოს ის, ვის წინაშეც,
გადარეული თვის ნებით დაცხრეს.
ველურს აღაგზნებს თავისუფლება,
მას არ უხდება ქამანდი ყელზე,
სჯობს გადაეშვას ქარაფებიდან,
ვიდრე მონურად მიაბან ხეზე.

06.08.2015.წ.



მასწავლებელი!

მასწავლებელი! ო! რამდენს იტევს,
ღმერთო ამ სიტყვის არსი და მადლი,
მასწავლებელი ის არის ვისაც,
ყველაზე ძვირფასს – დედიკოს ვადრი.
მას მერე რაც, რომ ზარი დარეკეს
და ჩემთვის სკოლის კარი გაიღო,
ხელებგაშლილი მასწავლებელის,
თბილი ხატება გულში ჩაიდო.
ჯერაც ნორჩების და ბუტიების
ზნეს, დედის შემდეგ ხომ მან გაუგო
და ჩვენი აღზრდის სადავეები,
მშობლებთან ერთად ხელში აიღო.
გავა წლები და დავფრთიანდებით,
ჭაბუკებაად და ქალიშვილებად,
მას, მონატრების ცრემლი დარჩება,
რადგან მიგვიღო თავის შვილებად.
მასწავლებელმა გვითხრა, რომ გველის,
ვაჟკაცის ქუდი, დედის მანდილი,
მასწავლებელო! რა თბილად განვლეთ,
ჩვენს გულებს შორის მყოფი მანძილი.
თქვენ გამოძერწედ ჩვენი სულები,
სათუთ გრძნობების მატარებელად,
მასწავლებლობას კი არ სწავლობენ,
იბადებიან მასწავლებელად.

ლექსი ეძღვნება ჩემს საყვარელ პედაგოგს
მაკა რუაძეს.
24.09.2015.წ.

მაჭარზე მეტად მათრობელაა!

გაზაფხულს სისხლი ისე ბობოქრობს,
როგორც ქვევრებში ტკბილი მაჭარი,
მაგრამ მაჭარზე უფრო ტკბილია,
შენი ტუჩები ჩემში ჩამდნარი.
მაჭარზე ბევრად მათრობელაა,
შენგან განცდილი ვნება და ტრფობა,
ზღვარს თუ გადავალთ სახიფათოა,
ვით მაჭრისაგან, ქალითაც თრობა.
მაგრამ ეს ზღვარი იცის კი ვინმემ
როდის იწყება ან სად მთავრდება?
როგორც მაჭარი ღვინოდ მწარდება,
ვნებაც თანდათან უფრო მძაფრდება...
ერთხელ თუ დათვერ, ისევ გიზიდავს,
არც ერთით თრობა არა გწყინდება,
რაც უფრო მეტად შეზარხოშდები,
ღვინოც და ქალიც, უფრო ტკბილდება.

08.03.2015წ.

მგონი უკვე დამეფერა

მგონი უკვე დამეფერა, გვირილების სითეთრე,
და სურნელით მთვრალი გელი, კალთაში მზეს ვერ ვხედავ,
ფურცელ-ფურცელ წამოგკრიფე, გულზე მძივად აგისხი,
ეგ სხივები მეც მწვავს, მაგრამ რა ვქნა თქმას რომ
ვერ ვბედავ...
ან ზაფხულის ცხელ ნიაღვარს, გგონია ვერ გავუძლებ?
ჩამეღვარე არ მაშინებს, მე მაგ ვნებით წალეკვა,
თუ მკერდამდე მოსული ხარ, მიალერსე რა ვუყოთ,
დილით ცის ნამს დასრულდება, მარტოობის წამება.
შემოდგომით მიყვარს ხიბლი, ლურჯი ქრიზანთემების,
ოქროსფერში გავბრწყინდები, თუ შენ ციდან მეწვევი,
არც მაშინებს გაბრუება, შემომაჭდე ხელები,
ბაგეს არც მე აგარიდებ, თუ კი ყელზე მეხვევი...
ჩემი კანის ფერად ელავს, ეს ოხერი ზამთარი,
მაგრამ შენზე ფიქრით ვცოცხლობ, გულიც მით მაქვს
გამთბარი,
კი, დაგათრობ გრძნეულივით, არც გრძნობაა დამცხრალი,
ჩემთან ისევ დაკივლებს, შენში შლეგი აფთარი.

მე რომ ვიცოდე მე მელოდები!

მე რომ ვიცოდე მე მელოდები,
და არ ვიცოდე სად,
ფეხით მოვივლი მთელ დედამიწას
და გადავცურავ ზღვას.
თუკი ზღვაშიაც ვერ მოგაგენი
შემოვუქროლებ ცას,
იქამდე გეძებ ჩემო „ოცნებავ“
ვიდრე მოგაწვდენ ხმას.
ოღონდ ვიცოდე მე მელოდები,
ჩემიდან ელი ხსნას,
გადავაქოთებ მთელ დედამიწას,
დაბლა ზღვას, მაღლა ცას.
მაინც გიპოვი და ჩემს სიყვარულს
არ დავანებებ სხვას.
და რომ გიპოვი მერე? ოხ! მერე
ალბათ გადავალ ზღვარს.....
თუ დაგიგულებ ამ ჩემს მკლავებში,
ჩემს სათაყვანო ქალს,
ვფიცავ, აღარსად აღარ გაგიშვებ
არც, მოგაშორებ თვალს,
გთხოვ ნუ დამიშლი, რომ შეგისუნთქო
გადაგიწვინო მკლავს,
მერე გაჩვენო რარიგ მიყვარხარ...
რომ შენი ნდომა მკლავს...
ბოლოს წაგიყვან მე ჩემს ბუდეში,
გადაგირაზავ კარს,
ასეთი ტანჯვით ნაპოვნ სიყვარულს,
განა დავუთმობ სხვას?

04.11.2014 წ.

მეგობრის ხელები!

წადი ბნელო ღამე, წადი გამეცალე,
გათენდეს, მოვიდეს ნათელი ფერები,
აღვმართოთ უფლისკენ ვედრებით ხელები,
ვიყოთ ღვთისმშობლისგან მუდამ ნაფერები.
დარდი და ტკივილი წარსულში დავტოვოთ
ყველამ ვიპოვოთ მეგობრის ხელები,
ვერ ამოგვძირკვავენ ქართველნო ვერავინ,
თუ გვექნა ძლიერი, ძლიერი ფესვები.
მოყვასის ხელები დაგვიცავს ყოველთვის,
ხელები რომლებიც არ მოგვცემს გასაქანს,
რომ წავიბორძიკოთ, წამს შემოგვეხვევა
სიკვდილ-სიცოცხლის თუნდ ვიყოთ გასაყარს,
ძნელია იპოვო ასეთი ხელები,
როდესაც მძვინვარებს შუღლი გახელებით,
წალამზე მწვადს შესწვენ, ღვინოს დალევენ და
ასე დაგვლოცავენ დინჯი კახელები,
იმ ხალხს გაუმარჯოს სტიმულს რომ გვმატებენ,
უფლებას არ გვაძლევენ წუთით გაჩერების,
გულებს გაუმარჯოს, გრძნობით აფეთქებულს,
დედა ვატირეთ ყველა გამცემლების,
მეგობრებს დაგილოცავთ ვეფხისტყაოსნის დარს,
გისურვებთ დამთავრებას ყველა ქაოსისას,
ძმებო დაგილოცავთ ყველა იმ ღირსებას,
ძმობას რომ ამშვენებს ქართველ კაცობისას,
განსხვავებულით მინდა დაგილოცოთ,
ვთქვათ სადიდებელი ქართველ-ქალებისაც,
რადგანაც ქალია სიცოცხლის საწყისიც და
თავი და თავია ჩვენი კაცობისა.

მეოცნებე

მენატრები და არც მენატრები,
რადგანაც ღამით გიცქერი ცაზე,
ამოგიჩემე ვარსკვლავებს შორის,
შენც ყოველღამე დამნათი თავზე.
მაშინ ვღონდები თუ ვერ გიხილე,
გადაგეფარა ღრუბელი წამით,
მე ვეჭვიანობ ღრუბლებზეც, ლამის
გიჟურად ვყვირი, წადით ო! წადით.
მე ვეჭვიანობ მთვარეზეც, არ მსურს,
შენთან დავლანდო მთვარის ხატება,
მხოლოდ ჩემია, სულ მე მეკუთვნის,
ჩემი „ოცნების“ გამონათება.
ხანდახან ელვაც გეკეკლუცება,
ღრუბლის ლაბადა დაგმალავს სადმე,
ამ დროს რომ ციდან წვიმა წამოვა,
ეს, მე ვტირივარ სიმწრისგან გწამდეს.
როგორც ინათებს, მაშინვე ქრები,
ღაწვებზე ცრემლსაც ჩამოვიგორებ,
რადგანაც შენ ხარ მხოლოდ ოცნება,
„შიოლასავით“ გამოგიგონე...

მეტი ხარ ვიდრე ცხენი

მოდი! ვიქროლოთ ერთად,
სუნთქვა გამოვუშვათ ცხელი,
შენ ჩემი მეგობარი ხარ,
მეტი ხარ ვიდრე ცხენი.
რა ვუყოთ თუ ვერ საუბრობ,
ჩემი უსიტყვოდ გესმის,
თბილი ფრუტუნით მამხნევებ,
როცა ვიღაცა მგესლის...
როცა ეს სული ბობოქრობს,
მაშინ შენც იწყებ წრიალს,
თუ ვკვნესი ტკივილისაგან,
თვალებს მომაპყრობ წყლიანს.
წამო! გავფრინდეთ იქ, სადაც,
ზეცა სიკეთის ფერია,
სადაც არ სუფევს ღალატი,
სირინოზები მღერიან.
აქ არა დაგვრჩენია რა,
აქ სულ სხვა ხმაზე მღერიან,
ზეცასთან ახლოს მივიდეთ,
მთები, ღრუბლები გველიან,
წავიდეთ, გავხსნათ ფილტვები,
ქროლვაში დავუდოთ ტოლი-ტოლს,
იქნებ იქ შევხვდეთ ჩვენნაირს,
მართალს, საფერს და გულისწორს...
მოდი! ვიქროლოთ ერთად,
სუნთქვა გამოვუშვათ ცხელი,
შენ ჩემო მესაიდუმლევ,
მეტი ხარ ვიდრე ცხენი.

03.06.2015.წ.

მზე და მთვარე

ერთხელ ღამით მნათობებს,
გაემართათ სერობა,
თქვეს: რაიმე ვიღონოთ,
მზეს წავართვათ მეფობა.
მთვარე დინჯად იჯდა და
ჯერ ვარსკვლავებს უსმენდა,
თავის გულის ნადებს კი,
არავის არ უმხელდა,
ჩვენ ამდენი ვანათებთ,
განა რა გვემართება?
ყველას მზე რატომ უყვარს?
ყველას მზე ენატრება.
„დიდი დათვის ვარსკვლავი“
ადგა სიტყვა ითხოვა...
მზის ჯადოსნურ ძალაზე,
ყველაფერი იცოდა.
ძმებო! გთხოვთ რომ დამშვიდდეთ
ტყუილად ნუ ირჯებით,
პირველობა რთულია,
მშვიდად ვეღარ იჯდებით.
სიტყვის თქმაც არ აცალეს,
„რეპლიკები“ უბოძეს,
ეჭვით ახედ-დახედეს,
მოგზავნილი უწოდეს.
თქვეს, რომ მოვიწადინოთ,
შევძლოთ მზის დაბნელება,
და მიზანსაც მივაღწევთ,
როცა დღე ჩაბნელდება.

გავიშალოთ ვყელანი,
მზეს ვუყაროთ ჭორები,
შევძლოთ გადმოვიბიროთ,
ხარბები და ყორნები.
და როს დღე დაბნელდება,
აიყრიან გულს მზეზე,
ჩვენ ხოტბას შეგვასხამენ,
მზეს შეხედავენ ცერზე...
წყვდიადი რომ ჩამოწვა.
ირგვლივ ყველას სციოდა,
ზოგი შიმშილს ჩიოდა,
ზოგს ფოთლები სცვიოდა.
ცოტა ხანს კი ითმინეს,
იყვნენ ჭირთა თმენაში,
ბოლოს მიხვდნენ რომ შეცდნენ,
ბზარი გაჩნდა რწმენაში.
მერე ერთმა იყვირა,
გამოვფხიზლდეთ ძამია,
მზე რომ აღარ დაგვნათის,
ეს იმისი ბრალია.
შეიკრიბნენ ყველანი,
ჰქონდათ აზრთა ერთობა,
მერე მზესთან მივიდნენ,
ერთხმად სთხოვეს შენდობა.
მზემ როგორც კი დახედათ,
ყველამ ისევ იხარა,
მთვარე გაიპარა და
დედოფლობა იკმარა.

03.07.2015.წ.

მზეს ხედავს ჩემი თვალები!

აქა-იქ უკვე მოთოვა,
სითბო გაგვიტკბა ბუხრისა,
ნელ-ნელა მიახლოვდება,
ჟამი სევდის და მწუხრისა...
ზამთარო! გსურს დამეუფლო,
მიხილო დაზაფრულია,
მაგრამ ამაოდ ირჯები,
ჩემს სახლში გაზაფხულია.
ჩემთან მუდმივად ჰვავიან,
ბალბები, პატარძალები,
დარდსა და სევდას კი არა,
ყვავილებს მივეძალები.
ვიცი ბუნების წესია,
ზამთარს ვერ დავემალები,
სულით? გაზაფხულს შევიგრძნობ,
მზეს ხედავს ჩემი თვალები.

17.11.2015.წ.

მთაში თუნდ ერთხელ ნამყოფი!

იმ დღეებისთვის ვიცოცხლებ, იმ დღეებისთვის მოვკვდები,
როცა ბუნებას ვიხილავ, ტყეში ან მთაში მოვხვდები,
ტყეს დაადგები და მთისკენ მიმავალ ბილიკს შეჰყვები,
ირგვლივ რა სამოთხესა და რა უკვდავებას შეხვდები,
ფრინველთ გალობა დაგატკბობს, სუფთა ჰაერი დაგათრობს,

ჩანჩქერი შეგეგებება, დაგასველებს და დაგალბობს.
ჩანჩქერს, რომ გახვალ მთის ფერდზე, მზის მცხუნვარება გაგაშრობს,
წამოგორდები მწვანეზე, მოგეფერება გაგათბობს.
სალამურის ხმას გაიგებ, იმისი კვნესა დაგატკბობს.
იქ ახლომახლო მეცხვარე, შემოგხვდება და დაგათრობს,
მიგიპატიჟებს კარავში, სუფრას გაგიწყობს გაამებს,
თან ბარის ამბებს დაგკითხავს, ჭიქებს პირამდე გაავსებს,
დალოცავს მთასაც და ბარსაც, სიტყვას ცუდად არ წაახდენს.
წამით ცოლშვილზე ფიქრები, წაიღებს თან თავს გააქნევს,
მერე სალამურს ატირებს, რითაც თვის ნაღველს გაამხელს.
თითქოს ბუნებაც მ იუხვდა, საიდღაც ბურუსს გააჩენს,
თან ისე ახლოს, ისეთ სქელს, კაცი ვერაფერს გაარჩევს.
სალამურის ხმა მიწყდება, მგზავრიც ყველაფერს მიხვდება
ნელ – ნელა სქელი ბურუსიც, წავა სხვა ცერზე მიწვება.
დილაც კარგია, შუადღეც, ღამე ხომ ჯადოსნურია,
სად ჭოტი კივის ნადირი სარჩოზე გამოსულია,
ცა გაბაცდება რიჟრაჟზე, მზე ჯერ არ ამოსულია,
შველი, ირემი, ქურციკი, წყაროზე ჩამოსულია,
მთის წვერს გახედავ ზედ ჯიხვი, ამაყად გადმოსულია,
კაცს ეგონება მაღლიდან, ძირს გადმოშვება სწყურია.
მის დაბლა ცხვარი ფერდაზე, სძოვს თეთრად გამოშლილია,
ბალახი მწვანედ ბიბინებს, ცხვარსაც სავსე აქვს ცურია.
სად დეკა ჰყვავის ჩაივით, ბუჩქებად ამოსულია,
პეშვით მთის წყაროს შესვავ და კვლავაც დალევა გწყურია.
ბუნების ამ საოცრებებს, კაცი თავს ვეღარ გაართმევს,
მთაში თუნდ ერთხელ ნამყოფი, ტყვეობას თავს ვერ დააღწევს.

თეთნულდი

ღმერთო! რა სილამაზეა,
ზვიადობა და ასეთი?
შენი აკვანის დამრწევი
დედა დავლოცე – სვანეთი.
პატარძალივით სპეტაკო,
ამაყად დგახარ, არ სჩივი...
ნისლი გყავს ხელისმომკიდედ,
ფატას გისწორებს არწივი.
მტერო! გინახავს ეს მთები,
შხარა, უშბა და თეთნულდი?
და თუ გინახავს რა იგრძენ,
შიშით როგორ არ შეცბუნდი?
კარგად შეხედე, განსაჯე,
თუ კიდევ შეგრჩა გონება,
ამათ კალთაში გაზრდილი,
ერის ვინა სთქვა მონება?

12.10.2015.წ.

სვანეთს!

პირველად როცა ვიხილე,
ამ სილამაზით შევცბუნდი,
მთები მიხმობდნენ, მნუსხავდნენ,
შხარა, უშბა და თეთნულდი.
მხიბლავს სვანეთის ბუნება,
მაოცებს სისხლის ყივილი,
ერთ სვანს თუ სტკივა, ეს არის,
მთელი სვანეთის ტკივილი.
სვანების ლაღი ბუნება,
ამაყ სვანების გენშია,
კოკიდან ისვე გადმოდის,
რაც ჩაუსხიათ ყელშია.
ბავშვური, დიდი გული და
ეს ზვიადობაც შენშია,
სვანი თუ არა სვანობდეს,
მოჰკალ ის უკვე ლეშია.

მთების წვეროზე გავაბამ ჰამაკს

მთების წვეროზე გავაბამ აკვანს
არწივთა ფრთების ჩრდილქვეშ დავწვები,
მთების ექონი მიმღერენ ნანას,
იმ სილამაზის ცქერით დავტკბები.
ფილტვებს ამივსებს სუფთა ჰაერი,
დილის ცვარ-ნამი წამწამებს ნამავს,
ნისლი გამახვევს თავის ბადეში,
ბედნიერებით თვალებსა ვნაბავ.
დავეწაფები წყაროს ანკარას,
მე იქ ვერ დავლევ შამპანურს, წარაფს,
ხმელი ტოტებით დავანთებ კოცონს,
რადგანაც მთაში სად ნახავ წალამს.
და თუ მთის შვილსაც გადაეყარე,
არ დაიშურებს შენთვის თბილ სალამს,
ყველაზე ძლიერ მასში ის მომწონს,
რომ ნამდვილ სახეს არასდროს მალავს.
თუ შეგიყვარებს ჩაგისვამს გულში,
არ გიღალატებს საყვარელ ქალას,
არ მოგატყუებს არც მიგატოვებს
დაღამებულზე სადმე გზით მავალს.
ის უყოყმანოდ ყველგან დაგიცავს,
თუგინდ დაუჯდეს სიცოცხლის ფასად.
და სიკვდილს ირჩევს – განსაცდელის ჟამს
თავს არ შეირცხვენს დადგება ფარად.
მაშ რად სჭირდება იმას ნიღაბი,
ან ერთგულებას მითხარ ვინ მალავს?

ასეთ სიწმინდეს, ასეთ სიყვარულს,
ძნელად შეხვდები ცხოვრების სავალს.
მთის პატარძლობა რთული არისო,
ჩემთვის უთქვიათ, მავანს და მავანს
რატოა ძნელი მათი გაგება
ეპატრონები, ბაჯაღლოს-ხალასს.
განგებისაგან დიდი ჯილდოა,
ასეთი დიდი თუ გხვდა პატივი,
იყო „მტრედი“ და შენზე ზრუნავდეს,
მხრებგადაშლილი ეს მთის „არწივი“.
მთის პატარძალო! განა ძნელია?
როგორიც მას სურს იყო ისეთი,
ის დაგიფასებს დაგაჯილდოვებს,
დიდი სითბოთი, დიდი სიკეთით.
მე ძლიერ მიყვარს მთა და მთის ხალხი,
ბუნების მგოსნის – ვაჟას აღმზრდელი
ვაჟაა მათი სულის სარკე და
მთის სილამაზის სრულად აღმწერი.

27.09.2014.წ.

მთებო!

გულანთებული ბარიდან გიცქერთ,
უზომოდ მიყვარხართ, ჩემში ხართ მთებო,
მამასთან ერთად გატარებულო,
როგორა გნატრობთ, ბავშვობის წლებო.
დაუვიწყარო, ტკბილო ბავშვობავ,
ჩემო გაჩეჩილო კულულა თმებო,
სიზმარში მაინც არა გშორდებით,
ისევ თქვენთან ვარ, შეგხარით მთებო.
მამა მიწნავდა, ისევ ვიშლიდი,
რადგან ფრიალი მიყვარდა მათი,
როცა დავრბოდი, ქარი მიჩეჩდა,
სიო საამო სულ ქროდა მთაში.
როგორ მომწონდა ნისლის გადაყრა,
მზის ამოსვლა და გამოდარება,
ლაღი, ბავშვური ყვირილ-ძახილის,
ექოთი თქვენგან გამოჯავრება.
კვლავ მენატრება ის ღამეები,
გათენებული მთაში, კარავში.
რა კარგი იყო დეკის ჩაი და
რა გემრიელი „საჯის ლავაში“.
წმინდა წყალი და სუფთა ჰაერი,
მთებო! უთქვენოდ მე მიჭირს სუნთქვა,
ვინც თქვენს წიაღში გამოგიზრდიათ,
სუყველა არის ალალი, „სუფთა.“
სწავლა გეწყება – მეტყოდა მამა,
მეძნელებოდა ჩამოსვლა ბარში,
დამემოწმებით თქვენთან მინდოდა,
მე მანდ მინდოდა დარჩენა მთაში...

ის წლები თქვენთან გატარებული,
არ მავიწყდება, მუდმივად ჩამრჩა,
ყველაზე წმინდა რაც გამაჩნია,
სული და გული მე თქვენთან დამრჩა.
მთებო! მიყვარხართ, როგორ მაკლიხართ,
ბავშვობა დამრჩა თქვენში ჩაწნული,
ო! როგორ ვნატრობ, მქონდეს ეს თმები,
მამიკო შენი ხელით დაწნული...

15.02.2015.წ.

ორ სამყაროში ვცხოვრობთ ყოველდღე!

ორ სამყაროში ვცხოვრობთ ყოველდღე,
ოცნებასა და რეალობაში,
ერთი გვამშვიდებს მეორე გვტანჯავს
ქაოსი არის მთლიანობაში.
მე ავირჩევდი პირველს რადგანაც,
იქ, ერთგულება სიწმინდე სუფევს,
ხარ ბედნიერად გულანთებული,
ოცნება გვჩუქნის, მხოლოდ ტკბილ წუთებს.
კვლავ დავბრუნდებით რეალობაში,
უკვალოდ ქრება ყველა სიწმინდე,
ვით კარნავალზე, ირგებენ მასკებს
ზეობს, მძვინვარებს ირგვლივ სიბილწე.

მინდა გავექცე ზაფხულის სიცხეს!

მინდა გავექცე ზაფხულის სიცხეს,
მთას შევაფარო თავი მადლიანს,
და სისხამ დილით ფეხის გულებით,
მოვეალერსო ბალახს ნამიანს.
თითქოს ვგრძნობ უკვე ჯადოსნურ ღამეს,
მთების კალთაზე გაშლილ კარავში,
ან თუ არ ავდრობს, გულაღმა მშვიდ ძილს,
რა შეედრება ცის ქვეშ ნაბადში.
ვგრძნობ დილის სიო როგორა მსუსხავს,
ნისლი და ნამი თმის კულულს მიხვევს,
ჯანღს რომ გადაჰყრის, მთების წვეროზე,
ყელმოღერილებს დავლანდავ ჯიხვებს.
ერთს უდარდელად „გავიზმორები“
ფილტვებს შევუცვლი ჟანგბადს ბარისას,
ჩამოვიცილებ ყველა საზრუნავს,
საქმიან იმიჯს ბარის ქალისას.
იქ სამოთხეა, სულს ევანება,
არვინ იქცევა არვის ჯინაზე,
გავემიჯნები ყალბ ღიმილს, მასკებს...
და დავიბრუნებ ქალურ სინაზეს.
ბევრს საქართველო ბარი ჰგონია,
ვინც არ ყოფილა ზეცასთან ახლოს,
სწორედ მთებია ჩემი სამშობლო,
რომლის წვეროზეც არწივი სახლობს.

მოსახლეობის აღწერა!

ორიათას თოთხმეტი წლის,
მოსახლეობის აღწერა,
ჩავატარეთ წარმატებით,
სექტორ, კონტროლ, აღმწერმა.
საქართველოს შევესიეთ
და დავლაშქრეთ მთა-ბარი,
თავზე კეპით, გულზე აბრით,
ჩანთით წელში გამწყდარი
დავდიოდით, ორი კვირა
აღმწერების ლაშქარი,
რომ გაგვეგო დღეისათვის,
რამდენი ვართ გამხდარი.
ამ პროცესის წარმართვაში,
ჩვენც ჩავერთეთ გახელებით,
ვფიქრობთ ყველას ვაჯობეთ და
ტოლს არ ვუდებთ კახელები.
გურჯაანი მოვიარეთ,
ყველა სახლში შევდიოდით,
დავადგინეთ რამის მათი,
ცოცხალიც და ემბრიონიც.
დაწვრილებით მოვიძიეთ,
სახლი ჰქონდათ – არ ჰქონდათ,
რომელ წელში ააშენეს
და ან ფართი რა ჰქონდათ.
ეროვნებით ვინ იყო და
რელიგია რა ჰქონდა,

ემიგრანტი ვინ გვყავდა და
დევნილობა თუ ჰქონდა.
რა ენაზე მეტყველებდა,
ანდაც სქესი რა ჰქონდა,
სტუმარი თუ ჰყავდათ სახლში,
რჩებოდა, თუ გარბოდა.
რა მოჰყავდათ მოსავალი,
მიწის ფართი რა ჰქონდათ,
თვითონ სჯამდნენ სუყველაფერს,
თუ ბაზარში გაჰქონდათ.
თუკი რამე ჰყავდათ სახლში,
საქონელი – ფრინველი,
ოდეს კვერცხი დაუდია?
თუნდაც ერთი, – პირველი.
ან ეზოში რა ხე ედგათ,
თხილი, ვაშლი, კაკალი...
ამ კითხვებით შებეზრებულთ,
ეწყებოდათ კანკალი.
რასაც ზოგჯერ მოჰყვებოდა,
შფოთი კურიოზები...
ზოგს ვეგონეთ სოც.მუშაკი,
ზოგს მთავრობის „ბოსები“
ზოგმაც თავი აგვარიდა,
გადაწყვიტა დამალვა,
მაგრამ მაინც ვიყოჩაღეთ,
გასჯრა ჩვენმა „წამალმა“.
დავუყვავეთ, ავუხსენით,
მისვლის ჩვენი მიზანი,

თუ არ გვეტყვით რა გაწუხებთ,
ხომ არ ვართ გულთმისანი?.
თვალის ჩინი როგორი გაქვს?
სმენას ხომ არ უჩივი?
მეტყველება ხომ არ გიჭირს,
რამეს სხვას თუ უჩივით?...
ბოლოს მაინც გვპასუხობდნენ,
გვპატიჟებდნენ სუფრაზეც,
მაგრამ მაგის დრო სად გვქონდა,
ვმუშაობდით „სუფთაზე“.
არც ტექნიკა არ გამოგვრჩა,
მუხლუხა თუ გუთანი,
აღწერის დროს დაგვნატრულდა,
სერიალიც, სულთანიც...
და ჰა! – ახლა ჩაიბარეთ,
ჰკრიბეთ ჩვენი ციფრები...
დაადგინეთ საბოლოოდ,
ვინ რამდენი ვიქნებით.

25. 11. 2014 წ.

ოდესღაც მეც ვიყავ ლამაზი, ტანადი!

ოდესღაც მე ვიყავი ლამაზი, ტანადი,
ხმაც სულ ბუბუნით ჟღერდა,
ეს გულიც, ახლა რომ პულსს ვუთვლი წამი-წუთს,
ვნებით თრთოდა და ძგერდა...
მიყვარდა, ვუყვარდი, ვხარობდით, გვეგონა,
სულ ვიქნებოდით ასე,
ახლა ბევრს ვნანობ, ტრფობის ფიალა,
ხელში მეკავა სავსე,
რატომ არ ვიგემე, ბოლო წვეთამდე,
ბევრი გავწიე განზე...
ჩემო ჩიტუნებო, ახლა ჭაღარებო,
მაჩო დღეს გიხდით ბოდიშს,
თუ დაგაკელით სითბო და ალერსი,
თუ გაზიარეთ ლოდინს...
რა ვქნა, ვერ გავიგე, წლებმა ასე თეთრად,
როდის დამათოვა როდის.
ახლა თუ მიმიღებთ, თუ კიდევ გჭირდებით,
მაჩო, აღსარებით მოდის.
დავსხდეთ, გავიხსენოთ ლამაზი წარსული...
აწი, სხვას, რას უნდა ვეღირსო,
ზოგს, აქ გთხოვთ შენდობას, ძველი „ცელქობისთვის“
ზოგიც იმ ქვეყანას მელისო.

მუზა მეძახის მე კი არ ვუსმენ!

მუზა მეძახის მე კი არ ვუსმენ,
აღარ მსურს სულის აბობოქრება,
ვის მოვეფერო, ან ვინ ვიწამო,
ვნახე ბუნების გაბოროტება...
რაღაც წამებში ნგრევა, სიკვდილი,
ცხოველების და ხალხის კივილი...
და მე არ ვიცი, რატომ ან რისთვის,
გვერგო უსაზღვრო ერის ტკივილი.
გონი წამერთვა, გულს ვერ ვიჩერებ,
რატომ დაგვემხო ცა ღამით თავზე,
ცა, რომელს ყველგან ნატრობს ქართველი,
ლექსებსა ვწერდით თბილისის ცაზე...
ახლა რაღა ვთქვა, ცრემლები მახრჩობს,
თარსი ცამეტის ავბედით ღამეს,
თითქოს განგებამ გული გაგლიჯა,
ისევ კვლავ გლოვის ცრემლები ვღვარეთ.
პატარა ვერე ურჩხულად იქცა,
წყალმა წალეკა ირგვლივ ყოველი,
რამდენი დედა უკვე გაშავდა,
რამდენ დაკარგულს კვლავაც მოველით.
აპრილ–მაისის ცრემლი არ გვეყო?
რატომ ვიგემეთ ელდა ივნისის?
დღეს საქართველო მგლოვიარეა,
დაკოდილია გული თბილისის.

მამა

ჩემო საყვარელო, ძლიერო მამიკო,
სულ ყველას შენი იმედი აქვს,
ჩვენ ხომ ერთმანეთი გვიყვარს ძალიან
და ბევრი საერთოც გვაქვს:
სულ ერთნაირი მოგვწონს ყოველი,
უჰ! რომელ ერთი ვთქვა...
ჭიდაობა თუ ცხენით ჯირითი,
ლექსის წერა და თქმა,
ცეკვა, სიმღერა თუ დუდუკები
თუმცა, არ მოგვდევს ხმა.
დედა-ბუნება გვიყვარს ძალიან
და ბარზე მეტად მთა.
ჩემო ბავშვობიდან დაღლილო მამა,
სულ მუდამ შრომაში ხარ,
მე სიყვარულით, პატარა გიწოდე
შენ ბუმბერაზი ხარ...
კაცთმოყვარეობა და ერთგულება,
სულ მუდამ სიკეთის ქმნა,
აი, ეს არის შენთვის მთავარი,
არ მოვიმდუროთ სხვა...
ო! რა ძალიან მიყვარხარ მამა,
მეც შენი გული მაქვს,
ასე მგონია ვერვინ დამჩაგრავს,
ვიდრე მამიკო მყავს.
და ნურც მომიშლი ამ იმედს მამა,
გთხოვ! გაუფრთხილდი თავს,

თორემ უშენოდ – წყალწაღებულნი,
მოვეჭიდებით ხავსს...
ამიტომ უნდა დიდხანს იცოცხლო,
შენი სიზმრისაც მწამს,
მე მინდა, ყველამ ჩემებრ იცოდეს,
რა კარგი მამა მყავს.

მზეს ცხელი გული მოვტაცე

მზეს ცხელი გული მოვტაცე,
მთვარეს ხატება სახისა,
გაზაფხულს ფეთქვა გულისა,
ზამთარს დადება სარმისა.
ცუდად არავინ გამიგოს,
მე სარმას ვერვის დავუდებ,
პირიქით ჩემს ხელთ რომ იყოს,
ცრუს, ყველას ანდერძს ავუგებ.
სარმაში ფლირტსა ვგულისხმობ,
მსუბუქ ფლირტს, კაცს და ქალისას,
ზღვარს რომ არასდროს გასცდება
შორით შევლებას თვალისას.
მზემ ნაპერწკალიც გვესროლა,
დანთებად ტრფობის ალისა,
ღმერთო! გვიმრავლე ვაჟკაცნი,
ვინც ფასი იცის ქალისა.

09.01.2016.წ.

მუზას!

თურმე შენა ხარ ის ცელქი დილით,
აისს რომ ასწრებს მოფრენას ჩემთან,
ზურგს ნუ შემაქცევ, ჩავჭიდოთ ხელი,
ორივე ერთად გავფრინდეთ ღმერთთან.
ქალი ვარ, გულში ავდარით, დარით,
იმედად მხოლოდ შენ დამრჩი ერთი,
ზამთრის პირს მისულს, როგორც შემფერის,
იცი? ოცნებებს და სიზმრებს შევრჩი....
ყველაფერს წმინდას ვატარებ გულით,
ეს არის სწორედ ჩვენს შორის ელჩი,
ლამაზი სულით თუ ვათბობთ გულებს,
ის მე მახარებს, არავის ერჩის.

მშობლის სტატუსი!

მე მოვევლინე ამ ქვეყანას ვით გაზაფხული,
ჩემში გაცოცხლდა ორი გულის ფეთქვა და განცდა,
მაისის თვეში გავახილე პაწია თვალი,
მალე ერთი წლის შევსრულდები, სულ ცოტა დარჩა.
ვარდობის თვეში სიყვარული ზეიმობს მუდამ,
ჩემით ნაგრძნობი სიყვარული კი საზღვრებს გასცდა,
შვილის სიყვარულს აბა როგორ შეეჯიბრება,
შეყვარებული ორი გულის ლტოლვა და განცდა.
დავიბადე და მთლად შევცვალე მათი ცხოვრება,
სულ დავავიწყე ჩემს დედ-მამას ბარი, ბახუსი,
თავს მევლებიან, მპრანჭავენ და მანებივრებენ...
არც მე ვარ ვალში, მივანიჭე მშობლის სტატუსი.

ეს ლექსი ეძღვნება ძალიან საყვარელ ადამიანს ნელი ბაწელაშვილ – უტიაშვილს.

ნ – იჭიერი ხარ, ნაზი, კეთილი,
ე – რთ ქმედებაშიც გატყობ,
ლ – ამაზი სული გაქვს, ძალიან ხშირად
ი – ცი? შენთან ყოფნას ვნატრობ.
ბ – ავშვი ვიყავი, შენ პატარძალი,
ა – თი წლის ვიყავი მაშინ,
წ – ლები გაფრინდა ამ სიყვარულში,
ე – ხლა თეთრი გვაქვს თმაში...
ლ – ევანის შეჰხარი, ერთსა და საჯიშეს,
ა – თასად გიქციოს ღმერთმა,
შ – ვილებით გეხაროს ჩემო სიხარულო,
ვ – იცი გაგიღიმათ ბედმა...
ი – ცოცხლე დაიკო, შვილებს სჭირდები,
ლ – ოცვა დაიცავთ დედის,
ი – სინი ისეთი კარგები გყავს, რომ
არ გაქვს სამდურავი ბედის.

ნეტავ სად გეჩქარებოდა?

ჩამოიქროლე ჩემს სახლთან,
ნეტავ სად გეჩქარებოდა?
მას შემდეგ არც დღე, არც ღამე,
ძილი არ მეკარებოდა...
იმ ქარად ყოფნა ვინატრე,
პირისპირ გეჯახებოდა,
იმ მიწად ფეხს რომ ადგამდი,
მუდამ ფეხთ გაგეგებოდა,
ის წყალი ვიყო, შენ რომ სვამ,
ეგ ბაგე დამწაფებოდა,
მაგ თმების სამაგრი ვიყო,
ქარზე რომ გაგწეწებოდა.
ის წუთიც მინდა, რომ გნახე...
გული კვლავ ამჩქარებოდა,
ნეტავი გოგო სად წახველ,
ასე სად გეჩქარებოდა.

ნინოს!

ნ – ამდვილად მაოცებ, ვფიცავ არ ვაჭარბებ,
ი – სეთი კვაჭი ხარ, მტერს რომ არ ახარებს,
ნ – უთუ შენც ცხოვრების იმ წესს ხარ ჩვეული,
ო – ცჯერ მეტს თავისზე ტვირთს ზიდავს, ატარებს.
ს – აბრალო ჭინჭველა არასდროს ნებდება,
ი – ღწვის ათასგვარ ხლაფორთში ებმება,
მ – ასავით სულ ცდილობ მაინც წინ გაიჭრა,
ო – ცნებით, იდეებით რამის ცას აიჭრა.

ნ – ამდვილი ოჯახის ქალი და დედა ხარ,
ი – ცი, ცხოვრება, ყოველმხრივ გინახავს,
შ – ვილების გულისთვის რას წვალობ მინახავს,
ვ – არდი უეკლოდ ხომ არავის უნახავს.
ი – ცოცხლე, იხარე, იცხოვრე დაიკო,
ლ – ამაზად, ქართულად ცუდი არ გავიგო,
ი – მ ხიდს არ ჩასტეხ, დავრწმუნდით ამაში,
ჩვენს შორის წლების წინ, მყარად რომ გაიდო.

სახსოვრად ჩემს მეგობარ ნინო სიმონიშვილს

ნუშების თოვა

მე ჰაეროვან სამოსით მოვალ,
ვიცი შენც გახსოვს ჩვენი ადგილი,
ვერ დავივიწყებთ ალბათ ვერასდროს,
ეს არ იქნება ჩვენთვის ადვილი.
მე ჰაეროვან სამოსით მოვალ,
იქნება თეთრი ნუშების თოვა,
მე თუნდაც მქონდეს თმაში ფიფქები,
იქ დამელოდე, უთუოდ მოვალ.
გაღიმებული, ბავშვივით წრფელი,
გაზაფხულივით სითბოთი სავსე,
შენც ძველებურად თბილად მომხედე,
იქნება იცნო ის ძველი სახე.
მე ჰაეროვან სამოსით მოვალ,
შენ რომ გიყვარდა ჩავიცვამ ასე,
დაგელოდები, ვიცი რომ მოხვალ,
ჩვენი სულები ერთმანეთს ავსებს.

დაბადების დღეს გილოცავ ჩემო ძამიკო!

მე შენით მიყვარს ჩემო ძამიკო,
გაზაფხული და ეს თვე – აპრილი,
შენ რომ არსებობ ბედნიერი ვარ,
დიდი სითბო მაქვს გულში ჩაღვრილი.
შესაფასებლად არა მჭირდება,
ძებნა კარგისა, სიტყვაკაზმული,
თავმდაბლობა და კაი-კაცობა,
ამ თვისებებით ხარ შეკაზმული..
ხშირად უთქვიათ „არ გვავიწყდება,
ჩვენს სუფრაზე რომ იყო თამადად,“
შენ ის კაცი ხარ, რომ სიამაყით,
ეს ჩემი ძმაა, ვიტყვი თამამად.
გული მეხსნება როცა გიცქერი,
ლამაზ მხარ-ბეჭით კოხტად რომ ცეკვავ,
„დიდო პოეტო“ მაგ დიდ თბილ გულში,
ძალიან ხშირად ჩემს მესა ვხედავ.
გისურვებ მრავალ აპრილის მოსვლას,
არასდროს გნახო დადარდებული,
მე ძლიერ მიყვარს აპრილის ეს დღე,
რადგან შენა ხარ დ ა ბ ა დ ე ბ უ ლ ი.

შენი დაიკო
30.04.2015.წ.

ნოდარს!

ჩემო ლამაზო და ჩემო ალალო,
ჩემო გულიანო ნოდარ,
მინდა შეგაფასო, სიტყვას ვერ ვპოულობ,
შენს ბუნებასთან, რომ მოვა.
არ მინდა ზედმეტი, არც შენ მომიწონებ,
რაცა ხარ, ისიცა კმარა,
მე მეამაყები ჩემო სიცოცხლევ,
არაფერს ვაჭარბებ არა.
ვინც გიცნობს სუყველა დამეთანხმება,
სიკეთის არ იცი ნორმა...
კაცურო კაცო და კარგო ქართველო,
გურჯაანს უყვარხარ ნ ო დ ა რ!

მომეფერე!

მომეფერე თუკი გულით გწადია,
გთხოვ! უგულოდ არ დამიწყო ლაქუცი,
იცი? არ ღირს ტყუილების ლაბირინთში,
არ გაება, არ დაკარგო ნამუსი.
ის დრო გაქრა, როცა გრძნობით მთვრალი ვიყავ,
მაშინდელიც თავს მატკიებს ბახუსი,
გამოვფხიზლდი, საღი თვალით დაგინახე,
გამერიდე თუკი შეგრჩა ნამუსი...

ნუ! ნუ! მომიტანთ, მე ჯერ მიხაკებს!

წაიღეთ! წაიღეთ! ეს „შემოდგომა“,
„ზამთარიც“ თვალით არ დამანახოთ,
არ მინდა! არ მინდა! გახუნდეს ყოფა...
უძლურებამდე არ დამახანოთ.
არც დავფიქრდები ისე შევწირავ,
თუ დაბრუნდება გაზაფხულს ჩემს წლებს,
დარჩენილ სიცოცხლეს გავუყოფ ოღონდ,
თვალი შევავლო უწინდელ ტან-წელს...
არ შემიძლია ვცხოვრობდე ისე,
რომ აღარ ვიყო, ლაღი, ფრთამალი,
სულმა ვერ იგრძნოს აპრილის მოსვლა,
თუ არ დამათრობს იასამანი.
მე ვეტრფი ვარდებს და იასამნებს,
ნუ! ნუ! მომიტანთ მე ჯერ მიხაკებს,
გაზაფხულივით მინდა სიგიჟე,
გაზაფხულივით მინდა მიყვარდეს.

28.07.2015.წ.

ნურავინ მეტყვის უსათუოდ სიბერე მოვა!

ნურავინ მეტყვის უსათუოდ სიბერე მოვა,
რადგან დრო სცვლის დროს, შემოდგომას ზამთარი მოაქვს,
როგორც ზამთარში არემარეს ათეთრებს თოვა,
ჩემს კულულებსაც ჩაეწვნება ფიფქების გროვა.
თუნდ ასეც იყოს გამერიოს თმაში ფიფქები,
ვფიცავ! ბებერი მე არასდროს, რომ არ ვიქნები,
ოღონდ უფალო! ნუ გამიჩენ გულის იარას,
დაძაბუნებულს ვერვინ მნახავს ამას გპირდები.
ნურავინ მეტყვის უსათუოდ სიბერე მოვა,
ო! არა! არა! წუთით არ მსურს მასზე ფიქრები,
გული მარწმუნებს, მაიმედებს, რომ სიკვდილამდე
ასე ლაღი და გაზაფხულის ფერი ვიქნები.

1993.წ

ნუ! ნუ! შეაქებთ ევროპას ჩემთან!

ნუ, ნუ შეაქებთ ევროპას ჩემთან,
მძულს მისი ყოფა, კაფე-ბარები,
მე საქართველოს მტკაველი მიყვარს,
ევროპას არც კი დავედარებით,
მე საქართველოს ბუნება მიყვარს,
მთა-ბარი მისი ბინადარებით,
რა ვქნა ევროპის კეკლუც ლამაზებს,
მიჯობს ქართველი ლამაზმანები,
მიჯობს ქართველი ვაჟკაცი მისი
ნადირობა და ცხენზე ჯირითი,
მიყვარს ბუნების ეს ლაღი შვილი,
კუნთებმაგარი, მხრებგადაშლილი.
კიდევ ქართული აკვანი მიყვარს,
ჩვილზე დახრილი დედის თვალები,
დედის ნამღერი ნანინა მიყვარს,
არა მუსიკა კაფე-ბარების,
ვეფხისტყაოსნის სიყვარულის მწამს,
ო! ღმერთო საით მივექანებით?
ნუ, ნუ, შეაქებთ ევროპას ჩემთან,
ევროპას არც კი დავედარებით,

02.01.2015.წ.



ობოლი

ის შეიძლება იცინის კიდეც,
შენს დასანახად ცრემლიც არ სცვივა,
მას მოფერება მაინც სჭირდება,
ობოლს, ობლობა მუდმივად სტკივა.
თან, თუ ორივე მშობელი არ ჰყავს,
სავალალოა მთლად მისი ყოფა,
რადგან არა აქვს მამიკოს სითბო,
ნატკენს არ ურჩენს დედიკოს კოცნა.
როგორც მშობლიურ ხეს მოწყვეტილი,
უნუგეშოა, სუსტი, ფოთოლი,
მშობლების სითბო ვისაც აკლია,
დაჩაგრულია ყველა ობოლი.
მას მორიდება ასწავლა ბედმა...
ბევრჯერ რაც უნდა, თქმასაც ვერ ბედავს,
ცრემლები ახრჩობს, გული უკვნესის,
შვილს დედის გულში ჩაკრულს რომ ხედავს.
ობოლს რომ ნახავ გვერდს ნუ აუვლი,
მოეფერე და გული გაუთბე,
არ აწყენინო, თუნდაც სტყუოდეს,
შენ! ნებიერამ ობოლს დაუთმე.

ორ რამეს ნუ მთხოვთ

ორ რამეს ნუ მთხოვთ, უმისოდ
ადამიანს ვინ მიწოდებს?
ღირსებას ვერ შეველევი,
უგულოდ მე ვერ ვიცოცხლებ.
თქვენ შეიძლება გამძარცვოდ,
სუყველაფერი წაიღოთ,
ოქრო და ვერცხლი მოხვეჭოთ,
სასახლეები აიგოთ.
ვინ ანაბრები, სახლები,
მიწა, მამული, წაგვართვა,
მე მაინც არ დავეცემი,
წელში კვლავ შევძლებ გამართვას.
სხვისას სულს ვერ შეეხებით,
მხოლოდ ქონებას ასწონით,
მაგრამ კაცობის სასწორი,
ვნახოთ, ვის როგორ აგვწონის.
დაე! ცხოვრეთ სიხარბით,
ოქრო და ვერცხლი აგროვეთ,
თვალს არ მჭრის მათი ბრჭყვიალი,
მე გზად ღიმილებს ვაგროვებ.

17.12.2015.წ.

მაგ ნაწნავების ორი ბილიკი!

ვერ შემაჩერებს ვერავითარი,
ბოროტი ენა ანდა ქილიკი,
გზათამკვლევარად თუ კი მექნება,
მაგ ნაწნავების ორი ბილიკი.
მე ეგ ბილიკი შენთან მომიყვანს,
მხოლოდ და მხოლოდ შენსკენ მატარებს,
სულს შენზე ფიქრი მიფორიაქებს,
გულს შენი ნდომა ძლიერ აწვალებს.
მე გადავიხვევ ნაწნავს იდაყვზე,
აიკეცება ვიდრე ბილიკი,
თუ აღმოვჩნდები შენთან პირისპირ,
ვისი მაღელვებს მაშინ ქილიკი...
თუკი შეგნიშნავ თვალებში გრძნობას,
მაშინ ვიწამებ მიზანთან წვდომას,
ნუ შეშინდები ჩემო ფერია
და ნურც დაიწყებ მკლავებში კრთომას.
რა გეფიქრება ჩემთან შეფარულს,
აგაბრიალებ ვარდო სილაზე,
მე შენგან ველურ ტრფობას მოველი,
არ გამაგონო, არც შენ სინაზე.
მე შენ მოგიმწყვდევ ძლიერ მკლავებში,
დაგიმორჩილებ, როგორც ავაზა
და ეს იქნება მერე ყველასთვის,
მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა.

15.10.2014წ.

ოცნებების და სიზმრის ამარა!

ვუცქერ სველ ხეებს, ტანზე არც ერთს აღარ აცვია,
ცაც მოქუფრულა, წამოუსხამს წვიმის ლაბადა,
ერთ დროს ხასხასა სამოსელი ძირს გაფენილა,
წვიმამ და ქარმა, ზამთრის შიში უკვე დაბადა...
მზეო! ნუ წახვალ, შენი სითბო ყველას გვახარებს,
ცოტაც და ყინვა კარს შემოხსნის ყველგან მეფურად,
აღარც მერცხლები, არც პეპლები, არც ყვავილები,
ხის გაშიშვლებულ ტოტებზე ზის მხოლოდ ბეღურა.
სულ გაძარცვულა ველ-მინდვრები, ბაღი, პარკები,
მოუწყენია შეყვარებულ ქალ-ვაჟთა ჩეროს,
ვეღარ ჩაუწნავს მინდვრის ყვავილებს, ბიჭი გოგონას,
ნიშნად იმისა სიყვარულში, რომ დააჯეროს.
მაგრამ ბუნებას თავის წესი, კანონები აქვს,
გვიახლოვდება ზამთრის სუსხი, თოვლი ჭაღარა,
უკვე იწყება პლედების და ბუხრის სეზონი,
და ჩვენც დავრჩებით ოცნებების, სიზმრის ამარა...

26.10.2015.წ.

პაემანი!

შენს ლოდინში მხრებზე მათოვს
ყვავილების თოვა,
თითქოს პულსიც მიმეორებს:
მო-ვა, მო-ვა, მო-ვა...
სიყვარულის ახსნას ელის,
გოგო – გამიგონია,
მაგრამ ხშირად დამიჯერე,
აუხსნელი სჯობია.
სიყვარული უნდა იგრძნო,
შენგას ამას ვთხოულობ,
შემხედე და ახსნილია,
ადგილს ვეღარ ვპოულობ.
სიყვარულმა არ იცისო,
დრო და ჟამი, ადგილი,
არც სიტყვებით გადმოცემა,
არის მისი ადვილი.
სიტყვა ისე როგორ გეტყვის,
როგორც ჩემი თვალები,
ან ლაპარაკს რატომ რჩეობთ,
ვერ გავიგე ქალები.
შეიძლება ეს უბრალოდ,
ქალთა მოდგმის ჰობია,
თორემ ყურით გაგონილს ხომ,
დანახული სჯობია.

19.04.2015.წ.

პაპა /ბაბუ/ და შვილიშვილი!

გითხრა? პატარავ მე და შენ,
რატომ გვაქვს ერთი სახელი?
იმად რომ ჩემო ვაჟკაცო,
შენ იმედი ხარ ნათელი.
გიცქერ და მეამაყები,
მეზრდები კარგი ქართველი,
ქვეყნის მომავლის შუქი ხარ
და ჩემი ფუძის სანთელი.
როცა ჩემს სახელს გარქმევდი,
სიკვდილს იცი რა ვანიშნე?
მე უკვდავი ვარ ტიალო,
სეხნა მეზრდება საჯიშე.
რომ წავალ, ფესვის სიმყარე,
მინდა ჩემს პაპას /ბაბუს/ ვახარო,
წლები გავა და გეტყვიან,
პაპას /ბაბუს/ როგორა ჰგავხარო.

29.08.2015.წ.

პატარა კახი!

მცხოვანო მეფევ! დღეს საინგილოს,
კვლავ ენატრები „პატარა კახი,“
გაასაჩუქრეს ზაქათალა და
ბელაქნის მხარე, აგრეთვე კახი.
შენს საინგილოს დედა აღარ ჰყავს,
ის სხვა ქვეყნისა გამხდარა გერი,
მათი ცრემლებით ფესვი არ ხმება,
შენი ფესვიდან დაყრილ ყლორტს ელის.
თქმისაც გვრცხვენია, შენმა სამშობლომ,
ძალიან ბევრჯერ იგემა კრახი,
როგორც არასდროს შენს საქართველოს,
შენს საინგილოს სჭირდები „კახი“.
გჯეროდეს მეფევ, რომ არ ჩამქრალა,
ის შემართება ინგილო ქალის,
გულსა გტკენთ, მაგრამ დღეს აფხაზეთი,
და სამაჩაბლოც ამ დღეში არის.
გაგვიძეხ მეფევ! მხარს დაგიმშვენებს,
კვლავაც ვაჟები ინგილო ქალის,
და რჩეულები, ყველა კუთხისა,
გთხოვ, დაგვიბრუნე იმედი ხვალის!

21.08.2015.წ.

პეპელა და ვარდი

ლამაზი ფრთები გაშალა
და აფარფატდა პეპელა,
ათას გულგაშლილ ყვავილში,
საფეროს პოვნა ეძნელა.
უეცრად ვარდი იხილა,
და მიიზიდა სიტურფემ,
მიფრინდა, მასზე დასკუპდა,
გადაავიწყდა სისუსტე.
მისმა სურნელმა აბრუა,
და ეამბორა ნეტარით,
საბრალოს აღარ ახსოვდა,
ვარდს ჰქონდა მწარე ეკალიც...
კვდებოდა და თან ფიქრობდა,
ასე რატომა ხდებაო,
სილამაზე რომ მომხიბლავს,
საფრთხეს ვეღარა ვხედავო.
ჯერ კარგად არც შემიხედავს,
უკვე კოცნასა ვბედავო,
დაუფიქრებელ ქცევითა,
გულმკერდს სისხლითა ვღებავო.
თუმცა არ ვნანობ, ისედაც,
ერთი დღით მქონდა „ვიზაო“
გულმა რაც მთხოვა ის ვქენი,
ამაზე კარგს რას ვიზავო.

პატარა პრინცესა!

მე შენ მიყვარხარ ჩემო პრინცესა,
შენ რად მიწყრები, რად მებუტები?
მოდი შევრიგდეთ, გულში ჩაგიკრა,
მე ამით ვცოცხლობ, რომ მეხუტები.
თორემ მოვკვდები, არ გეყოლები,
აღარც მოხდება სასწაულები,
ლამაზ თვალებს რომ გაახელ თავთან,
აღარ დაგხვდება სამკაულები...
ვიცი რატომ ხარ ასე მოწყენით,
რომ არ მოფრინდნენ ის ფასკუნჯები,
ვერ მოგიტანეს დაპირებული,
ლამაზი ჩანთა და ფრანცუსკები.
როგორ გამშვენებს ყელზე მძივი თუ,
თეთრი კაბა, და თავზე ბაფთები,
წვრილქუსლიანი ფეხსაცმელებიც,
გექნება როცა დიდი გახდები.
ჯერ ის ჩაიცვი, მე რომ გიყიდე,
ლაკის ტუფლები გვერძე ზონრებით,
ფასკუნჯები კი ფრანცუსკს ეძებენ,
ვერ უშოვიათ შენი ზომები.

04.03.2015.წ.

რა გვემართება?!

რა გვემართება უფალო,
ეს რა ქაოსი არიო,
გთხოვ! არ დაუშვა ხვალ ძმები,
სკამებისათვის დარიო...
ან გაზაფხულის ლამაზ დღეს,
რატომ გვჭირდება შარიო,
ხვალ თუ ძმა, ძმას წაეკიდა,
ვაი სამშობლოს ბრალიო...
ისედაც ერთი მუჭა ვართ,
გამრავლება გვაქვს ვალიო,
რას ვშვრებით მტრების წისქვილზე,
უნდა დავასხათ წყალიო?
ერთურთის მტრობას ისა სჯობს,
რომ გავახილოთ თვალიო,
თამარის საქართველოდან,
დღეს ნაგლეჯიღა არიო.
ხალხი დაღალა ტყუილმა,
„ნაცებს“ ვანებეთ თავიო,
ოცნების ბუშტიც გაგვისკდა,
გაუფასურდა ლარიო...
კარგი ცხოვრების სურვილი,
მხოლოდ სიზმარი არიო,
ვერ დანიშნულა ვაჟი და
ვერ გათხოვილა ქალიო.
ორსული საქართველოში,
სანთლით საძებნი არიო,

ვაი, რომ ალგეთს ლეკვები,
ძალზე ცოტანი არიო...
ღმერთო რატომა ვჯიშდებით,
ისეთი რა გვაქვს ბრალიო,
სულ სხვები მოგვწონს რატომღაც,
სავაში, მურად, მარიო...
ტელევიზიის არხებიც,
არიან ვისი ფანიო,
შორენა, ნინ ა, კონჩიტა,
ან კესარია არიო.
ერს, ჯაჯანიძის მაცქერალს,
როგორ გვეთხრება თვალიო,
მკითხავები და მაგია...
რა საძაგლობა არიო.
ვის მაგალითზე ვზრდით შვილებს,
შეხსნან ცხოვრების კარიო,
ნუთუ არავინ აღარ გვყავს,
სამაგალითო ქალიო,
ანდაც ნამდვილი ვაჟკაცი,
ვინც არის საცქერალიო.
გულიდან დარდი ამოვთქვი,
თქვენც შეგაწყინეთ თავიო,
უფალო შენ გადმოგვხედე,
გთხოვ! აგვიხილე თვალიო.

20.03.2015.წ.

რაა სიცოცხლე?!

რაა სიცოცხლე? გამოღვიძება,
რომ გაგიცინებს დილით მზის სხივი,
ანდა ზამთარში გარეთ გამოსულს,
სუსხს გაგრძნობინებს ყინვა გულცივი.
კიდევ რა არის ჩვენი სიცოცხლე?
არსებობისთვის ბრძოლა და შრომა...
ენის, მამულის, სარწმუნოების
დაცვა, შენახვა, ქალ-ვაჟთა შობა
და ასე მიდის წუთისოფელი,
ხან შეგვცივდება... ხანაც დაგვცხება...
თუ შევებრძოლეთ სევდას იმედით,
ყველა ტკივილი მალე დაცხრება.
უნდა ვიმარჯვოთ ყველა მომენტში,
უიღბლობის და იღბლის ჭიდილში,
რწმენა, იმედი არ უნდა გაქრეს,
თვით მომაკვდავში, სიკვდილმისჯილში.
აი, ასეთი მწამს შემართება,
ასაკი? გული არა ბერდება...
მაშ, გაუმარჯოს! ისეთ სიუცოცხლეს,
რომელიც სიკვდილს არა ნებდება.

11.01.2015.წ.

რად გაგვიძვირდა დოლარი

რა გვემართება ნეტა უფალო?
სად დაგვეკარგა ღმერთო მორალი?
ამ კითხვის პასუხს მოველით ყველა:
რად გაგვიძვირდა ასე დოლარი?
ჩვენმა ქმედებამ ჩვენვე დაგვახრჩო?
ამ გულგრილობას ავუბით მხარი?
რომ მიგვატოვონ იმ თევზებივით,
სულს რომ ღაფავენ, არა აქვთ წყალი.
შეხედეთ! ხალხი ოხრავს და კვნესის,
ანდაც ღვთისმშობელს უსწორეთ თვალი,
არ გეცოდებით? რით ვიარსებოთ?
ქაღალდად რატომ გვიქციეთ ლარი?
ნუთუ, ტყუილად გვჯეროდა, გვწამდა,
შვებას მოგგვრიდა წელი შემდეგი?
ხალხის ცრემლების არავის სჯერა,
თვალწინ გვაქვს ძალზე მძიმე შედეგი...
მიქელ გაბრიელს უთქვამს – ვინც მოვკალ,
ყველას მივეცი რაღაც მიზეზი,
ლარის „სიკვდილის“ შესაჩერებლად,
რამე ვიღონოთ თუნდაც მიზერი...
მაგრამ ამას ხომ, ნება სჭირდება
გთხოვთ! დაგვიტოვოთ რწმენა იმდენი,
გვირაბის ბოლოს შუქსა ვხედავდეთ,
ყველაზე ბოლოს კვდება იმედი.

29.04.2015.წ.

რატომ ამიფეთქე გული და...

რატომ ამიფეთქე გული და
რატომ ამიშალე ფიქრები,
თუკი მე ვერ მოვალ შენთან და
ჩემი ვარასოდეს იქნები.
ახლა მაჭარი ხარ ჩუხჩუხა,
ცოტაც და შენც დაღვინდები.
შენი ბულბული ვარ სიცოცხლევ
ვარდო! შენს მხარ-ბეჭზე ვფრინდები.
ეკლით ნუ დამსერავ ჭირიმე,
მკვდარი აბა რისთვის გჭირდები,
მინდა, ჩვენს სიყვარულს ვუმღერო,
ამ გულს მარტო შენა სჭირდები,
თუ შენს სუნთქვას ყურთან გავიგებ
შენგან ვეღარ წავალ, გპირდები...
ამ დროს აღარ მინდა სასმელი,
შენი სურნელებით ვითვრები.
იცი?ცეცხლიც აღარ მჭირდება
შენი ტანის ალით ვიწვები.
მინდა თუნდაც ერთხელ მიხილო,
იგრძნო, შენთვის მე ვინ ვიქნები,
რატომ ამიფეთქე გული და,
რატომამიშალე ფიქრები...
თუკი ვერასოდეს მნახავ და
ერთად ვერასოდეს ვიქნებით...

შენში ვპოულობ რაღაცა ახალს!

შენ სულ ჩემში ხარ, სულ თან დამყვება,
მაგ ბუბუნა ხმის მჟღერი ბგერები,
ო! როგორ მიყვარს როცა ჩემთან ხარ,
თბილად მიცქერი და მეფერები.
მე ისევ ისე გელი ყოველთვის,
შენში ვპოულობ რაღაცა ახალს,
გავიდეს წლები ამ სიყვარულში,
მაინც ვერ ვიგრძნობთ, ძვირფასო ასაკს...
ვიცი ცხოვრების კანონი არის,
აწმყო ყოველთვის წარსული ხდება,
მაშ, რად ამბობენ ნამდვილ სიყვარულს,
დრო ვერას აკლებს, უკვდავი ხდება?
უკვდავი რჩება მხოლოდ ლეგენდა,
ამბავი დიდი სიყვარულისა...
სიყვარულია დაუვიწყარი
და ლაღი წლები – სიჭაბუკისა.
სიცოცხლე იწვის, ნელ-ნელა ქრება,
დასანანია ასე რომ ხდება...
მაგრამ ცხოვრების რეალობაა,
„წყალნი წავლენ და ქვიშანი რჩება“.

17.01.2015.წ. 21.01.2015.წ.

რაც გულს დამაჩნდა ჭირად თუ ლხინად!

ყველაფერს აქვსო თავისი დრო,
გამიგონია, რომ უთქვავთ ხშირად,
როცა ბერდები, გულიც გიცვდება,
აღარ გიღირსო სიცოცხლეც ჩირად.
მე ეს არ მჯერა, ვერც დავიჯერებ,
რაც გულს დამაჩნდა ჭირად თუ ლხინად,
ვერ დამავიწყებს, მას დრო ვერ წაშლის
თუნდაც, რომ ვიყო სიკვდილის პირად.
გრძნობას ჩ აწერილს ნაზი სიმებით,
იხსენებს მოხუციც ძალიან ხშირად
და იმ ტკბილ – მწარე სიმების გამბმელს,
ახლაც იგონებს ძალიან თბილად.
დროის ისარი ბრუნავს მივყავართ
ვით, შეთქმულს ცხვარი ღმერთს შესაწირად,
ჩვენც ვეწირებით მარადისობას,
რომელს შევადგენთ ყველა წვრილ-წვრილად.
როს შეჩერდება ბედის ისარი,
მაშინ ვიქნებით სიკვდილის პირად,
აი! ამ დროსაც მემახსოვრება
ვინც გულს დამაჩნდა ჭირად თუ ლხინად.
უკანასკნელად გავიმეორებ,
დავიმორჩილებ ცრემლების წვიმას,
ვისაც შევწირე ჩემი სიცოცხლე,
მასვე მოვუხმობ სიკვდილის პირად.

27.11.2015.წ.

რთველი და თათარაობა!

კახეთში სეტყვაა, კახეთში ქარია,
კახეთში გვალვაა უკვე რა ხანია,
მაგრამ კახეთში მაინც რთველია,
ლამაზი მტევნები თქვენს თითებს ელიან.
და მაინც თუხთუხებს ქვაბებში თათარა,
ჩურჩხელას ავლებენ დიდი თუ პატარა,
რის შემდეგ სწორდება ცეცხლის ღადარი
და ჰა! სამწვადედ ცეცხლი მზად არი.
ისმის მასპინძლის ჩქარა სამწვადე,
მოიტათ, მომეცით შამფური სად არი,
იწვება მწვადები, იხდება შოთები,
იწყება ქეიფი არ გვიყვარს შფოთვები.
კახეთში რთველია და სტუმრებს ელიან,
სუფრაზე ღვინოა, იქავე ყანწია,
მაგრამ თუ კი რამ დიდი განძია,
ჩემი ალალი – კახელი ხალხია.

სამშობლოს

არ მასვენებს და ყურებში მესმის,
ვაჟას არწივის ფრთების ტყლაშუნი,
მუდამ ზე მავლის ძირს დანარცხება...
აი, ეს არის ჩვენი წარსული.
ჩემო სამშობლოვ! ყურებში მესმის,
ტატოს მერანის ფლოქვთა თქარუნი,
თავისუფლება, ქროლვა რომ გინდა
მიტომ თანა გდევს დეზთა ჟღარუნი.
ღვთისმშობლის წილხვედრს, ნუთუ ეს გერგო,
სულ მოგჩხაოდეს შავი ყორანი?
შავი მიზნების გხვდებოდეს ზღვა და
მუდამ ეძებო მისი ბორანი?
ყურში ჩამესმის დიდი ილიას,
ვედრება დღესაც განახლებული,
ნუთუ ვეღარ ვზრდით ისე ჩვენს შვილებს,
„უკან ჰყვეს კვალი განათებული?“
ან რად არ ვუსმენთ აკაკის ჩანგურს
მისი სიმები, ხომ ჩვენ ვართ ყველა,
რად გვავიწყდება ერთიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა სუყველას შველა.
შენ! ვიღაცა თუ ცაში აიჭერ,
დანარჩენი ხომ, ძირს „ვხოხავთ“ ყველა,
შენ თუ გააპე ბედის „სამზღვარი“
ამით იპოვე გგონია შვება?
არა! და არა! – თუ შენს სამშობლოს,
არწივისავით არ ძალუძს ფრენა,

თუ მერანივით წინ ვერ იქროლებს,
თავისუფლება თუ არ აქვს ჯერაც,
მაშ, რად გახარებს, ან რისთვის გინდა
ეს შენი ყოფა გამორჩეული?
„რა ხელყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია გამომწყვდეული?“
არ დაგგვიწყნია გურამიშვილის,
შეგონება და რჩევები თბილი,
ჯერ მწარე ვჭამეთ ჩვენ უამრავი...
აწი დრო არის, რომ ვჭამოთ ტკბილი.
ვაჟას არწივის აფრენის დროა,
მჯერა იქცევა იგი ხელადა,
მალე ვიხილავთ იმ ყვავ-ყორანის,
გაშლილს გაფანტულს – ბუმბულს ველადა.
მოდი ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი,
კვლავ გაგაჭენოთ „ტატოს მერანი“
თუ აქამომდე არ ვემონეთ სხვას,
არც აწ ვემონოთ შენი მხედარნი.

07.11.2014 წ.



და მივაღწიოთ სამნიშნულ ასაკს!

ზოგჯერ მიგრძვნია ჩემთვის ჩვეული,
შრომისუნარი ხალისი არ მაქვს,
გაკვირვებული თავს ვეკითხები,
ნეტავი რა მჭირს? ნეტავი რა მაქვს?
ხან კი რაიმეს ვეძებ მთელი დღე,
სად შევინახე? ნეტავი სად მაქვს?
ანდა რად მიკვირს მე საუკუნის
ნახევარი, ხომ ამ მხრებით დამაქვს.
წუთი, წუთს მისდევს მონოტონურად,
გულის ციფერბლატს ისარი არ აქვს,
მაგრამ ბანს აძლევს საათის წიკწიკს,
როცა ის ახდენს ჟამთასვლის ათვლას
და ასე, ჩუმი, წყნარი წიკწიკით,
საუკუნეებს ვაბარებთ წარსულს.....
ეხ! ბავშვობავ და ახალგაზრდობავ...
ვერ დავიბრუნებთ წლებს უკვე წასულს.
ბევრჯერ ხომ გულიც კი დაგვწყვეტია,
თუ ჯანგატეხილ მეგობარს ვხვდებით
და მაინც მინდა მთლად დათოვლილმა,
რომ საუკუნეც ვატარო მხრებით.
მინდა სუყველამ დიდხანს ვიცოცხლოთ,
ყველა კეთილ გულს ვუსურვებ ამას,
იძგეროს დიდხანს მოყვასისათვის
და მივაღწიოთ სამნიშნულ ასაკს.

სატრფიალო!

ვინ დაგაყოლა ეგ სილამაზე,
თამარმა?, ნინომ?, ნატომ?
რომ შემომხედო და შემიყვარო,
მხოლოდ ამასა ვნატრობ.
ვინ დაგანათლა მედიდურობა,
ბულამჩომ?, შხარამ?, უშბამ?
ეგ სულერთია მე დამატყვევა,
შენი თვალების შუქმა.
ან ვინ გიბოძა დაუნდობლობა,
არწივმა?, ქორმა?, ძერამ?
ნუთუ შენამდე არ მოაღწია,
ამ ჩემი გულის ძგერამ.
მაგრამ ჯაბანი არც მე გეგონო,
მეც არწივის ვარ მართვე,
რასაც ეს გული თავისად ჩასთვლის,
იმას ვერავინ მართმევს...
რა ვქნა ამ გულმა დაგისაკუთრა,
ეს სწორია თუ მრუდე,
გამასამართლონ ზეცასთან ახლოს,
მთაში მოგიწყე ბუდე.

რისთვის მოვედი ამ ქვეყნად?

რისთვის მოვედი ამ ქვეყნად?
რომ ეს სიცრუე ვისმინო?
მძულდეს, ვგრნობდე და ვხედავდე,
და მაინც უნდა ვითმინო?
ყველაზე მეტად გულს მირევს,
ნიღაბი ფარისეველის,
მათ შეხედვაზე მეხვევა,
ფიქრები ღამისმთეველი...
მართალ ხალხს ვეძებ, უნიღბოს,
არა ანგელოზს ფრთებიანს,
გული მკარნახობს წადიო,
გზას დაადექი მთებიანს..
მთაო! კვლავ შენთან მომინდა,
ეს ყოფა მტანჯავს, მაწვალებს,
ერთგულება და სიწმინდე,
შენ ბავშვობიდან მასწავლე...

სიკეთის ქმნა და ნუგეში!

სიკეთის ქმნა და ნუგეში,
თუ წესადა გაქვს, გჩვევია,
უფლის რჩეული ყოფილხარ,
გულს სითბო შემოგრჩენია.
სხვისი ტკივილი თუ გტკივა
და სიხარული გახარებს,
მაშინ სენსა და „სიბერეს“
უფალი არ გაგაკარებს.
სახეც გაქვს მუდამ მღიმარი,
ასხივებ, გადგას ნათელი,
თუ გულში მუდამ გინთია,
გაჭირვებულთა სანთელი.
იმ სანთლის ალით მათ ათბობ,
ტკივილს უამებ, უშუშებ
და არა ზოგიერთივით,
ასეთს მაღლიდან უყურებ....
შუღლი და ბოღმა ვერაგი,
შენვე გგვნებს, კვალი გატყვია,
რუსთველმა შემოგვახვია
ბრძნულ აფორიზმთა მანტია...
„ბოროტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია“,
შური, მტრობა რომ არ იყოს,
განა ასეთი ძნელია?

სიცოცხლე!

ყოველი დილის გათენება ხომ
დაწყება არის ჩვენი სიცოცხლის,
ვინ ეგებება დილას ღიმილით
ვინ ცრემლიანი ამას ვინ მოსთვლის.
გათენება ხომ მზის ამოსვლაა,
ჯადოსნურია დილით აისი,
მისი სხივები გვაცოცხლებს ყველას,
მისით გვაქვს ყველას ძალა, ხალისი.
მზე არ გვანსხვავებს, ყველას დაგვნათის,
იმედის სხივი ყველას გვჭირდება,
თუკი იმედით იწყება დილა,
მერწმუნეთ, არა გაგვიჭირდება.
მზის ამოსვლა თუ აღარ გახარებს,
გათენება თუ სიამეს არ გგვრის,
მაშინ ასეთი ყოფაც არ გინდა,
მაშინ ასეთი სიცოცხლეც არ ღირს.
შენი სამშობლოს მთისა და ბარის
და ქართველობის თუ იცი ფასი,
მისი მომავლის უკვდასაყოფად,
თუ გაგაჩნია შენ შენი მრწამსი,
მაშინ იყავი მუდამ მხნე, ლაღი,
ამაში არის სიცოცხლის არსი,
დე! იყოს შენთვის დილის ნათება
ჩვილის ღიმილის, ღუღუნის მსგავსი.
მაშინ იქნება სიცოცხლეც კარგი,
როცა ვინმე გყავს გულს ჩახუტული,

თუკი გათენდა, მზეც ამოვიდა
მე, რატომ ვიწვე თვალდახუჭული?
არ მინდა ძილი... მერეც მეყოფა,
უგონოდ ყოფნა, როს მოვა ჟამი...
და მსურს ამ ჟამის გაუქმებისთვის,
მიქელ გაბრიელს მივართვა ქრთამი,
მაგრამ არ არის ასე ცხოვრება,
მუდმივად არვის არ გვეცხოვრება,
როცა დავტოვებთ ჩვენ ამ საუფლოს,
გულით თქვან – ღმერთო ჰქონდეს ცხონება...

09.11.2014 წ.

სიყვარულის დღე

სიყვარულის დღეს გილოცავო მეუბნებიან,
მაგრამ სიყვარულს ჩემო კარგო, განა დღე უნდა?
სიყვარული ხომ სათუთი და ნაზი ყლორტია,
რომ ისაზრდოოს, ყურადღება უნდა დღემუდამ.
შეყვარებულად ყოფნა ძლიერ სასურველია,
სასიამოვნო, მათრობელა, მაგრამ რთულია,
უნდა ფეთქავდეს, სულ უნდა გრძნობდე, გულის ბაგაბუგს,
არ შეიძლება გაჩერება, ის ხომ გულია..

სიყვარულია რაც გადაგვარჩენს!

დასაბამიდან ადამის მოდგმას,
რადა გვაქვს გულში შუღლი და მტრობა?
მდიდარს რად ვჩუქნით ძვირფას საჩუქარს...
რატომ გვჩვევია გლახაკის გმობა?
შუღლი სენია, ვიქნებით ავად,
ვიდრე ამ გრძნობით ვიფიქრებთ სხვაზე,
მკვლელნი ხდებოდნენ ძმისა თუ მამის,
რომ ასულიყვნენ სამეფო ტახტზე.
რად უნდა მტრობდეს ქართველი-ქართველს,
ან ცხვირი მაღლა ვის ავუწიო?,
ამას სჯობია სურვილი გვქონდეს,
დღეს მეგობრობა ვის გავუწიოდ.
ვიდრე ჩვენ ერთ-ურთს ვედიდგულებით,
მტერმა საჩვენოდ ხმალი ალესა,
სიყვარულია, რაც გადაგვარჩენს,
თორემ ხომ ვხედავთ, მტრობამ წაგვლეკა.

29.09.2015.წ.

ილია მეორეს!

ჩვენ ისევ გვტკივა დღეს აფხაზეთი,
სოხუმი, გაგრა, ბიჭვინთა, რიწა,
რამდენი ძერაც გინდა დააცხრეს,
ის მაინც არის ქართული მიწა.
რამდენი წელიც გინდა გავიდეს,
ჩვენ დავბრუნდებით, მივაღწევთ მიზანს,
აფხაზეთი კვლავ ჩვენი იქნება,
იქ დამარხულთა საფლავებს ვფიცავთ.
თუ თქვენ იქნებით ჩვენთან, ჩვენს გვერდით,
შველას სხვისაგან აღარ მოველით,
მხოლოდ თქვენ დაგვრჩით იმედად ერთი,
მუხლმოდრეკილნი ლოცვად მოვედით.
უნეტარესო! მხოლოდ თქვენი გვწამს,
ოღონდ გვიხმე და ვითარცა ერთი,
ფეხზე დავდგებით მუშტადშეკრულნი,
ამოგიდგებით იმ წუთას გვერდში.
დავითის ძვლები მიწიდან კვნესის,
იმისი სული კვლავაც აქ არი,
კვლავ გამოჩნდება ჩვენში ერეკლე,
ნინოს ჯვრით პირჯვარს დაგვწერს თამარი.
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,
მათ დაგვიტოვეს ქვეყნის საზღვარი,
ოი! სირცხვილო, დღეს დავრჩით რანი?
როგორ ვუსწოროთ წინაპრებს თვალი.
სამშობლო, ამდენი უგუნურის და
უგულოების სამსხვერპლოდ გახდა,
მრევლი გიხმობს და შეგთხოვს ილია...
უშველო, ვიდრე სრულად არ გაწყდა.

სახლში თუ გიდევს ნაკურთხი ბზა!

დაბადებიდან დასასრულამდე,
ცხოვრებისათვის ყველა ვართ მზად...
მე ჩემი, შენ შენი, მაგრამ სუყველამ,
უნდა გავიაროთ სიცოცხლის გზა.
თუ ქრისტიანი ხარ, დადიხარ ტაძარში,
სახლში თუ გიდევს ნაკურთხი ბზა,
იფიქრე იმაზე, მიგიყვანს ტაძრამდე?
შენგან არჩეული სავალი გზა...
გთხოვ! ნუ გაიხდი სიხარბეს წინამძღვრად,
არ დაგანებებს იცოდე თავს,
სულს აღგიშფოთებს, გაგაბოროტებს,
ათი მცნება კი გვასწავლის სხვას...
რაც შენად არ გინდა, ნურც სხვას ნუ უსურვებ
სიკეთე სთესე, ნუ იზამ ავს,
გული ღვარძლის ნავლად, სითბოთი აივსე,
თუ ქრისტიანი ხარ, თუ ღმერთის გწამს.

03.04.2015.წ.

სული!!!

გაზაფხულს ვადარე ეს ჩემი სული,
სიყვარულით და სითბოთი სავსე,
არც ზაფხულის მწამს, არც შემოდგომის,
შორს გადამალეთ ზამთარი სადმე.
ყვავილობის ჟამს მიყვარს ბუნება
და გაზაფხულის მწველი მზის კოცნა,
ვიდრე ამ გულში გაზაფხული დუღს,
მაშ, შენ ზამთარო მოგიწევს მოცდა...
რაშის ქროლვაშიც ჩემს სულსა ვხედავ,
ფლოქვების ხმა კი მუსიკად მესმის,
მე ყველა მესერს გადავეველები,
ის მებრალება, ვინც ისრებს მესვრის...
ჩემს გაბრაზებას ვადარებ ელვას,
ცა რომ დასჭექავს ჭექა-ქუხილით,
მერე შვიდფერად აელვარდება,
და ვიღას ახსოვს წყენა-წუხილი.
ხან კი ღრუბლიან ცასაც ვედრები,
ზეცა რომ ჩემი ცრემლებით ტირის,
ღმერთო! გვაკმარე დარდი და გლოვა,
გული ვერ უძლებს უზომო ტკივილს...
ეეჰ!!! გაზაფხული სულ ვერ იქნება,
რაშიც იღლება, წვიმაც ჩერდება,
გვინდა თუ არა მაინც დაგვათოვს,
ყველა ჩვენგანი, მაინც ბერდება.

უცხო ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებს!

რატომა რჩეობ უცხო ქვეყანას,
ამბობ, ცხოვრება ბევრად კარგია,
მაგრამ ის, დედა არ არის შენი,
დედინაცვალი შენ რას გარგია.
კი, გეთანხმები, ცხოვრების დონე,
ვიცი ჩვენსაზე, რომ არის კარგი,
მე ისიც ვიცი დედინაცვლისთვის,
გერი, რომ არის ყოველთვის „ბარგი“.
გარკვეულ დროით დარჩი, იცხოვრე,
ისწავლე, ნახე, მათი წესები,
მაგრამ ნუ გასცვლი სამშობლოს მასზე,
არ ამოძირკვო შენი ფესვები.
სიახლეებით თავბრუდახვეულს,
ყოველი კარგად მოგეჩვენება,
ეიფორია რომ გადაგივლის,
შენ იქ არავინ მოგეფერება...
როცა მოიწყენ და ნოსტალგია,
შენი ქვეყნისა მოგეძალება,
და მოგინდება საქართველოს ცა,
კიდევ იხილოს შენმა თვალებმა...
მაშ „იავნანა“ იღვიძებს შენში,
თუკი სიზმრებშიც სამშობლოს ხედავ,
„დედინაცვლიდან“ გამოიქეცი,
უთხარ, დავბრუნდი! შენი ვარ დედავ!.

07.05.2015.წ

ეს ლექსი დაიწერა ემიგრანტი მეგობრის საუბრის
შედეგად
„ძლიერი ქალები“

მე ის ქალი ვარ, ყველა დღე რომ ერთია მისთვის,
უკვე წლებია არ არსებობს სამი – რვა მარტი...
მე ის ქალი ვარ ჩემთვის თბილად აღარ უთქვიათ,
დაბადების დღეს გილოცავო აჰა, შენ ვარდი.
მე ის ქალი ვარ მიმაჩვიეს რომ უნდა ვიყო,
წამყვანი ძალა, მესაჭე და მუდამ ძლიერი,
არ მაქვს უფლება, მოვუსმინო რა უნდა ჩემს გულს,
სულ მცირე დოზით მაინც ვიყო მეც ბედნიერი.
უკვე წლებია დამავიწყდა, რომ მეც ქალი ვარ,
უცხო მიწაზე არ მიშრება ცრემლი თვალებზე,
თუ ძლიერი ვარ, რად ვასველებ ბალიშს ყოველღამ,
ან სიძლიერე ვინ მოიგონა, ვინ თქვა ქალებზე?
ქალი ქალია, ნაზია და ის არის დედა,
როცა დავტოვე აღარ იყვნენ თუმცა ჩვილები,
ახლა ვინა ვარ? არც ნაზი ვარ, ან რა დედა ვარ?
დაბრუნებულმა ვეღარ ვიცან ჩემი შვილები.
რა მწარედ მივხვდი, რომ მე მათთვის ის აღარა ვარ,
დამშორებიან, გაუცხოვდნენ ჩვენი სულები...
ისიც ვიგრძენი, უნდათ ისევ გადავიკარგო,
რომ ახლა უფრო, დედაზე მეტად უნდათ ფულები.
მეც წამოვედი, გული მტკივა, ნუთუ არ გესმით?
ღმერთო! როდემდე უნდა ვიყო გრძნობით მშიერი,
ახლა მითხარით, ვინც ყურს უგდებს შვილების სუნთქვას,
ის დედა არის უსუსრი და მე ძლიერი?

ემიგრანტებს!

ღმერთო, როგორ ვარ გაორებული,
ნუთუ უფალო სულ ასე ვიქნები?
ერთში ქალი ვარ, ნაზი, სათუთი,
მეორეში კი ცხოვრებით ვიღლები.
ერთში სიყვარული მწყურია, ალერსი,
მეორეში კი ძალებს ვიკრებდი,
იქ, ჩემი ქვეყნის სურნელი მათრობს,
აქ კი საქმიან იმიჯს ვირგებდი.
ყველაფერს ვახერხებ, რადგან ძლიერი ვარ?
მე ხომ ამ ყველაფერს ტანჯვით ვიწყებდი,
ძალიან ბევრი გავიღე ყველასთვის,
მაგრამ სანაცვლოდ ვერას ვიღებდი.
არა! არ მინდა მე სიძლიერე,
ეს გაორებაც სადღაც წაიღეთ,
კმარა! რაც დღემდის ცრემლი დავღვარე
კმარა! ისედაც ბევრი გავიღე.
არა, არ მინდა ვიყო ძლიერი,
კმარა, დამტოვეთ მამყოფედ ქალად,
თორემ თუ სული ცარიელია,
მილიონიც კი არა ღირს ლარად.

05.01.2015წ.

იტალიიდან ჩამოსვენებულ ქართველ ქალს!

ნუთუ შვებაა ოჯახის,
რაც რომ მედიამ გვაუწყა:
გადმოსვენება მოგვარდა,
საელჩო გვერდით დაუდგა.
დედისთვის რა ბედენაა,
ვინ და ან რასა ჰპირდება,
მიცვალებული კი არა,
შვილი ცოცხალი სჭირდება.
წლებია არ უნახია,
ახლაც შავები ჩაიცვას?
სასახლე? არა! მას უნდა
პირმშო გულში რომ ჩაიკრას.
ნეტავი ჩვენმა ყურებმა,
ეს ამბები არ გაიგოს,
და არც დაკრძალვის ხარჯები,
სახელმწიფომ არ გაიღოს.
ეს ხარჯი არა გვჭირდება,
ფული ჯანდაბამ წაიღოს,
ჩვენ დაგვიბრუნეთ დედები,
შვილი უდედოდ არ იყოს.
როდემდის? – მინდა ვიყვირო,
როდემდე უნდა ხდებოდეს,
ქართველი ქალი ვით გლახა,
უჭირისუფლოდ კვდებოდეს.
წლები გავიდეს ცოლი – ქმარს,
შვილი – დედას ვერ ხვდებოდეს,

იმათი სულის ძახილი,
საქართველოს არ სწვდებოდეს.
იქნებ ვიპოვნოთ რამე გზა...
აქ სასიკეთო ხდებოდეს,
დაბრუნდნენ ემიგრანტები,
იქ აღარავინ რჩებოდეს.
ჩემო სამშობლოვ! ამას გთხოვ,
გავწიოთ სულ სხვა ხარჯები...
საშვილიშვილოდ აღმოვფხვრად,
ეს მანკიერი ხარვეზი...
თავი აქ უკეთ ვირჩინოთ,
ეს იყოს მწარე წარსული...
აღარა ვნახოთ არავინ,
სარჩოსთვის სხვაგან წასული.
ხშირად მსმენია, რომ არ გყავს,
შენ შვილი დასაკარგავი,
მაშ რად გვიმეტებთ, რომ გავხდეთ,
უცხოეთს დასამარხავი.
ნეტავი ეს არ გამეგო...
ნეტავი ეს არ ხდებოდეს,
ქართველი ქალი – მთლად ნორჩი,
იტალიაში კვდებოდეს.

30.03.2015.წ.

ვინ გაგიმეტა! /ბექა/

ვინ გაგიმეტა
ასე უღმერთომ,
კიდევ რამდენი
რამ უნდა გეთქვა...
ლამაზი ლექსი სიტყვაკაზმული,
სიმღერა უნდა გემღერა ბექა.
ამ წმინდა
ღამეს, ლამაზი სული
ანგელოზებმა იბარეს ზეცას,
შენ არ დაგკარგავს
სამშობლო შვილო,
სულ გვეხსომები
ლამაზო ბექა!
კიდევ მრავალჯერ
გაზაფხულდება,
კიდევ მრავალი
მოვა აპრილი,
რით ვანუგეშოთ
საბრალო დედა,
შენი ოჯახი ცრემლად დაღვრილი...
ვინ გაგიმეტა
ასე უღმერთომ,
რატომ შეგიმოკლა
სიცოცხლის გზა,
შენც ხომ დღეს უნდა წმინდა ტაძარში,
აგენთო სანთელი,
გეკურთხა ბზა...

ბექა მარგიშვილის ხსოვნას

ბექა! მოგიხმობ, ვიცი რომ გესმის,
დღეს შენი სული აქა ტრიალებს,
მაგ შენი თბილი გულით დაგვლოცე,
ვიდრე სატანა გაგვატიალებს.
ისევ ვიგლოვეთ სამი საჯიშე,
სულ ცეკვა – ცეკვით გაფრინდნენ ზეცას,
ალბათ მოძებნე, იშვილე კიდეც,
ტანზე ქართული ჩოხები ეცვათ.
დღეს ამ დარბაზში ბექა!- პოეტო!,
შენ უნდა გეთქვა შენი სათქმელი,
მოგვფერებოდი შენი ლექსებით,
და მოგვესმინა შენი ნამღერი...
გთხოვ! დაესიზმრე ყოველღამ ირმას,
დედებმა ვიცით რასაც გრძნობს დედა,
შენ! საქართველოს შვილი ხარ ბექა,
შეუშრობელი ცრემლი გვდის დღესაც.
ხომ მოისმინე ჩემი წუხილი,
სულიდან მწარედ ამონახეთქი,
გულის ფიცარზე დაგიწერს შვილო,
არ დაგივიწყებს შენი კახეთი.
და სიამაყით იტყვის ოთიკო:
საუკეთესო ვარ მამის შვილი,
ამ ჩემს ძარღვებში ვისი სისხლიც სჩქეფს,
ეს არის ბექა! თან მარგიშვილი.

მოკლული პოლიციელი – ბექა მარგიშვილი!

ფიზიკურად და სულით ლამაზი,
რატომ იყავი ბექა ასეთი,
ლექსებით როგორ ეფერებოდი,
როგორ გიყვარდა შენი კ ა ხ ე თ ი.
რამ გათქმევინა: „ადამის მოდგმის
არა მჯერაო ფერისცვალების,
გაზაფხულს ველი, ჩემო, ამჯერად,
რომ დავიბადო გარდაცვალებით“.
გულმა თუ გიგრძნო, ტყვიას გესროდა,
სწორედ ადამის მოდგმის სატანა,
იმას რად უნდა გასამართლება,
საღრჩობელაზე უნდა აყვანა.
აჰაა! აგიხდა, გაზაფხულია,
კვირტი დახეთქა წითლად ატამმა,
იქნებ დედაშენს უთხრა რაიმე...
თუ როგორ შეძლოს ამის ატანა.
რად დააობლე შენი შვილები,
ცხოვრების გზაზე უნდათ გაყვანა,
იმათ მამიკოს ზრუნვა სჭირდებათ,
ჯერ ისევ ხელში უნდათ აყვანა.
ალბათ მშვიდად ხარ, გჯერა ფესვისა,
იმ ღამეს შენშიც გენმა იყივლა...
გათენდა დილა, დიდი ტკივილის
და საქართველომ ბზობას იტირა.
იმ წმინდა ღამეს უკვდავი გახდი,
ვერაფერს გახდა შენთან სატანა,
ანგელოზებმა გახსნეს სამოთხე,
იქ მოინდომეს შენი წაყვანა...

ვამაყობთ შენით, გმირო, პოეტო,
როგორ იყავი ბექა ასეთი...
ამ დიდ სიყვარულს და თავდადებას,
არ დაგივიწყევს შენი კ ა ხ ე თ ი.

06.04.2015.წ.

მოცეკვავე ბავშვების ტრაგედია
რევაზ! თორნიკე! დავით!

ისევ გლოვა და ისევ ცრემლები,
ისევ საჯიშეთა მსხვერპლი,
ვაიმე შვილებო! რითი გიშველოთ,
სატანა ყოველმხრივ გვებრძვის...
თქვენ ანგელოზის ფრთებიანო,
კიბე აირბინეთ ბეწვის,
ნომრიდან როგორ ვერ გამოფრინდით,
ცოდვით გულ-მუცელი მეწვის.
თქვენი ცეკვით უნდა გვეამაყა,
რევაზ! თორნიკე! დავით!
საბრალო დედებს ისიც არ ეღირსად,
ცხედრებს დასხდომოდნენ თავით...
მთელი საქართველო შეძრა ამ ტკივილმა,
ყველა ვიღვრებით ცრემლად,
თქვენ კი მოცეკვავე ვაჟკაცებო,
ზეცას მოეფინეთ ფერფლად.

11.05.2015.წ.

ამ ლექსით მინდა მადლობა გადავუხადო, ქ-ნ თამუნა გელოვანს, რომელმაც თავისი გამომცემლობა „უსტარი“-ს მეშვეობით, უსასყიდლოდ გამოსცა მოკლული პოლიციელის და პოეტ ბექა მარგიშვილის ლექსების კრებული.

თამუნა გელოვანს!

ლექსში იხილეთ ლამაზი სული,
სიმღერით გესმათ მისი ხმა მჟღერი,
გული გაგითბათ, თქვენც ხომ დედა ხართ,
შვილი გაზარდეთ და თანაც ბერი.
ვერაგის ხელით ლამაზი სული,
უეცრად მოკვდა არა წვალებით,
მაგრამ ო! არა, ის არ მომკვდარა,
ის დაიბადა გარდაცვალებით...
ტყვია ესროლეს, გული გაჩერდა,
ბექა კი გახდა გმირი, უკვდავი,
დ იდ ი მ ა დ ლ ო ბ ა! მის უკვდავებას,
რომ ხელს შეუწყობს თქვენი – „უ ს ტ ა რ ი.“
მე ეს არც მიკვირს, თქვენა ხართ დედა,
სახელად, გვარად სახელოვანი,
თქვენშია ლექსის და მუზის გენი....
თქვენ თ ა მ ა რ ი ხართ, თან გ ე ლ ო ვ ა ნ ი.

26.04.2015.წ.

ცამეტი ივნისის თბილისის სტიქია

მეკითხებიან ჩუმად რად ხარო,
ეს სიჩუმეა, რაც მკლავს, მაშინებს...
გაზაფხულიდან კვნესოდა გული,
რაც მეტს ვტირივარ, უფრო მატირებს.
სტიქიაა? არა ეს ღვთის რისხვაა,
ჩემო სამშობლოვ! რად გხვდა ეს ხვედრი?
ღმრთისმშობელი არ გაგვიმეტებდა,
მწამდა, რადგან ვართ მისი წილხვედნი.
თარსი ცამეტის ბართლომეს ღამეს,
წარღვნად ბრდღვინავდა ცხელი ივნისი,
ქარის, წვიმის და ნგრევასთან ერთად,
ცხოველთ საჯიჯგნად გახდა თბილისი...
წმინდაო მარიამ! შენც ხომ დედა ხარ,
რად არ გვაფარე ეგ წმინდა კალთა,
არ დაიცავი ის უცოდველნი,
როცა დაუდგათ სიკვდილი კართან.
ვერ დავიჯერებ, შენც არ გდიოდა,
ჩვენი დედების ცხარე ცრემლები,
იმათი ცოდით ქვაც იტირებდა,
მშვიდად ვერავინ ვეღარ ვჩერდებით.
დედა ხარ იცი, – მიქელ გაბრიელი,
მომაკვდინებელს, როს უჭერს ღვედებს,
ორმაგი არის მსხვერპლი ყოველთვის,
სიკვდილს ანატრებს დახოცილთ დედებს.
ახლა ხომ მიხვდით, რატომ ვარ ჩუმად,
ეს სიჩუმეა რაც მკლავს, მაშინებს,
აღარ ვიტირებ სატანის ჯიბრზე,
რაც მეტს ვტირივარ, უფრო მატირებს.

9 აპრილს დაღუპული, ფეხმძიმე ქალის – ე ლ ი ს ო ჭ ი პ ა შ ვ ი ლ ი ს შვილის ხსოვნას!

თუმც საქართველოვ შენ არ გაკლია,
ერთგულთ სიცოცხლე თავგანწირული,
ჩემი პატარა სულიც მიიღე,
შენს დიდებისთვის შემოწირული.
სულიო, ვამბობ, რადგან სხვა რა მაქვს,
ჯერ არ შობილი ვარ განწირული.
სიტყვის თქმა მაინც, რომ შემძლებოდა,
იქნებ გამელხო „ლოდი ყინულის“
ვთხოვდი, იქნება არ ავეჩეხეთ,
არ ჩაედინათ საქმე „გმირული“
და დაბადება ეცალებინათ,
დედიკოს ნახვა მინდოდა გულით.
როგორ მინდოდა მისი ალერსი,
მაგრამ ერთად ვართ გულგანგმირულნი.
ჯერ არ შემეძლო, რომ გამეწია,
შენთვის რაიმე საქმე გმირული,
სხვა ბავშვებივით ჯერ მეც მინდოდა,
იავნანა და ძილისპირული...
თვალის ახელა მაინც დამცლოდა,
მენახა, ვისთვის ვარ განწირული,
თვალით მენახე, ჩემო სამშობლოვ,
მე ხომ შენთვის ვარ შემოწირული.

მალე ფარები დაიძვრებიან!

გამომეღვიძა, ვხედავ სარკმლიდან,
აფეთქებულან იასამნები,
მალე ფარებიც დაიძვრებიან,
ელოდებიან იალაღები...
გაზაფხულის მზე მოეფერა და,
მთებმაც გაიძრეს ზამთრის ქათიბი,
ზეციდან მოსულ ღვთიურ ცრემლებზე,
ბალახი გახდა ლამის სათიბი.
ცოტაც და მთის გზას გაუყვებიან,
მეცხვარეები ტყავის ქალამნით,
თვალს ეამება როცა ვუცქერი,
მთის გზას, შეფენილს თეთრი ქარავნით.
საამო არის შორიდან ცქერა,
მათი შრომა კი არ არს ადვილი,
ხან ავდარია, ფათერაკები...
ხშირად თავს ესხმით ღამით ნადირი.
ბარგაკიდებულ ცხენს დაგორებულს,
სევდით უცქერენ ხრამში ჩაჩეხილს,
მოსხლეტილ „ნოტოს“ როგორ ეძებენ,
ძლივს პოულობენ სადღაც ჩარჩენილს.
ეს ვაჟკაცების საქმეა მხოლოდ,
უსუსურს, მშიშარს, ეს არ ეგება,
მთის წვერზე ისე ახლოს ხარ ცასთან,
თითქოს ღრუბლები თავზე გეხება.
ჯიხვი დაგცქერის ქიმზე შემდგარი,
მხრებს დაგისველებს შხეფი ჩანჩქერის,
ვთქვათ სადღეგრძელო ცხვარ-მეცხვარის და
შესანდობარი მთაში ჩარჩენილთ...

10.05.2015..წ.

ფეის ოჯახი!

სადაც გინდა ვიყოთ დღისით მთელი დღე,
სამსახურში, პიკნიკზე, თუ ქეიფზე,
საღამოთი ყველა ერთად ვქუჩდებით,
რომ ერთმანეთს მოვეფეროთ „ფეისზე.“
სახლში მისულთ ყველას ერთი სული გვაქვს,
ვნახოთ ერთი ვინ რასა გვწერს მეილზე,
ვენაცვალე ინტერნეტს, რომ ერთმანეთს,
ვუზიარებთ ემოციებს „ფეისზე“.
დიდი ხნის წინ მიმოფანტულ მეგობრებს,
ვპოულობთ და თვალით ვხედავთ „სკაიპში,“
თუკი რამის მოძიება გვჭირდება...
ყველას ნახვა შეგიძლია ლაივში.
ძალზე ბევრი მეგობარი შემძინა,
ინტერნეტმა, „ოდნომა“ და „ფეისმა“
გამაგონა მე იმათი, მათ ჩემი,
მადლობა ღმერთს ეს სიკეთე გვეღირსა.
მიყვარხართ და გეფერებით სუყველას,
საღამოს ვართ ყველა ჩვენ-ჩვენს ოთახში,
მაგრამ მაინც მეგობრებო ერთად ვართ,
თავმოყრილნი, ერთ დიდ „ფეის ოჯახში“.

24.12.2014.წ.

ბუნების ფერისცვალება!

ბუნების ფერისცვალებას,
ჩვენებურად ვგრძნობთ ყველა,
ხეებმა უკვე დაიწყეს,
შეფარვით ფოთოლცვენა.
მერცხალიც მოწყენილი ზის,
თითქოს შეწყვიტა ლხენა,
ბუდის დათმობა უმძიმს და
თბილ ქვეყნებისკენ ფრენა.
ნუ სწუხხარ ჩემო ჭიკჭიკავ,
გულს ჯავრად ნუ მოგხვდება,
კვლავ რომ გაზაფხულს მახარებ,
ბუდეც კვლავ აქ დაგხვდება.
ვერ განუგეშე მგონია,
ვიცი დარდი გაქვს რისა,
გულს, დატოვება გიმძიმებს,
შენც საქართველოს ცისა.

31.08.2015.წ



იცით? უკვე გაზაფხული ვიპოვე!

იცით? უკვე გაზაფხული ვიპოვე,
ჩემს ბაღჩაში ხე-ხილს დავაკვირდი,
ალუბლის ხეს ულამაზეს ტოტებზე,
სულ ტყუპ-ტყუპად დაეყარა კვირტი.
ახლოს მიველ, მივეფერე ნაზად და
შემომცინა, გაზაფხული მახარა,
ჩავჩურჩულე – რად იჩქარე სტუმრობა?
ჯერ ხომ ისევ ზამთარია პატარავ.
თითქოს უცებ გაბათილდა ეს კითხვა,
დავინახე სულ ახალი სიმწვანე,
ღობის ძირში მოსულიყო ჭინჭარი,
არ მახსოვდა დასუსხვა და სიმწარე...
დავიხარე, ყველა ხელით მოვსინჯე,
ბუჩქ-ბუჩქ თავი წამოეყოთ მიწაზე,
მე ვიხილე, როგორ იბრძვის სიცოცხლე,
გაზაფხულო! შენი ძალა ვიწამე.

26.01.2015.წ.



ფეხმძიმე ქალზე ლამაზი!

ფეხმძიმე ქალზე ლამაზი,
არავინაა ამქვეყნად,
თავის პირმშო, რომ იხილოს,
უნდა ილოდოს რამდენხანს...
მის გულში სიყვარულია,
დიდი სითბოა ჩაღვრილი,
შიგნით პატარა სიცოცხლე,
დედასთანაა ჩაფსკვნილი.
რაც ჩვენთვის უცნობი არის,
მხოლოდ შენ იცი უფალო,
ქალის ღვთაებრივ სხეულში,
სული იღვიძებს სულთანო.
ვინ იყო პირველი დედა,
საიდან იყო მოსული?
დედამიწაზე პირველად,
ნეტა ვინ იყო ორსული?

ქალი!

გულს სიყვარული უნდა,
ნაზი, სათუთი წმინდა,
ამაზე დიდი ჯილდო,
ქალის გულს სხვა რა უნდა,
ქალი ყვავილია ტურფა,
ნაზი ფუტკარი უნდა,
რომ დასტკბეს მისი სიტურფით
თაფლად აქციოს სულმთლად,

ქალი კოკორია ვარდის
და მას ბულბული უნდა,
უალერსოს და უმღეროს,
გულს ხომ დაპყრობა უნდა,
ქალი სანთელიათაფლის,
გრძნობით ანთებული მუდამ,
იწვის, იცრემლება, დნება
გრძნობამორეული ქრება.

ქალია ვაჟკაცის მუზა!

სიცოცხლის საწყისი წყარო,
არის დალოცვილი ქალი,
ქალი ნაზიც და ცელქიც,
თითქოს ანგელოზის დარი,
ხან ძუ ლომივით საშიში,
ხან თვინიერი, წყნარი,
ზოგჯერ ჯოკონდას ღიმილით,
ზოგჯერ ატეხილი ქარი,
და მაინც ყოველთვის ლამაზი,
ქვეყნის და ოჯახის ფარი,
ქალია ვაჟკაცის მუზა და
თავდავიწყებაა ქალი.
ასე ყოფილა ოდითგან,
დღესაც ხომ ასე არის,
ადამიც ევამ აცდუნა,
კაცის ცდუნებაა ქალი.

ფოთლებო!

მე ვუცქეროდი თქვენს დაბადებას,
იყო აპრილი, გრძნობებით კრთომა,
კვირტებმაც ვეღარ უძლეს ცდუნებას,
აფეთქდნენ იწყეს ერთბაშად სკდომა.
იდგა აპრილი ლაჟვარდი ცის ქვეშ,
თვალს იტაცებდა თქვენი სიმწვანე,
ბუნებას მორთულს ნაირ ფერებით,
დავიწყებოდა ზამთრის სიმწარე.
გამოცოცხლების იყო ზეიმი,
ვეღარ ნახავდით გრძნობას მოთოკილს,
მზემაც გაუხსნა კვირტებს საკინძე,
ეს იყო შობა მწვანე ფოთლების.
მე შევეჩვიე ამ სილამაზეს,
გაზაფხულს, აპრილს და სულის თრობას,
მიტომ ვერ ვუცქერ სიამის თვალით,
თქვენს გაყვითლებას, ძირს ცვენას, კვდომას.
მე, მახარებდა შრიალი ხეთა,
ფოთლები ხეებს მწვანედ რომ ება,
ო! რმერთო ჩემო, ასე რად ხდება,
რომ სილამაზე, სიტურფე ჭკნება...
ბევრჯელ მოვესწარ ფოთლების თოვას,
ძირს ოქროსფერი ხალიჩის გებას,
ლამაზი კია, მაინც ვერ ვგუობ,
ფოთლებო! მაგ თქვენს უსულოდ გდებას.

ქალები!

ქალები ბუნებით ნაზი ვართ, სათუთი,
ყოველთვის გვჭირდება სითბო და ალერსი,
ამავ დროს დედა ვართ ძალიან ძლიერი,
მახვილსაც დავხვდებით ორმხრივად ალესილს.
თვალებით ვერ ვხედავთ ჩვენს შვილებს ყოველდღე,
გულით ვგრძნობთ, ყურებში სულ მათი ხმა გვესმის,
სუსტი და ძლიერი, ფისო და ძუ ვეფხვი,
ქალშია ლამაზად ერთმანეთს რომ ერწყმის.
ქალებს ჩვენეული სიმორცხვეც გვიხდება,
ლოყებ შეფაკლული თვალებს რომ ვნაბავდეთ,
გვსურს, რომ ფისოსავით თავზე ხელს გვისვამდნენ
და გრძნობის ცრემლითაც ბალიშსაც ვნამავდეთ.
ვინ მოგვცა ასეთი გარდაქმნის უნარი?
ქალიდან – დედამდე, გრძნობებით ვაბოდებთ,
წამს ქრება სინაზე, უკან არ დავიხევთ,
შვილებს თუ დავჭირდით ძუ ვეფხვსაც ვაჯობებთ.
და მაინც ქალები ბუნებით ნაზი ვართ
და მაინც გვჭირდება სითბო და ალერსი,
მაგრამ როგორც დედა? არც კი დავფიქრდებით,
მახვილსაც დავხვდებით ორმხრივად ალესილს.

02.09.2015.წ

ღვინო!

კახური ღვინო იყო ოდითგან,
ქართული სუფრის შნო და ლაზათი,
ღვინო, რომ არის ღვთიური სითხე,
არც ამას უნდა მგონი კამათი.
მხოლოდ მისით აქვს ქეიფსაც ეშხი,
ღვინოს დალევ და ყველაფერს ეტრფი,
აგივსებს ძარღვებს გულს შეგიტოკებს,
თავს გაგრძნობინებს ვითარცა ზევსი.
ღმერთმა შეგარგოთ ვაზის ნაჟური,
შესვით, იყავით კაცად კაცური,
არ დაუკარგოთ მას თავის ფასი,
არც დაივიწყოთ ჩვენი წარსული.
იმ მამა-პაპამ დასაბამიდან,
კარგად იცოდა ამ სითხის ყადრი,
შემოგვინახეს, გადმოგვილოცეს,
არც მოგვკლებოდეს ამ ღვინის მადლი.
ღვინო რომ არა, რით ვადღეგრძელოთ?
ვინც გვყავს ცოცხალი, ანდა წასული,
რითი ვუსურვოთ ჩვენს საქართველოს
გამრავლებოდეს ძე და ასული.
ან რით ვადიდოთ ჩვენი ბიჭები,
ანგელოზებად ზეცას წასული,
მათი დაღვრილი სისხლის წვეთებით,
ყველა ჩვენგანი ვართ დაღდასმული.
მაშ! გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს,
კიდევ დავლოცოთ გლეხის ხელები,

შვილივით ნაზარდ ვაზს თავს ევლება,
რომ არ მოგვაკლოს ვაზის ცრემლები.
ქართული ღვინო, – ამ დალოცვილს ხომ,
რაღაც ძალა აქვს ჯერ არ ახსნილი,
რაც უფრო დავლევთ, მეტად გვიზიდავს
და მეტად ვხდებით ჩვენც გულგახსნილი.
კიდეც გვატირებს, კიდეც გვაცინებს,
ხანდახან შფოთსაც არ აგვაცილებს,
მაინც უმისოდ, დაულოცავად,
ქართველი სტუმარს არ გააცილებს...

22.10.2014 წ.

ღმერთო იმედი მიეცი!

მე სწორედ ის წყარო მიყვარს,
ქვევიდან ზევით რომ წავა,
იმ კუს ვაღმერთებ ფინიშთან,
კურდღელზე სწრაფად რომ მივა.
სწორედ იმ მერცხალს მოველი,
გულში სითბოს რომ მომიტანს,
არ დანებდება სიცივეს,
გაზაფხულს მაინც მოიყვანს.
არ მიყვარს „ვერ“ რომ ამბობენ,
თუ კაცი მოინდომებსა,
კუც აჩქარდება და წყაროც,

აღარ იდინებს მდორეთა
და გაზაფხულსაც მოიყვანს,
ერთი მერცხალი სწორედა.
ღმერთო! იმედი მიეცი,
ღარიბს და არას მქონესა,
მაშინა ხარობ ათმაგად,
თუ მოუარე შორესა,
ლაბირინთიდან გამოხველ,
გზას დაადექი სწორესა.
მიზანთან მშვიდობით მიხველ
და ასცდი ეკალ-ყორესა...
ხანდახან ხერხი სჯობია,
ათი ვაჟკაცის ღონესა.

ყაყაჩო და ია

ყაყაჩომ იას დასცინა,
შენ ხომ ყვავილი არ ხარო,
დაბალი, თვალთუხილავი
ფოთლებში ძლივსა სჩანხარო.
გალურჯებული, საწყალი
და უსუსური რამ ხარო,
სულ სხვაა ჩემი ელ-ფერი,
გიჟდება მთელი სამყარო.
შენსავით კი არ მეძებენ,
შორიდანაცა ვჩანვარო,
მე რომ მინდორ-ველს მოვქარგავ,
შენ ვინ მოგხედავს საბრალო?

იამ უსმინა და უთხრა:
ერთი ტრაბახა რამ ხარო,
შენ ძებნას რად დაგიწყებენ,
რა სუნი აგდის – ყარხარო.
შენ, შეიძლება შორიდან,
თვალსა სჭრი ხიბლავ ხალხსაო,
მაგრამ თუ ვინმემ დაგსუნა,
მსწრაფლ გაგიდგება განსაო.
ფოთლებიც უმალ გცვივდება
და ასვრევინებ ლაფსაო,
მე ეს იმიტომ გაკადრე,
რომ დაუწიო ხმასაო.
აი, მე კი სულ მეძებენ,
სურნელით ვხიბლავ ხალხსაო,
სუნით რომ მოვაჯადოვებ,
მერე ვენახვი თვალსაო.
კონებად შეკრულს ლარნაკში,
მიცქერენ კარგა ხანსაო,
მე ლურჯი კაბა მაცვია,
ეს უფრო მშვენის ტანსაო.
თუმცა შენც მშვენიერი ხარ,
თან როგორ იხდენ ხალსაო,
წითელი კაბა ხალებით,
განა აცვია სხვასაო?
ყაყაჩო უფრო გაწითლდა,
სირცხვილით ხრიდა თავსაო
და როცა თავდახრილი დგას,
იას არიდებს თვალსაო.

03.02.2015.წ.

შემოდგომა

მომეპარე, შეუმჩნევლად, მშვიდად,
ფერიცვალობ ზაფხულ-ზამთარ შორის,
ჯერ პატარა ზაფხული ხარ ისევ,
სუსხს რომ უშვებ არც ის დროა შორი.
ეხ! რას იზავ, ეს მისია გერგო,
უნდა იყო ზამთრის მოციქული,
ჯერ სამოსი გაუხუნე ხეებს,
გაზაფხული მიერ მოჩითული,
ბოლოს მასაც არ შეატოვ ტანზე,
ძირს ჩამოჰყრი და დატოვებ შიშვლებს,
მეც ზამთრისფრად შემიღებე თმები,
ჩამეჯიდე და ხელს აღარ მიშვებ.
მოგყვები და ამ ჩემს სავალ გზაზე,
ახლა მხოლოდ ფოთოლცვენას ვხედავ,
ხომ დაგნებდი, მშვიდი ვარ და წყნარი,
მოციქულო! ერთ სათხოვარს გბედავ...
ზამთარს სთხოვე, არ იჩქაროს მოსვლა,
ვიცი შენთვის ეს იქნება რთული,
დამაცადოს, ჯერ სიცოცხლეს ვეტრფი,
არ გაყინოს ჩემი თბილი გული.
გული, სადაც არასოდეს ცივა,
იქ ყინული დაუდნია თბილ მზეს,
თუმცა სარკეც სულს მიშფოთებს რადგან,
იქიდან მე უცხო სახე მიმზერს...
ვგრძნობ დავკარგე გაზაფხული გზაში,
და ზამთარი შემოჭრილა თმაში,
მეც გედივით ავმღერდები ბოლოს,
აკორდებიც ჩამიწყდება ხმაში...

25.09.2015.წ.

შემოდგომის მზე!

შემოდგომის ადათია, წესია,
მან საგრძნობლად შეამოკლა დღე,
მაგრამ ამ დროს უფრო სასურველია,
როგორ მიყვარს შემოდგომის მზე.
დღესაც კარგი, მზიანი დღე გათენდა,
ამ ჩემს გულსაც სახლში ვეღარ ვტევ,
ეზოში ვარ ყავის ფინჯნით ხელში და,
ჩემთვის წყნარად მზის სხივებ ქვეშ ვლევ.
შემოდგომა დინჯია და უნიღბო,
არა ცრუობს პირდაპირ-ქმნა ჰშვენის,
გაყვითლებულ და ძირს დაყრილ ფოთლებსაც
ეს მცხუნვარე, მზეც კი ვეღარ შველის.
შემოდგომა უკვე დღეებს ითვლის თან,
ის გედივით ბოლო აკორდს მღერის,
ყოველ წუთას უკიჟინებს გარემოს,
განიძარცვეთ წინ ზამთარი გელით.
უკვე ფოთლებს არ სჭირდება მზის სხივი
და საგრძნობლად შეგვიმოკლდა დღე...
მაინც მე მზეს ვეგებები ხალისით,
მე მჭირდება შემოდგომის მზე.

შენი ბრალია ქართველო დედა!

სევდამ იმატა, ვეღარ ვღიღინებ
და ვეღარც ვუსმენ გულით სიმღერებს,
ჩემს საქართველოს დღეს ემუქრება,
უცილობელი „ერის სიბერე“.
მე ჩემს ქვეყანას – საფიცარ ტაძარს,
ვეღარა ვხედავ კვლავაც ფესვმაგარს,
ბევრი ჩამქრალი სიცოცხლის ნაცვლად,
რატომ არ ვუნთებთ სიცოცხლეს ახალს?
ქართველო დედა! შენი ვალია,
უნდა ამრავლო შვილი – სანთელი,
რომ არ ჩაბნელდეს ჩვენი ტაძარი,
კვლავინდებურად იყოს ნათელი.
დედავ! შენა ხარ სიცოცხლის ფუძე
და საქართველოს ხარ საძირკველი,
რომელსაც დედა, დღესაც ატყვია,
იმ უამრავი სანთლების კვალი,
საუკუნობით რომ იწვებოდნენ,
არ ჩამქრალიყო ამ ტაძრის ალი,
მის უკვდავებას ვინც უმაგრებდა,
ფესვებს და სანთლებს, შენ ხარ ის ქალი.
ბევრი ურჯულო არბევდა ტაძარს,
მედგრად იცავდა ერეკლეს ხმალი,
იცავდა სიბრძნე დიდი დავითის,
თამარის ლოცვა და ნინოს ჯვარი.
იდგა ტაძარი, მედგრად ამაყად,
მას ვაჟკაცების იცავდა ხმალი,
გულს ვერ ჩაჰხედეს, თვალებს უწვავდათ,
შენგან ნანთები სანთლების ალი.

არ ეშინოდა ჩვენს საქართველოს,
დედა იცავდა, ქართველი ქალი.
შენ გაგიმარჯოს ქართველო დედა!
ვინც გაამაგრე დღემდე ტაძარი,
განსაცდელშია ჩვენი სამშობლო,
თავს დასტეხია დიდი „ავდარი“.
შენ შეარყიე ის საძირკველი,
ტაძარს წარსტაცე ღონე და ძალი,
რადგანაც ბევრი დამწვარის ნაცვლად,
ცოტა სანთლების უნთია ალი.
შენი ბრალია ტაძრის შერყევა,
გთხოვ მაპატიო, რომ დაგდე ბრალი,
მაგრამ დაუშვი დიდი შეცდომა,
არ აღასრულე შენ, შენი ვალი...
გთხოვ! გაიხსენო უპირველესად,
დედობისათვის, რომ ჩნდება ქალი.
გთხოვ! შეისმინო, ძვირფასო დედავ!
სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის,
მოჰხედე ტაძარს, უშველე ტაძარს,
ნუ, ნუ დაანგრევ ჯერ ფეხზედ არის.
ვიდრე ის მცირეც ჩაქრება ალი,
შეჰმატე ტაძარს ღონე და ძალი,
უმრავლე ტანჯულს – ვაჟი და ქალი,
ვაჟებს მიეცი ფარი და ხმალი,
ქალს ჩააგონე დედობის ვალი.
ისე აღზარდონ თვისი შვილები,
როგორც აღზარდეს ის წინაპარნი,
რომელთა ხსოვნაც არ არის მკვდარი,
ტაძარს ასეთი ჰყავდა მრავალი...
მერწმუნე მხოლოდ მაშინ იქნება,

ჩვენი სამშობლო ძლიერი მყარი,
რადგანაც მხოლოდ მათ შეუძლიათ,
მტერს დაუხუჭონ ბოროტი თვალი.
მხოლოდ მათ ძალუძთ, ჩვენს საქართველოს,
რომ შეუცვალონ ავდარი, დარით,
თუ არა დედა, ჩვენი სამშობლო,
შენივე ხელით იქნება მკვდარი.

12.01.2015.წ.

შენთან არ მინდა!

არ დაგნებდები, შენთან არ მინდა,
ვერაგ საცეცებს ტყუილად მიღერებ,
რატომ გგონია, რომ შენ აგირჩევ,
ამ სილამაზის მერე სიბერევ.
გამაგებინე ჩემგან რა გინდა,
ასე ჯიქურად მაინც რას ითხოვ,
გულს არ უნდიხარ, ჯანი მჭირდება,
მხოლოდ და მხოლოდ თმის ფერს დაგითმობ.
რომ არ გამიწყრე, ჰა! ჩემი ნებით,
ცხოვრების წიგნის ამ გვარდს გადავშლი,
მაგრამ მე ისევ ვიქნები ლაღი,
მერე რა, თუ შავს თეთრზე გადავცვლი.
სხვას ვერას დავთმობ, ვერ ვუღალატებ,
მშვენიერებას... შენ არ მჭირდები,
ისევ ასეთი მოსიყვარულე,
მუზასთან ერთად ვივლი გპირდები.

01.05.2015.წ.

„ჩემი ოქრო ჩემთანო!“

„ჩემი ოქრო ჩემთანო,“
ბავშვობაში ნასწავლი,
თამაშია ასეთი,
მუჯში მეგდო მარცვალი
და მე უცბად წამოვხტი,
რადგანაც შენ მომიხმე,
გავიბადრე, რჩეულის
სიამაყე მოვირგე.
ბევრი წლები გავიდა...
როგორ აღარ მოვირთე,
შენ კი აღარ გახსოვდი,
ერთხელ აღარ მომიხმე.
„ჩემი ოქრო ჩემთანო“...
მახსოვს გულის ფანცვალი,
ისევ შენახული მაქვს,
მე ის „ოქროს“ მარცვალი,
სხვისთვის არ გამემეტა,
დღემდე მე მაქვს – გამხმარი,
აწი უკვე ბავშვობის,
მოგონებად გამხდარი...

30.07.2015.წ.

შენი კოცნების დათვლაო

თავიდან კრძალვით დავიწყე,
შენი კოცნების დათვლაო,
ახლა როგორღა დავითვლი,
უკვე ათასებს ასცდაო...
ან კოცნას დათვლა რად უნდა,
კოცნით ბაგე უნდ დასწვაო,
დღემდე არ გამნელებია,
პირველი კოცნის განცდაო...
ეს განცდა არც განელდება,
ბაგეს არც გავწევ განსაო,
თუ ძველებურად მომაპყრობ,
გრძნობით აღსავსე თვალსაო.
ცეცხლი ნაცრად არ იქცევა,
თუ არ ჩააქრობ ალსაო,
ეს გული შენთვის იძგერებს,
თუ არ გაუჩენ ბზარსაო.
მარილის მოყრა უხდება,
იცი ყოველგვარ მადლსაო,
უგულოდ არც კოცნა ვარგა,
გული მაჩვენე ქალსაო.

23.03.2015.წ.

შვილო!

მეც გავფრინდები, მაღლა ღრუბლებთან,
შევეკედლები ვარსკვლავად ზეცას,
ეს ღამით, დღეც რომ მომენატრები,
დავეკიდები სხივებად მზესაც.
შვილო! არ გტოვებს დედა არასდროს,
ის შენთან არის ყოველი წამით,
ან ვარსკვლავია, ან სხივი მზისა,
ანდაც წვეთებად ქცეული ნამი.
თუ გაგიჭირდეს, მიხმე საშველად,
აუცილებლად გავიგებ მაგ ხმას,
უფალთან ერთად შენს გვერით მდგომი,
არ დავანებებთ განსაცდელს შენს თავს...
გთხოვ! არ იდარდო, რომ ვერ მიხილავ,
თავს დასტრიალებს შვილს დედის სული,
შენში ჩავტოვე ჩემი გენები,
ამის დანახვა არ არის რთული.
სარკის წინ დადექ და დააკვირდი,
ჩემსას იქ, მაინც იპოვი რამეს,
მაშინ მიხვდები კვლავ ერთადა ვართ,
რომ არა გტოვებ არც დღე, არც ღამე.
მეც მშვიდადა ვარ, ვიდრე შენ მყავხარ,
ვერავინ წაშლის მანდ ჩემს ნაკვალევს,
დედაშვილობას ვერვინ გათიშავს,
თავის მსახვრალ ხელს, დროც ვერ აკარებს.

07.07.2015.წ.

ჩემთვის ჰაერის სადარი!

სულ თვალწინ მიდგეხარ ამაყი,
ჩემთვის ჰაერის სადარი,
მე უკვე იმ ძალით გიწამე,
უშენოდ ავად ვარ გამხდარი.
ვგრძნობ სულში რაღაცა ბობოქრობს,
დავდივარ თან დამდევს ფიქრები,
მე შენზე ვოცნებობ და გნატრობ,
ნეტავი შენც ასე იქნები?
ოხ! როგორ მინდა, რომ მჯეროდეს,
დაცლილ გულს რარიგად სჭირდები,
შენ თუ სულს მალამოდ ეცხები,
მეც შენი „სულელი“ ვიქნები.
მოდი, ამ სიგიჟეს უშველე,
ეგ გული მაჩვენე შიგნიდან,
მერე კი მომართვი ყავა და
დავლიოთ ჩვენ ერთი ჭიქიდან.

ესეც განწყობისთვის.....
ცოტა გავხალისდეთ

რა კარგია ჩემი სახლი,
ჩემი თბილი „ბუდე“
თვრამეტი წლის შემოვფრინდი,
სამჯერ ქე ვიბუდე.
მათზე ზრუნვას და სიყვარულს,

არ ჰქონია ზღუდე,
მადლობთ ღმერთო, არცერთს არ აქვთ,
ცხოვრების გზა მრუდე...
წლები ძალზე სწრაფად გარბის,
ეჯიბრება წუთებს,
ჟამო! ცოტაც დამაცადე,
მიყვარს ჩემი ბუდე.

იცი? შენ ჩემი დათუნია ხარ

დილა თენდება, სიცოცხლე იწყება,
აისის ცქერას მითხარი რა სჯობს?
თითქოს მიცინი იმ სხივებიდან,
ოცნებით ჩემთან აგზავნი ამბორს.
ბოლო არ უჩანს ამაო ლოდინს
იქნებ შენც იგრძენ მე რომ მჭირდები,
ძალიან მინდა გულში ჩაგეკრა,
იქიდან ვეღარ წავალ გპირდები..
შენით ვისუნთქებ, ვიდრე ვიცოცხლებ
ვიქნები გიჟად შეყვარებული
ისე ცხადად გგრძნობ, თითქოს შენთან ვარ
ლამაზ მხარ-ბეჭში შეფარებული.
იცი? შენ ჩემი დათუნია ხარ,
ციდან ვარსკვლავად ჩამოვარდნილი,
გული გიხმობს და სულ შენ გეძახის,
გული ბუდიდან ამოვარდნილი.

ჩემი შვილები

უკვე რამდენი წელი გამეპარა,
თბილისში წავიდნენ ჩემი შვილები,
ვუცქერ სტუდენტებს და თვალს არ ვუჯერებ,
თითქოს გუშინ იყვნენ ფუმფულა ჩვილები.
როგორ მენატრებით, რარიგად მიყვარხართ,
ჩემთვის ხომ თქვენა ხართ „პატარა დიდები“
თქვენ სტუდენტობა ძლიერ გიხარიათ,
არ ფიქრობთ უთქვენოდ მე როგორ ვიქნები.
ია! და ეკუნა! უცებ გაიზარდეთ,
დღითიდღე ქალდებით და უფრო მშვენდებით,
მე კი თქვენზე ფიქრში ჩემო ლამაზებო,
ასევე დღითიდღე თანდათან ვბერდები.
იმას, თუ რას გრძნობს და განიცდის ეს გული,
მოგიხმობთ ყოველწამს მხურვალე ვედრებით,
მიხვდებით ყველაფერს ჩემო ლამაზებო,
როდესაც თქვენ თვითონ გახდებით დედები.
ჟამო ულმობელო, რა სწრაფად მიჰქრიხარ,
წუთით არ ისვენებ წამით არ ჩერდები,
ჩემი წუთისოფლის წიგნიც იფურცლება,
მგონი მეც სხვებივით მორჩილად გნებდები

07.04.2002.წ.

ცოტნეს

ხარ ჩემი გულის ნაწილი,
და საჩუქარი ღვთისა,
ცოტნე! რომ მომენატრები,
მოუსვენრობა მჭირსა...
სოფლიდან ქათამს მოგართმევ,
მაგრამ ერთი ზნე გჭირსა,
ხორცეულს ზედ არ უყურებ,
მხოლოდ მიირთმევ ტკბილსა...
მეც ვცდილობ ის მოგიტანო,
რასაც შენ გაჰკრავ კბილსა,
ნამცხვარს, ჩიპსებს და სნიკერსებს
სჯობია სჭამდე ხილსა...
ისეთი საყვარელი ხარ,
ყელში რძის სუნი გდისა,
შენ რომ გიცქერი ვცოცხლდები,
ბებიაობაც ღირსა,
ხან ტოლებივით ვთამაშობთ,
მეც კვლავ ბავშვობა მჭირსა,
ფალავანი სულ შენა ხარ,
მე სულ «ვაგდივარ» ძირსა.

შენი ბებო.

ცაო! რად შეჰკარ კოპები?

რატომ შეჰქუჩდით ღრუბლებო?
ცაო! რად შეჰკარ შუბლი?
ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა,
ახლა რად გვინდა შუღლი?
ღრუბლები ისე შეჰკუმშე,
ცრემლი ადინე წვიმად,
ჩვენ შენი რისხვის ამბავი,
სუყველა ვიცით წვრილად.
არ დაგვაკელი არც სეტყვა,
ჭექა-ქუხილი, მეხი,
ნუთუ სულ არ გებრალება,
ხელდაკოჟრილი გლეხი?
ან დღეს რატომ არ დასცხრები?
რაში გჭირდება ძალი?
ჩამოგვიქროლე გრიგალად,
ღრუბლის გაჰფანტე ჯარი.
მაგრამ მე ვერ შემაშინებს,
შენი რისხვა ვერც ქარი,
რადგან მე იცი ვინა ვარ?
კარგად შემდგარი ქალი...
ეგ ყველა გამოცდილი მაქვს,
ყველას ვუსწორე თვალი,
და ერთში კარგად დავრწმუნდი,
ცხოვრება გვიჯობს წყნარი.
მოდი შევიდეთ ტაძარში,
უფალს ვუსწოროდ თვალი,
ვთქვათ აღსარება იმისა,
ნაგვად რად გვექცა ლარი.

ხალხს ტკივილს რომ დაუამებს,
იმ ჰანგზე ვრეკოთ ზარი,
გვესმოდეს ერთმანეთისა,
გულს აღარ გვქონდეს ბზარი.
ცაო! შენც, ქარმაც, ღრუბლებმაც,
სჯობია დავდოთ ზავი,
ვიდრე სუყველას ჩაგვიტანს,
ერთად სატანის ზვავი.
მხოლოდ რწმენას და სიყვარულს,
ვუძღვნად სუყველამ თავი,
მაშ! გახსენ ცაო კოპები
და აგვაშორე ავი.

14.09.2015.წ.

ჩემო მიწავ და მამულო!

ღვთისმშობლის მადლით ნამულო,
ჩემო მიწავ და მამულო,
ყველა შენ გეპატრონება,
ვინ ცხადლივ ვინ კი მალულო.
როდის იქნება მშობელმა,
შვილები ერთად გვიხილო,
გულში ჩაგვიკრა ყველანი,
ოსი, აფხაზი, ინგილო...
მინდა სულ მუდამ გამკობდეს,
ია, ვარდი და ღიღილო,
კვლავ ისევ ნიკოფსიიდან,
დარუბანდამდე გიხილო.

05.05.2015.წ.

ჩემი ცხოვრების წიგნი

ჩემი ცხოვრების წიგნი,
რა დიდი მეგონა უცებ,
თვალს და ხელს შუა გათხელდა,
დღემდე რამდენი ვფურცლე...
დრო სწრაფად გარბის და მიტომ,
გადაიფურცლა ამდენი,
ნეტავ ვიცოდე ხვალიდან
საფურცლი დამრჩა რამდენი...
როგორც წესია ეს წიგნიც,
ოდესღაც რჩება, მთავრდება,
გონების თვალით მე იგი
ჩემთვის დავყავი თავებად.
თავი პირველი – „ლამაზი“
ეს არის ჩვენი ბავშვობა,
მახსოვს სუყველას ალერსი,
გულს მიხარებდა, მათბობდა.
იმ უზრუნველ წლებს ვაცოცხლებ,
მახსენდებიან ჩემები...
პაპა, ბებია, სხვაც ბევრნი...
თვალზე მადგება ცრემლები.
ერთხელ შემერჭვა ხიჭვი და
ბებოსთან მიველ ქოშინით,
ვერ ამოვიღებთ? ნუ ჯავრობ
ხვალ ექნებაო ქორწილი.
და მეც გავჩუმდი, ვითმენდი,
უმალ შევწყვიტე ქოშინი,
რადგანაც ძლიერ მინდოდა,
მენახა ხიჭვის ქორწილი.

ასეთი მახსოვს რამდენი,
მოსაგონარიც ბევრია,
სულ იქნებოდნენ მეგონა,
ჩემი პაპა და ბებია.
თავი მეორე – „წალკოტი“
სტუდენტობის და ყრმობისა,
გაზაფხულად და აისად,
უტურფასესად ყოფნისა.
თავი მესამე – „სიმწიფე“
კარიერა და ჩინები,
მაგრამ ყველაფერს ჯობია,
ღვთისგან ნაბოძი შვილები.
თავი მეოთხე – „სიბრძნეა“
გამოცდილება ულევი,
მაგრამ ჯანს უკვე ეტყობა,
თითქოს ამძიმებს უღელი.
თავი მეხუთე – „ზამთარი“
სიბერისა და წინდისა,
ეს არის ბოლო ფურცლები,
ეპილოგია წიგნისა.



წლებო! მომიწყვეთ ერთი აქცია!

სწრაფად გაფრინდა ბავშვობის წლები,
მაშინ ვხარობდი, – „მე დიდი ვხდები“,
მაგრამ ახლა კი ყოველდღე ვხვდები,
რომ ფიზიკურად თანდათან ვცვდები...
მოდი! ბავშვობავ, მოდი! მიშველე,
ისევ დამიბრუნე ძველი ხალისი,
დიდობას ვნატრობდი? რად არ ვიცოდი,
დაისს ყოველთვის სჯობნის აისი.
ბავშვობამ უკვე ზურგი მაქცია,
წლებო! მომიწყვეთ ერთი აქცია,
ოჰ! რა იქნება, ბავშვად თუ არა,
იმ ლამაზ გოგოდ გადამაქცია,
წლების უკან რომ დავქროდი ლაღად,
ჩემს გარდერობშიც ისევ აწყვია,
ის ბაფთები და ხატულა კაბები,
დიდი ხანია, რომ არ მაცვია.
ახლა რომც ჩავიცვა, ამით რა მერე?
როგორ შევბღალო ძველი ხატება?
აღარც ის ტანი, არც გედის ყელი,
წლებო! ყოფილხართ მხოლოდ წამება...

10.07.2015.წ.

არჩევანი მე და არადანი შენ!

არჩევანი მე ვარ და
არადანი შენა,
აი, ამათ მე ვირჩევ,
ხოლო იმათ შენა...
წრეში ბურთი გაჩაღდა,
პასი მომე! ურაა!
დამაბრუნე კვლავ წრეში,
დაიჭირე ქულა.
და მეც ვცდილობ ნატყორცნი,
ბურთი გვერდზე გამცდეს,
ათჯერ ავიცდინო და
წრეში ისევ დავრჩეთ.
მესმის შეძახილები,
გამომესხა ფრთები,
ქულა რომ მოვიპოვო,
მაღლა მაღლა ვხტები.
დაბალ პასს თუ მესვრიან,
მიწაზედაც ვწვები,
მთელი ძალით ნატყორცნ ბურთს,
როგორც არის ვწვდები.
რა წლები გაპარულა,
მათ ხიბლს ახლა ვხვდები,
ჩვენი ტკბილი ბავშვობა,
ჩვენი ოქროს წლები...
ყურში რას ჩამჩურჩულებ,
რას მახსენებ ნიავო?
რომ გვიშლიდნენ იმ თამაშს?
ერქვა „ბრისლი მიაო“.

ჩემი ჭაღარაც კი გალამაზდა

დედა! როგორ მათბობს შენი გული,
იცი? როგორ მიცავს შენი ლოცვა,
ღმერთმა დაგილოცოს შვილები და,
უფრო გაგიმრავლოს გარემოცვა.
ოღონდ შენც იყავი ჩვენთან ერთად,
გთხოვ, რომ არ დაგვტოვო კიდევ დიდხანს,
„დედა გენაცვალოს საყვარელო“,
ასე გულიანად ვინღა მითხრას.
დედა! მერერა, რომ გავიზარდე,
რაკი აღარ მინდა იავნანა,
შენ არ გეგონოს რომ არ მჭირდები,
ჩემს სულს ეფინები ფიანდაზად.
დედა! ვიდრე შენი ლოცვა მიცავს,
სენი ვერაფერი მეკარება,
დედა! სანამ კიდევ შვილი მქვია,
მე ხომ სიბერეც ვერ მეპარება...
გთხოვ დე! კიდევ დიდხანს მიერთგულე,
დაე, ვიყო ვითომ ახალგაზრდა,
შენ რომ ასე თბილად მეფერები,
ჩემი ჭაღარაც კი გალამაზდა...

22.12.2015.წ.

ჭიამაია!

ჩემო სიცოცხლე, მე შენ იცი როგორ გიპოვე?
შენს საძებნელად გამოვუშვი ჭიამაია,
ვთხოვე, გაფრინდი მაპოვნინე მე გულისწორი,
გული გრძნობს ისიც მელოდება დიდი ხანია.
გაშალა ფრთები გამოფრინდა შენსკენ მაშინვე,
ვთხოვე იჩქარე, მისი ნახვა ძლიერ მწადია,
ნუთუ ვერ იგრძენ შენს ხელზე, რომ ნაზად დასკუპდა,
ის იყო ჩვენი სიყვარულის ელჩი პაწია.
ვიცი შენც სთხოვე მოვეძებნე, ბედის მოციქულს,
შენც ხომ გინდოდა, რომ გეპოვე ჩემო ფერია?
მოდი ჩამკიდე ეგ ლამაზი ხელი ძვირფასო,
წითელი კაბაც ჩემი გულიც უკვე შენია.
მან შეასრულა და ოფრინა ჩემს და შენს შორის,
დაპირებების ასრულების ჩვენი ჯერია,
ერთად წავიდეთ საძებნელად – ვუპოვოთ დედა,
გაპოვნინებო, ხომ შევპირდით ჭიამაიას.
ეს საბრალო ხომ, მთელი ცხოვრება დაეძებს დედას,
ბედის პოვნას ვთხოვთ და სანაცვლოდ ვპირდებით შველას,
ის არ გვზარდება და ჩვენს შორის განაგრძობს ფრენას,
დედის პოვნა კი არ ეღირსა ჩვენიდან ჯერაც.

29.10.2014 წ.

ხანდახან დგება წუთები

ხანდახან დგება წუთები,
სულს მიღრღნის სევდის ფიქრები,
უიმედობა მიპყრობს და
ვგონებ სულ ასე ვიქნები.
მაგრამ განა ის ქალი ვარ?
უარვყო ჩემი მიზნები,
იდეები მაქვს ულევი,
თავში ტრიალებს ციფრები...
შემოვუძახებ ისევ გულს,
ვეტყვი ასე ნუ სწუხდები,
ყოველთვის სჯაბნი სიძნელეს,
იღწვი, იმედით უძღვები.
შენ ხომ იმ ჯილაგისა ხარ,
სხვაგვარი ვერც აწ იქნები,
უკან არასდროს იხევ და
მხოლოდ წინდაწინ იჭრები.
ვისაც მზადმზარეულად აქვს,
ხელისგულზე აქვს ყოველი,
ის ვერ მიხვდება, რომ შველას,
თუ არავისგან მოველით,
მაშინ თავად ვართ მებრძოლი,
გულო ნაზი ვერ იქნები,
„ბრძოლა“ ჟინად გვაქვს ქცეული,
ფოლადო, ცეცხლში იწრთვები.

01.12.2014.წ.

ცისარტყელა

მე ხომ პეპელა არა ვარ,
მომეფერო და გამიშვა,
მხოლოდ ერთი დღით მოსული,
მომჯადოები თვალისა.
ციცინათელაც არა ვარ,
მანათობელი ღამისა,
არც ვარსკვლავი ვარ ციმციმა
და არც სიცივე მთვარისა.
შვიდფერი ცისარტყელისა
გარდასახვა ვარ ქალისა.
შენთვის რომ ავბრიალდები,
ვარ უნახავი თვალისა.
ვარ შენი სუნთქვის დარაჯი,
მპყრობელო ჩემი გულისავ,
ყოველთვის შენი სიცოცხლის,
მავედრებელი უფლისა.
ცაზე რომ ავფერადდები,
აალება ვარ სულისა,
შენთვის უდაბნოს წყარო ვარ,
მგზავრს, რომ მოუკლავს წყურვილსა..

30.01.2015.წ.

მამა, მე წუხელ სიზმარში გნახე

წუხელ სიზმარში რაღაც მიჭირდა,
საშველად ისევ შენ გიხმე მამა,
ვერ მივდიოდი, მეჯახებოდა,
უშველებელი მანქანა რაღაც...
მამაა! მიშველეე! რომ დავიყვირე,
საშველად გაჩნდი იმავე წუთში,
გადამარჩინე, მაგრამ მეწყინა,
არ ჩამიკარი ჩვეულად გულში.
ცალკე შიშისგან, ცალკე წყენისგან,
მიცახცახებდა სულმთლად სხეული,
ეს გულცივობა არ მომეწონა,
დიდ სითბოს ვიყავ შენგან ჩვეული.
მსწრაფლ გამერიდე, თვალს მიეფარე,
მე კი ტირილი დამეტყო ხმაში,
მამაა! გეძახდი, მაგრამ ამაოდ,
ჩემი ხმა ექოდ აიჭრა ცაში.
და ჩემს ძახილზე გამომეღვიძა,
სულ დამისველა ცრემლებმა სახე,
უკვე წლებია არ მყავხარ მამა...
მამა! მე წუხელ სიზმარში გნახე.

სარჩევი

მე გაზაფხულის ქალი ვარ! 3
მე ხომ სიცოცხლის აბული მქვია! 4
მე სიყვარულით ვირჩენ იარებს! 5
მე სულ პირველად დედა ვიცანი 6
ჩემო სამშობლო! 7
დედა! 8
მე საქართველოს ხიბლი მიყვარს 9
ყველა კუთხისა! 9
მე ქართველი ვარ! 10
დედაშვილობა! 10
ჩემი გურჯაანი 12
კორექტორს ვნატრობ გულისას! 13
ნეტა არ იყოს ქვეყნად ტყუილი 14
მე და მზე! 15
მამის თვალები 16
კახური მასპინძლობა 17
მონატრებულ მამას! 18
თქვენა ხართ ჩვენი... 19
დედა ის არის 20
არ მოგვიშალო იმედი! 21
მზის აღსარება! 23
სიყვარულია სამყაროს მთავარი ავან-ჩავანი! 24
აღსდგა! გაბრწყინდა! თქვენი სულიკო! 25
განა იმიტომ გაცალეს თოფი?! 26
სიზმარი! 27
არ გაგექცეთ სხვისაქენ თვალი 29
მაინც მოგაგნებ ქალო... 30
არ შემხვდეს ანარჩეველი 32
ბევრს თუ ვერ შევძლებ, მოგეფერები! 33
ახალო წელო! 34
ბედობა 35
ბებიას! 36
ახალ წელს გილოცავთ კახეთო! 37
ბუნების გამოღვიძება 38
გაზაფხულია მაშინ 39
ახ! რად არა ვარ შენი ასაკის! 40
გამიგონია ზოგი კაცისა 41
გაიღვიძეთ! 42
გამითამამდი ზამთარო! 43
უძირო თვალები! 44
განა ყოველთვის სიყვარულია? 45
გაშლილი ხელები, გახსნილი გული! 46
გთხოვ, რომ არ წაგვართვა სულის ფერი! 47
გოგონას ვეძებ ხალიანს 48
გული მიტომ მაქვს, უნდა გავაღო!... 49
გული წასვლას თუ მომთხოვს ოდესმე! 50
გულო! 51

დედა ენას! ····· 52
დედა ენა! ····· 53
დეკემბერო! ····· 54
ახალი წელი ····· 55
„დიდი ბავშვების“ სამყარო ····· 56
დილით ლამაზია მთები ····· 57
ემიგრანტებო! ····· 58
დუელი ····· 59
თაიგული შევკარ შენთვის დედა! ····· 60
ეკას მიძღვნილი ლექსი დედას! ····· 61
ეკას! ····· 62
იას! ····· 62
გურამს! ····· 63
ვალსი ····· 64
დილით მზეს ჩრდილავ სიტურფით ····· 65
ვარსკვლავს ჩავუთქვი სურვილი! ····· 66
ზამთარი არ მაშინებს, სიბერეა აფთარი! ····· 67
ზამთარი ····· 67
ზღაპარი დილა გათენდა! ····· 68
თამარ მეფე, „ოქროს ხანა“ ····· 69
თვალები! ····· 70
თეთრი ფიფქები ჩამეწნა თმაში! ····· 70
თმაშევერცხლილი ქალი ვარ ერთი ····· 70
გ ი ლ ო ც ა ვ !!! ····· 71
თოვლი! ····· 72
ახალ წელს გილოცავთ! ····· 73
თოლია! ····· 74
თუ გული გულობს ····· 75
თუ მოსვლა უნდა, ის ისეც მოვა ····· 76
იების სასახლე ····· 77
ისეთი წელი მინდა მოვიდეს ····· 78
მაიმუნს უთქვია! ····· 79
ახალწლის ღამეს! ····· 80
დაანთეთ სანთლები, იწამეთ ღმერთი! ····· 81
კახეთი ····· 82
ლამაზ ქალს ყველა შეჰხარის ····· 83
ია! ენძელა! ღიღილო! ····· 84
ლამაზი ქალი! ····· 85
მასწავლებელი! ····· 87
მაჭარზე მეტად მათრობელაა! ····· 88
მგონი უკვე დამეფერა ····· 89
მე რომ ვიცოდე მე მელოდები! ····· 90
მეგობრის ხელები! ····· 91
მეოცნებე ····· 92
მეტი ხარ ვიდრე ცხენი ····· 93
მზე და მთვარე ····· 94
მზეს ხედავს ჩემი თვალები! ····· 95
მთაში თუნდ ერთხელ ნამყოფი! ····· 96
თეთნულდი ····· 98

სვანეთს! 99
მთების წვეროზე გავაბამ ჰამაკს 100
მთებო! 102
ორ სამყაროში ვცხოვრობთ ყოველდღე! 103
მინდა გავექცე ზაფხულის სიცხეს! 104
მოსახლეობის აღწერა! 105
ოდესღაც მეც ვიყავ ლამაზი, ტანადი! 108
მუზა მეძახის მე კი არ ვუსმენ! 109
მამა 110
მზეს ცხელი გული მოვტაცე 111
მუზას! 112
მშობლის სტატუსი! 112
ნელი ბაწელაშვილ – უტიაშვილს 113
ნეტავ სად გეჩქარებოდა? 114
ნინოს! 114
ნუშების თოვა 115
დაბადების დღეს გილოცავ ჩემო ძამიკო! 116
ნოდარს! 117
მომეფერე! 117
ნუ! ნუ! მომიტანთ, მე ჭერ მიხაკებს! 118
ნურავინ მეტყვის უსათუოდ სიბერე მოვა! 119
ნუ! ნუ! შეაქებთ ევროპას ჩემთან! 120
ობოლი 121
ორ რამეს ნუ მთხოვთ 122
ოცნებების და სიზმრის ამარა! 124
პაემანი! 125
პაპა/ბაბუ/ და შვილიშვილი! 126
პატარა კახი! 127
პეპელა და ვარდი 128
პატარა პრინცესა! 129
რა გვემართება?! 130
რაა სიცოცხლე?! 132
რად გაგვიძირდა დოლარი 133
რატომ ამიფეთქე გული და... 134
შენში ვპოულობ რაღაცა ახალს! 135
რაც გულს დამაჩნდა ჭირად თუ ლხინად! 136
რთველი და თათარაობა! 137
საამშობლოს 138
და მივაღწიოთ სამნიშნულ ასაკს! 140
სატრფიალო! 141
რისთვის მოვედი ამ ქვეყნად? 142
სიკეთის ქმნა და ნუგეში! 143
სიცოცხლე! 144
სიყვარულის დღე 145
სიყვარულია რაც გადაგვარჩენს! 146
ილია მეორეს! 147
სახლში თუ გიდევს ნაკურთხი ბზა! 148
სული!!! 149
უცხო ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებს! 150

„ძლიერი ქალები“ 151
ემიგრანტებს! 152
იტალიიდან ჩამოსვენებულ ქართველ ქალს! 153
ვინ გაგიმეტა! /ბექა/..... 155
ბექა მარგიშვილის ხსოვნას 156
მოკლული პოლიციელი – ბექა მარგიშვილი! 157
რევაზ! თორნიკე! დავით! 158
თამუნა გელოვანს! 159
ცამეტი ივნისის თბილისის სტიქია 160
შვილის ხსოვნას! 161
მალე ფარები დაიძვრებიან! 162
ფეის ოჯახი! 163
ბუნების ფერისცვალება! 164
იცით? უკვე გაზაფხული ვიპოვე! 165
ფეხმძიმე ქალზე ლამაზი! 166
ქალი! 166
ქალია ვაუკაცის მუზა! 167
ფოთლებო! 168
ქალები! 169
ღვინო! 170
ღმერთო იმედი მიეცი! 171
ყაყაჩო და ია 172
შემოდგომა 174
შემოდგომის მზე! 175
შენი ბრალია ქართველო დედა! 176
შენთან არ მინდა! 178
„ჩემი ოქრო ჩემთანო!“ 179
შენი კოცნების დათვლაო 180
შვილო! 181
ჩემთვის ჰაერის სადარი! 182
ესეც განწყობისთვის..... 182
ციტა გავხალისდეთ 182
იცი? შენ ჩემი დათუნია ხარ 183
ჩემი შვილები 184
ციტნეს.....185
ცაო! რად შეჰკარ კოპები? 186
ჩემო მიწავ და მამულო! 187
ჩემი ცხოვრების წიგნი 188
წლებო! მომიწყვეთ ერთი აქცია! 190
არჩევანი მე და არადანი შენ! 191
ჩემი ჭაღარაც კი გალამაზდა 192
ჭიამაია! 193
ხანდახან დგება წუთები 194
ცისარტყელა.....195
მამა, მე წუხელ სიზმარში გნახე 196

ISBN 978-9941-0-8457-7

9 789941 084577